საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№24 (400)

28 ივნისი – 4 ივლისი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru


## «ქვეყანა ამ უღმერთო და უზნეო მარიონეტებისაგან უნდა გადავარჩინოთ!» 5



## «ეს ხელისუფლება უნდა გავუშვათ»



## «უმადურობასა» და «უდუმურობას» შორის



## ნაციონალებს პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ რეკლამირებული და «გაპიარებული» მერობის კანდიდატი ჰყავთ 3

## ქართული პოლიტიკის ზედაპირზე გამუდმებით მოტივტივენი







„პოლიტიკოსებმა კარგად ისწავლეს ერთი ფანდი — ხელისუფლების წიაღში იბადება ოპოზიცია, რაც ხელს უწყობს ერთი და იმავე ადამიანების პოლიტიკაში დარჩენას. „გამოცდილება“ მათ უჩვენებს, როდესაც ნავი ტორტმანობს, სხვა ნავში უნდა გადასხდნენ, ირქმევენ სხვა სახელს და სახე არ იცვლება“. 6

## სირიის ე.წ. ოპოზიციისთვის იარაღის მიყიდვის სკანდალში საქართველო აღმოჩნდა ჩათრეული 8



## საკონსტიტუციო რეფორმა თუ დიდი თაღლითობა? 2

„ივანიშვილის ხელისუფლება ამ ეპიზოდში ისევე ცუდად იქცევა, როგორც მისი წინამორბედი — „კონსტიტუციის გაუპატიურების“ პერიოდში, არანაირი არსებითი განსხვავება მათ პოლიტიკას შორის არ არსებობს.“



## «მე ჩამოგიტანეთ ხელი, რომლითაც ტრამპს მივესალმე» 10



## ელგებეტური დასავლეთი თუ სუვერენული დემოკრატია?! 4

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ივანიშვილის ხელისუფლება ამ ეპიზოდში ისევე ცუდად იქცევა, როგორც მისი წინამორბედი — „კონსტიტუციის გაუპატიურების“ პერიოდში, არანაირი არსებითი განსხვავება მათ პოლიტიკას შორის არ არსებობს. სიცრუეს, ხელების გადაგრეხასა და კანონის მორგებას საკუთარ ინტერესებზე ნამდვილად არ შეიძლება ეწოდოს „ნაკლები“ ან „მცირე“ ბოროტება. ის ძალიან დიდია და მისი დამარცხება საკმაოდ რთული იქნება.**

# საკონსტიტუციო რეფორმა თუ დიდი თაღლითობა?

**საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების პროცესი საბოლოოდ დაემსგავსა აბსურდის თეატრს, თანაც ისეთს, ეჟენ იონესკოს რომ არ დაესიზმრებოდა. სხვათა შორის, იონესკოს არ მოსწონდა ტერმინი „აბსურდის თეატრი“ და მის ნაცვლად „დაცინვის თეატრს“ ხმარობდა. საინტერესოა: რა არის უფრო მეტი ჩვენ გარშემო განვითარებულ მოვლენებში — აბსურდი თუ დაცინვა?**



თეატრს უკავშირდება კიდევ ერთი მეტაფორა, რომელიც შექმნილ მდგომარეობას კარგად მიესადაგება. ცნობილ ფრაზას იმის თაობაზე, რომ ისტორია მეორდება, ხშირად ჰეგელს მიაწერენ, თუმცა სინამდვილეში ის მარქსს ეკუთვნის: „ჰეგელი სადღაც აღნიშნავს, რომ ყველა დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა და პიროვნება, ასე ვთქვათ, ორჯერ გვევლინება. მას დაავიწყდა, დაემატებინა: პირველად ტრაგედიის, მეორედ კი ფარსის სახით“, — წერდა მარქსი ცნობილ ნაშრომში „18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“. კარლ მარქსის ციტირება დღეს მიღებული მაინცდამაინც არ არის, მაგრამ ფრაზა საკმაოდ „გემრიელია“ და, ალბათ, სწორედ ამიტომ ჰეგელს ან სხვა ცნობილ მოღვაწეებს მიაწერენ.

ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია დავფიქრდეთ იმაზე, რას წარმოადგენდა და როგორ აღიქმებოდა ქართველი საზოგადოების მიერ სააკაშვილის დროინდელი და დღევანდელი ცვლილებები. ადრე ნამდვილად იყო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ძალადობის შეგრძნება; სწორედ იმ პერიოდში ფართოდ დამკვიდრდა ტერმინი „კონსტიტუციის გაუპატიურება“, პოლიტიკურად აქტიური საზოგადოება სრულიად სერიოზული იყო და მომხდარს განიხილავდა, როგორც ნამდვილ ტრაგედიას. დღეს კი, უხეში ძალადობის ნაცვლად, ჩვენ აშკარა თაღლითობას ვხედავთ, რომელშიც სამარცხვინო და სასაცილო ერთმანეთს ერწყმის. ეს ხელს უშლის საზოგადოებას, ემოციების მობილიზება მოახდინოს და ცალსახა პროტესტი გამოთქვას. ის თანახმაა, იბრძოლოს ურჩხულთან, მაგრამ ვირთხების წინააღმდეგ მახვილის აღმართვა უადგილოდ და სასაცილოდ ეჩვენება. შესაძლოა, ივანიშვილის ჰიბრიდული რეჟიმის დროებითი წარმატების საიდუმლო სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან მოახერხა საზოგადოების ჩათრევა ფარსის სივრცეში, სადაც მან განვითარებული მოვლენების სერიოზულობის გააზრების უნარი დაკარგა. ის ხშირად ვერ გრძნობს, რომ ყოველივე, რაც მის გარშემო ხდება, ძალზე საშიშია, ისე, როგორც ამას სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გრძნობდა.

მხოლოდ საარჩევნო სისტემას თუ შევეხებით, ვნახავთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო მომენტში შემოთავაზებული რეფორმის იმგვარი კორექტირება დაიწყო, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება უზრუნველეყო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა სრულიად მოულოდნელად განაცხადეს, რომ გადასვლა პროპორციულ სისტემაზე მხოლოდ 2024 წლის არჩევნებზე მოხდება. ოფიციალური ვერსიის თანახმად, ეს გადაწყვეტილება შიდაპარტიული უთანხმოებისა და მაჟორიტარების პროტესტის გამო მიიღეს. შესაბამისად, 2020-ში ისევ შერეული სისტემა გვექნება და მაჟორიტარებს ზუსტად ისე ავირჩევთ, როგორც შარშან, და, ალბათ, შედეგიც ანალოგიური გვექნება — ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ოპოზიციის კოლაფსის პირობებში. ამ იდეის გაჟღერებაც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მინიმალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება ქუჩაში გამოსულიყო და აშკარა თაღლითობის გამო პროტესტი გამოეთქვა, მაგრამ ეს არ მოხდა.

**ახლა «ქართული ოცნება» ცდილობს, გააკეთოს ერთადერთი რამ, რაც მეტ-ნაკლებად კარგად გამოსდის — ყოველივე წარმოაჩინოს, როგორც დაპირისპირება ნაციონალებთან (მიშისტურ და «ევროქართულ» ვარიანტში მნიშვნელობა არ აქვს) და ამით გაამართლოს საეჭვო საკონსტიტუციო ნორმების «გათრევა». ნაციონალებს ეს ხელს აძლევთ, რადგან ამ დროს ხელისუფლების მთავარ ოპონენტად, იმ იდეების გამხმოვანებლებად წარმოჩინდებიან, რომლებიც აქტუალურია ბევრი სხვა, მათ შორის რადიკალურად «ანტიმიშისტური», ჯგუფისთვის. ეს სპექტაკლი ცუდსა და უარესს შორის არჩევანზე «ქართულმა ოცნებამ» და «ნაცმოძრაობამ» უკვე არაერთგზის დადგეს**

მმართველი პარტია, აგრეთვე, გვთავაზობს, 2020 წლის არჩევნებში ბარიერი ერთჯერადად 3 პროცენტამდე დავწიოთ. იგულისხმება, რომ 2024-ში ის ისევ ხუთპროცენტიან ნიშნულს დაუბრუნდება. ამ გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება საარჩევნო ბლოკების აკრძალვის ინიციატივით გამოვიდა (რომელიც თავისთავად ძალზე საეჭვო და არსებითად ანტიდემოკრატიულია), ბევრმა კომენტატორმა ჩათვალა, რომ ეს, ხუთპროცენტიანი ბარიერის შენარჩუნების პირობებში, ხელს შეუწყობს პარტიების შერწყმა-გამსხვილების პროცესის დაწყებას, მაგრამ ახლა ეს არ მოხდება. მრავალი „მცირე პარტია“ (რაც უფრო სუსტი იქნებიან ისინი, მით უფრო დამოკიდებული აღმოჩნდებიან ხელისუფლებაზე) ოპოზიციური ელექტორატის ხმების გახლეჩას მოახდენს და პრაქტიკულად გამორიცხავს მათი კონსოლიდაციისა და მძლავრი ოპოზიციური კოალიციის გაჩენის შესაძლებლობას.

ვენეციის კომისიის მიერ 19 ივნისს გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან რბილ ფორმულირებებს შეიცავს, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებამ ის მთლიანობაში აღიქვა, როგორც წახალისება. **ნათქვამია, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა დადებითია, მაგრამ ეს წინგადადგმული, პოზიტიური ნაბიჯი შეზღუდულია სამი მექანიზმით – საპარლამენტო არჩევნებში ხუთპროცენტიანი ბარიერის შენარჩუნებით, გაუნაწილებელი მანდატების მმართველ პარტიაზე გადაცემითა და ბლოკების გაუქმებით.** იქვე აღნიშნული იყო, რომ თავისთავად ხუთპროცენტიანი ბარიერი ევროპული ნორმების შესაბამისია, მაგრამ ეს სამი მექანიზმი ერთად ზღუდავს პლურალიზმს და უფრო მეტად სცილდება საარჩევნო თანასწორობის პრინციპებს, ვიდრე ეს სტაბილურობის შენარჩუნების აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

ამასთანავე, ვენეციის კომისიამ ურჩია ხელისუფლებას, შემდეგი ვარიანტები განეხილა: ა) გაუნაწილებელი მანდატების ყველა ბარიერგადალახული პარტიისთვის თანაბრად გადანაწილება; ბ) გამარჯვებული პარტიისთვის გადასაცემი გაუნაწილებელი მანდატებისთვის ზედა ზღვრის დაწესება; გ) ბარიერის დაწევა ორ ან სამ პროცენტამდე.

ხელისუფლებას არ ეყო პოლიტიკური სითამამე იმისთვის, რომ საერთოდ უარი ეთქვა „ბონუსზე“, ამიტომ მან, მეორე რეკომენდაციის შესაბამისად, საკუთარ თავს ზედა ზღვარი დაუწესა, თუმცა გაუნაწილებელი მანდატების „ლომის წილი“ მაინც პირველ ადგილზე გასულ პარტიას დარჩება, რომელიც მომავალ არჩევნებში, სავარაუდოდ, ისევ „ქართული ოცნება“ იქნება — ოპოზიციის დასუსტებიდან და ბლოკების აკრძალვიდან გამომდინარე. ამ „დათმობის“ შემდეგ კრიტიკა ამ მიმართულებით შესუსტდა, მიუხედავად იმისა, რომ სხვისი ხმების მისაკუთრება არსებითად უსამართლოა. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიუანსია — საზოგადოება, როგორც ჩანს, თანდათან ეჩვევა „ნაკლებ ბოროტებასთან“ შეგუებას, იმის ნაცვლად, რომ ნებისმიერი სახისა და ზომის ბოროტება უარყოს.

ბარიერის ერთჯერად დაწევას კიდევ რამდენიმე საინტერესო ქვეტექსტი აქვს. საკონსტიტუციო რეფორმის დასკვნით ეტაპზე, პროექტის კურატორ ირაკლი კობახიძის პოლიტიკური უნიჭობის გამო, „ქართული ოცნება“ სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. არც ერთ რამდენადმე სერიოზულ პოლიტიკურ გაერთიანებას, არასამთავრობო ორგანიზაციას თუ ცალკე აღებულ ექსპერტს შემოთავაზებულ ცვლილებებზე არათუ პასუხისმგებლობის აღება, არამედ მათთან ნებისმიერი სახის შეხება არ სურს. ივანიშვილის ხელისუფლება წინამორბედზე უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან სააკაშვილს თავის დროზე უფრო მომზადებული სატელიტები ჰყავდა, რომლებიც დებატებისა და კონსენსუსის ილუზიას მაინც ქმნიდნენ. დღეს კი მმართველი ძალის მარტოობა ლამის აბსოლუტურია. ზოგს ეს შეიძლება პარადოქსულად მოეჩვენოს, რადგან „ქართული ოცნების“ ფარგლებს გარეთ საკმარისზე მეტია ჯგუფი თუ აქტივისტი, რომელიც გარკვეული პირობების სანაცვლოდ, მხარს ხელისფულების ინიციატივებს დაუჭერს ან „კონსტრუქციულ ოპონირებას“ გაუწევს, თუმცა კონსტიტუციის რედაქტირების პროცესში ხელისუფლებამ მათი მობილიზება და როლების განაწილება ვერ მოახერხა. შედეგი სახეზეა — ის იზოლირებულია, როგორც მომაკვდავი დიქტატორული რეჟიმი ან როგორც პაულუსის არმია სტალინგრადში.

ბარიერის ერთჯერადი დაწევა სამ პროცენტამდე „მცირე პარტიებისთვის“ გაწვდილი ხელია და მათმა ენთუზიაზმმა მართლაც შეიძლება შექმნას კონსენსუსის ილუზია თუნდაც ამ მიმართულებით და ნაწილობრივ მაინც გადაფაროს მაჟორიტარებთან დაკავშირებული თაღლითობა, მაგრამ აქ გაცილებით მნიშვნელოვანია არა პროპაგანდისტული ეფექტი, არამედ გრძელვადიანი პოლიტიკური შედეგი. **„ერთჯერადი დაწევა“, ისევე, როგორც ნებისმიერი გამონაკლისი, პოლიტიკურ გარემოს არასტაბილურს ხდის და ხელს არადემოკრატიული ფსიქოლოგიის გავრცელებას უწყობს — თუ გამონაკლისი შესაძლებელია დღეს, რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ 2024 წელს წესები ისევ არ შეიცვლება? იქ, სადაც არ არსებობს მყარი წესები და კანონები, დემოკრატიასა და სამართლიანობაზე ოცნება ზედმეტია.** კიდევ ერთ „ერთჯერად ცვლილებას“ მმართველი პარტია პრეზიდენტთან დაკავშირებით განიხილავს, კერძოდ კი იმას, ახალი წესით 2023 თუ 2024 წელს რომ აირჩიოს? მიუხედავად იმისა, რომ ამას, პრეზიდენტის როლის დაკნინების გამო, ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ასეთი მიდგომა მთლიანობაში დესტრუქციულად უნდა ჩაითვალოს.

ახლა „ქართული ოცნება“ ცდილობს, გააკეთოს ერთადერთი რამ, რაც მეტ-ნაკლებად კარგად გამოსდის — ყოველივე წარმოაჩინოს, როგორც დაპირისპირება ნაციონალებთან (მიშისტურ და „ევროქართულ“ ვარიანტში მნიშვნელობა არ აქვს) და ამით გაამართლოს საეჭვო საკონსტიტუციო ნორმების „გათრევა“. ნაციონალებს ეს ხელს აძლევთ, რადგან ამ დროს ხელისუფლების მთავარ ოპონენტად, იმ იდეების გამხმოვანებლებად წარმოჩინდებიან, რომლებიც აქტუალურია ბევრი სხვა, მათ შორის რადიკალურად „ანტიმიშისტური“, ჯგუფისთვის. ეს სპექტაკლი ცუდსა და უარესს შორის არჩევანზე „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაცმოძრაობამ“ უკვე არაერთგზის დადგეს.

სინამდვილეში, ივანიშვილის ხელისუფლება ამ ეპიზოდში ისევე ცუდად იქცევა, როგორც მისი წინამორბედი — „კონსტიტუციის გაუპატიურების“ პერიოდში, არანაირი არსებითი განსხვავება მათ პოლიტიკას შორის არ არსებობს. სიცრუეს, ხელების გადაგრეხასა და კანონის მორგებას საკუთარ ინტერესებზე ნამდვილად არ შეიძლება ეწოდოს „ნაკლები“ ან „მცირე“ ბოროტება, ის ძალიან დიდია და მისი დამარცხება საკმაოდ რთული იქნება.

**იმაზე დაფიქრება არავის სურს, რომ ბიძინა ივანიშვილს ჩვენ კი არ ვაკისრებთ ქვეყნისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობას, არამედ ეს პასუხისმგებლობა მან თვითონვე „დაიკისრა" მაშინ, როდესაც პოლიტიკაში ჩართვის შესახებ განაცხადა. შემდეგ კი გადადგა პრემიერმინისტრის პოსტიდან, მაგრამ სახელმწიფოს მართვა თავის გუნდს ჩააბარა და დღესაც სწორედ ის იღებს ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ქვეყანაში. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მის კისერზეა.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო სამი ათწლეულია, მივეჩვიეთ მოსმენას ბრალდებისა, რომ ყველაფერში დამნაშავე ყოველთვის არის ერი, უბრალო ხალხი. ჯერ ზვიად გამსახურდიას „არ დაუფასა" „უმადურმა" ქართველმა ხალხმა „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის" მოპოვება და ხელისუფლებიდან შეიარაღებული რევოლუციით გააგდო, შემდეგ ედუარდ შევარდნაძის „მსოფლიო დონის პოლიტიკოსობა" ვერ დავაფასეთ და „ვარდების რევოლუციით" გავანაწყენეთ ეს „ამაგდარი ადამიანი". ცოტა ხნის წინათ „დიადი აღმშენებელი" მიხეილ სააკაშვილიც არ დავაფასეთ სათანადოდ და მასაც „უმადურად" დავათმობინეთ ძალაუფლება. ახლა კი „ხალხზე გადაყოლილ" მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს არ ვუფასებთ იმას, რომ „მანიაკები მოგვაშორა" და ისეთი „უმადურები" აღმოვჩნდით, რომ არც ერთ არჩევნებში მეორე ტურის გარეშე არ ვამარჯვებინებთ მის პოლიტიკურ გუნდს. ეგ კი არა, ერი თურმე იქამდეც კი გათავხედდა, რომ ამ გულკეთილ და მეცენატ ადამიანს პასუხისმგებლობასაც კი აკისრებს სახელმწიფოს წინაშე...**

# «უმადურობასა» და «უდუმურობას» შორის

## ნაციონალებს პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ რეკლამირებული და «გაპიარებული» მერობის კანდიდატი ჰყავთ




აი, თავხედობისა და უმაღლესი უმადურობის გამოვლენა ერის მიერ! — მოთქვამენ და გვამუნათებენ სოციალურ ქსელებში ბოლო პერიოდში ესოდენ მომრავლებული „ბიძინგამპრავებლები"...

იმაზე დაფიქრება კი არავის სურს, რომ **ბიძინა ივანიშვილს** ჩვენ კი არ ვაკისრებთ ქვეყნისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობას, არამედ ეს პასუხისმგებლობა მან თვითონვე „დაიკისრა" მაშინ, როდესაც პოლიტიკაში ჩართვის შესახებ განაცხადა. შემდეგ კი გადადგა პრემიერმინისტრის პოსტიდან, მაგრამ სახელმწიფოს მართვა თავის გუნდს ჩააბარა და დღესაც სწორედ ის იღებს ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ქვეყანაში. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მის კისერზეა.

დაფიქრება, გაანალიზება, სწორი დასკვნების გამოტანა და შემდეგ ლაპარაკი „გამპრავებლებს" არ ახასიათებთ. ეს ეხება არა მხოლოდ ბიძინას მეხოტბეებს, არამედ ზვიადის, ედუარდის, მიშას ფანატიკურ მომხრეებსაც. თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე რომ ჰკითხო, აგყვებიან მსჯელობაში, რომ „ბელადომანია" ცუდი რამეა, რომ ქვეყანას სწორედ „ბელადომანია" და კონკრეტული პიროვნებების გაფეტიშება ღუპავს და ა.შ.

მაგრამ, როგორც კი სიტყვა წამოგცდება მათ კონკრეტულ ბელადზე, იმწამსვე მოისმენ ფრაზებს:

**„არა, ბატონო, სხვები ხო, მაგრამ ზვიადზე მაგის თქმა არ შეიძლება!"**

**„როგორ გეკადრება, ედუარდი მაინც სხვა იყო!"**

**„მიშას არ ეხება ეგ და დანარჩენებზე, რაც გინდა, თქვი!"**

**„მოიცა, ახლა შენ ბიძინას ადარებ იმათ?!"**

აი, ასეა. „ბელადომანია" მაშინ ყოფილა ცუდი, როდესაც ქვეყანას სხვისი ბელადი მართავს. ხოლო, როდესაც ქვეყნის სათავეში „შენი ბელადია", მაშინ ბელადომანიაც მისაღებია თურმე და კერპთაყვანისმცემლობაც...

არადა, ნამდვილად არის გასაანალიზებელი ის, რომ ზვიადი, „უმადურმა ქართველმა ერმა" კი არა, სწორედ იმან დაღუპა, რომ ერის, ხალხის ხმას არ უსმენდა. მას ხალხისთვის რომ მოესმინა და გაიძვერა **თენგიზ სიგუა**, სისხლის სამართლის დამნაშავე **თენგიზ კიტოვანი**, თაღლითი **გურამ აბსანძე** და სხვები არ მოეყვანა სახელმწიფოს მართვის სადავეებთან, დიდი ალბათობით, ავანტიურისტული ძალები ვერანაირი შეიარაღებული გადატრიალების მოწყობას ვერ მოახერხებდნენ. ამის ნაცვლად, ხალხს, რომელიც მოუწოდებდა, ეს ნაძირალები ქვეყნის ხელისუფლებაში არ მოიყვანოო, ზვიადმა და მისმა ფანატიკოსმა მომხრეებმა „კრემლის აგენტები", „სამშობლოს გამყიდველები" უძახეს და საბოლოოდ მიღებულ შედეგსაც უტიფრად აბრალებენ იმავე ხალხს, იმის ნაცვლად, რომ მიხვდნენ, რაც დააშავეს და პასუხისმგებლობაც დაიკისრონ.

**ედუარდ შევარდნაძესაც** მოუწოდებდა ხალხი, — ნუ აძლევ საშუალებას ავანტიურისტი **ჟვანია-სააკაშვილის** გუნდს, თავზე წამოგვაჯდნენ; ნუ ცდილობ რუსების „მოტყუებას", რაც უნდა „თეთრი მელა" იყო, კრემლი ბავშვივით გაცურების ნებას არ მოგცემს, არ გაგივა ეგ „ნომერი" და ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ცუდად შემოტრიალდება ყოველივეო. ამის მთქმელ ხალხს შევარდნაძის გარშემო შეკრებილი მლიქვნელების არმია საყვედურობდა, — მსოფლიო ავტორიტეტის მქონე ადამიანს თქვენ ასწავლით, რა ქნას, საერთოდ, როგორ ბედავთ მსოფლიო დონის პოლიტიკოსზე ასე აგდებულად საუბარსო?!

რა შედეგიც მოგვიტანა „მსოფლიო ავტორიტეტმა", ყველამ ვნახეთ. თუმცა ესეც უფრო ერსა და ხალხს დაბრალდა, ვიდრე შევარდნაძის მიერ წარმოებულ უგუნურ პოლიტიკას ამერიკელთა ნაქეზებით.

**მიშა სააკაშვილს** ხალხმა ის ვერ შეაგნებინა, რომ, ასფალტის დაგებისა და შენობების ფასადების შეღებვის გარდა, ყურადღება უნდა მიექცია გათავხედებული ძალოვანი მინისტრებისა და მაღალჩინოსნებისთვის. ხალხი, რომელიც მიშას მოუწოდებდა, მოეთოკა თავგასული ძალოვანები, თორემ მის მიერ ნაკეთები გარკვეული დადებითი საქმეები წყალში გადაიყრებოდა, „უმადურისა" და „კრემლის აგენტის" იარლიყს იმსახურებდა. დღესაც „უმადურია" ის ხალხი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს მეტი პასუხისმგებლობისკენ, მეტი დაფიქრებისკენ, მაშინ, როდესაც „ოცნების" საპარლამენტო გამსვლელ სიებში საკმაო რაოდენობით არიან წარმოდგენილი ყოფილი ნაციონალები ან მათი „სატელიტი" ბიზნესმენები. მოუწოდებენ, რომ ეს მისი მხრიდან უზნეობაა და ყოველივე საბოლოოდ არც ქვეყანას მოუტანს კარგს და არც თვით ბიძინას.

არა! **თურმე ასეთი ხალხი ვართ „უმადურები", „შეუგნებლები" და, ვინაიდან ბიძინამ გადაგვარჩინა და გვიხსნა მანიაკი მიშას კლანჭებისგან, ახლა „ჩმორებივით" უნდა ვისხდეთ და ხმა არ უნდა ამოვიღოთ არავითარ შემთხვევაში, რაც უნდა უხეშ შეცდომას უშვებდეს ან უზნეო მოქმედებას ახორციელებდეს ივანიშვილი. და, თუ ხვალ „ბიძინიადაც" ისევე დასრულდება, როგორც დანარჩენი სამი „ბელადის" საქმე დასრულდა, ეს ნიშნავს, რომ ისევ და ისევ ერი, ხალხი ვართ „უმადური"!**

არადა, სინამდვილეში პირიქითაა — რომელიმეს ამ ბელადთაგან რეალურად რომ დაეგდო ყური ხალხის ხმისთვის და სწორი, მართალი აზრი გაეთვალისწინებინა, ქვეყანაც იხეირებდა და თვითონ ეს „ბელადებიც".

თუმცა ასეთ შემთხვევაში ისინი „ბელადად" ველარ წარმოიდგენდნენ თავს, არადა მათთვის მთავარი სწორედ „ბელადობის" განცდაა. მათთვის მთავარია არა კრახის რეალური მიზეზების გააზრება, არამედ ყველაფრის ხალხისთვის გადაბრალება და მორჩა — კმაყოფილი არიან!

მაგალითად ავიღოთ ყოვლად სამარცხვინო ადამიანის, ჟურნალისტად წოდებული **ზაალ უდუმაშვილის** წარდგენა თბილისის მერობის კანდიდატად.

როგორ ფიქრობთ, რატომ მომწიფდა ეს იდეა „ნაციონალური მოძრაობის" მამებისა და პირადად მიხეილ სააკაშვილის თავში?

ფაქტია: „ნაციონალურ მოძრაობას" სჭირდებოდა ისეთი მერობის კანდიდატი, რომელზეც შეეძლებოდა ეთქვა, რომ ის არ არის გასვრილი პოლიტიკურ პროცესებში და პლუს, არის თავისი საქმის პროფესიონალი, კარგი სპეციალისტი, დადებითი იმიჯის მქონე და უმწიკვლო რეპუტაციისა.

ახლა **მკითხველი გაოცებული მკითხავს — მერედა, ვინ გითხრა, რომ ზაალ უდუმაშვილი ეგეთიაო?**

ვუპასუხებ — ვინ მითხრა და ბიძინა ივანიშვილმა!

დიახ, **განა ბიძინა ივანიშვილი არ იყო და არის ის კაცი, რომელიც გაიძახოდა და დღემდე გაიძახის, — ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში ძალიან ჭკვიანი, უმწიკვლო რეპუტაციის, პროფესიონალი, გამოცდილი, შესანიშნავი და მისაბაძი ჟურნალისტები მუშაობენო?** განა ბიძინა ივანიშვილი არ ლაპარაკობს „რუსთავი 2"-ელების შესახებ აღფრთოვანებითა და მოწიწებით თითქმის ყველა პრესკონფერენციაზე?

განა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გარემოცვამ არ გადაიბირა 2012 წლის შემდეგ არაერთი ადამიანი „რუსთავი 2"-დან და ჩააყენა „ოცნების" სამსახურში? ამის პარალელურად კი ფეხებზე დაიკიდა მართლა პროფესიონალი ჟურნალისტები, რომლებიც 9 წელიწადი თავგამოდებით ებრძოდნენ მანიაკურ რეჟიმს.

ბიძინა ივანიშვილი ხომ დღესაც ცდილობს, მოხიბლოს თავისი „ტკბილად მოუბარი" ენით „რუსთავი 2"-ის თანამშრომლები და მათ უზრუნველ მატერიალურ ცხოვრებას ჰპირდება, თუკი ისინი „განაგდებენ მიშას" და აღიარებენ „ჭეშმარიტ ბიძინას"?!

ამას კი საფანელად ივანიშვილი ყოველთვის უფენს დაახლოებით ასეთ აზრს — მე იმიტომ ვცდილობ „რუსთავი 2"-ში მომუშავე კადრების გადმობირებას, რომ ისინი პროფესიონალები, საქმის ერთგული და პატიოსანი ადამიანები, ძალიან გამოცდილი მუშაკები არიანო!

ჰოდა, რა გინდათ?

**ადგა „ნაციონალური მოძრაობა" და ეს ძალიან პატიოსანი, პროფესონალი, დაუზარელი მუშაკი და საქმის უბადლო მცოდნე პიროვნება თბილისის მერობის კანდიდატად დაასახელა.** რა, განა „პროფესიონალიზმი" და „პატიოსანი მშრომელობა" იმით განისაზღვრება, გადავა თუ არა ვინმე ბიძინას მხარეს?

**ასე რომ, დღეს ნაციონალებს პირადად ბიძინა ივანიშვილის მიერ რეკლამირებული და „გაპიარებული" მერობის კანდიდატი ჰყავთ და არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ ის ძლიერ წინააღმდეგობას გაუწევს „ოცნების" კანდიდატს და ეგებ მოუგოს კიდეც.**

სჯობდა, ბიძინა ივანიშვილს სწორად შეეფასებინა სიტუაცია, მოესმინა ხალხის ხმისთვის და შეეგნო, რომ „რუსთავი 2" — ეს არის ანტიჟურნალისტიკის ეტალონი, რომ „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტები პროფესიონალები და თავისი საქმის ერთგულები კი არა, ფულსა და მატერიალურ კეთილდღეობაზე გაყიდული არაადამიანები არიან, რაც თავისთავად გამორიცხავს მათ პროფესიონალიზმს. ნაცვლად ამისა, გამოვიდა ისე, რომ ივანიშვილმა თვითონ გაუკეთა რეკლამა ნაციონალების მერობის კანდიდატს და მიხეილ სააკაშვილმაც მოხერხებულად ისარგებლა ამით.

რა შეიძლება მოჰყვეს ამას შედეგად? სავარაუდოდ, უდუმაშვილი არჩევნებს ამ ეტაპზე ვერ მოიგებს და თბილისის მერი ვერ გახდება, მაგრამ ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი, ისევე, როგორც მისი წინამორბედი „ბელადები", თვითონვე უყრის საფუძველს თავის პოლიტიკურ, მოქალაქეობრივ, მეცენატურ და ადამიანურ დასასრულს. წინამორბედების მსგავსად, ისიც აძლევს საშუალებას გარშემო შემოკრებილ მლიქვნელებს, თავიანთი ლიქნით ქვეყანაც დაღუპონ და ივანიშვილიც.

აი, ამიტომ დგას დღეს ქართველი ერი მათ თვალში „უმადურობასა" და „უდუმურობას" შორის...

არადა, ხალხს ერთიც ფეხებზე ჰკიდია და მეორეც — ერს აქვს უფლება, კატეგორიულად მოსთხოვოს პასუხი უზნეო საქციელზე იმ კაცს, რომელმაც თვითონვე დაიკისრა პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავალზე, მიუხედავად იმისა, რომ მან თავისზე უარესი ტირანი მოაშორა ქვეყანას, გადაგვარჩინა მანიაკებისგან, გვიხსნა საშინელებისგან თუ რაც და როგორც იყო. ქვეყნის სათავეში შენი გუნდის მოყვანა, უწინარესად, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის დაკისრებას უნდა ნიშნავდეს და არა ერისთვის საკუთარი „კაი ტიპობის" განუწყვეტელ დაყვედრებას... თორემ ზოგიერთისგან ასეთი თვალსაზრისიც კი მომისმენია, — გერმანიამ ვერ დააფასა თავისი უდიდესი შვილი **ადოლფ ჰიტლერიო.**

ვნახოთ, იქნებ ბიძინა ივანიშვილმა მაინც ათხოვოს ყური ხალხის ხმას და თავი დაანებოს მართალი ადამიანებისთვის „უმადურების" ძახილს.

ჯერ კიდევ არ არის გვიან!

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ევროპის ლგბტ-ების ოკეანეში მხოლოდ საქართველო და რუსეთია ის იშვიათი გამონაკლისი კუნძულები, რომლებზეც, ერთსქესიანი ქორწინებები კი არა, გეიაღლუმიც ვერ ჩაუტარებიათ, საქართველოში — ეკლესიისა და საზოგადოების ძალისხმევით, ხოლო რუსეთში — ამ ყველაფერს პლუს რუსეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის ძალითაც ქვეყანაში აკრძალულია გეიპროპაგანდა არასრულწლოვანთა შორის 99 წლის ვადით, რაც იმას ნიშნავს, რომ გეიაღლუმის მცდელობასაც კი კანონის ძალით „მიბერტყავენ", რადგან პედერასტების მსვლელობა ისე ვერ ჩატარდება, არასრულწლოვანებმა თვალი რომ ვერ მოჰკრან ქალაქის ცენტრში ლგბტ-თა ბაირაღების ფრიალსა და მათი „კურტუმოების" მურდალ ქნევას.**

# ელგებეტური დასავლეთი თუ სუვერენული დემოკრატია?!

**რა უბედურება აღარ უნახავს კულტურულ კაცობრიობას ძველი ეგვიპტიდან, ელადიდან, რომიდან მოყოლებული დღემდე და, მათ შორის, საქართველოსაც... რამდენ ბარბაროს დაპყრობელს ნაცარტუტად უქცევია ამა თუ იმ ერის საუკუნეების განმავლობაში ნაშენებ-ნაღვაწი და, მათ შორის, ქართველების; რამდენი რელიგიის თავსმოხვევა არ უცდიათ დაპყრობილი ერებისთვის, მათ შორის ქართველებისთვისაც, მაგრამ არავის, კერპთაყვანისმცემლებით დაწყებული და ქრიატიანობა-იუდაიზმ-ისლამით დამთავრებული, არც ერთ რელიგიას არ შეუტანია ეჭვი იმაში, რომ ოჯახი მხოლოდ მამაკაცისა და ქალის ერთობაა.**



ქრისტიანულ ზნეობაზე აღმოცენებული ევროპული (დასავლური) ცივილიზაციის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა, სულ რაღაც, 40-50 წლის წინათ წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო, როდესაც იმის მტკიცება იქნებოდა საჭირო, ქალი ქალია და მამაკაცი — მამაკაცი?! რომ ოჯახი არის დედა და მამა და არა ერთი და იმავე სქესის მქონე მშობელი №1 და მშობელი№2? და კიდევ აბსურდამდე მისული ათასი რომ...

სანამ წერილის მთავარ თემას გავშლი, ვიტყვი, რომ გაეროსთან არსებული „მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის" მიერ 1990 წლის 17 მაისს დაავადებების სიიდან მამათმავლობის ამოღების შემდეგ დაიწყო ლგბტ-თა „ტრიუმფალური" სვლა... ჯერ — ადამიანის უფლებების დაცვის კამუფლაჟით პრივილეგიების მოპოვებისკენ, ხოლო როდესაც მიზანს მიაღწიეს, იმავე კამუფლაჟით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის ხელისუფლებების მაღალ ეშელონებშიც შეაღწიეს.

აქედან გამომდინარე, დასავლეთში ქალაქის გაცხადებული მამათმავალი მერები, დეპუტატები და მინისტრებიც ჰყავთ. მაგალითად, გერმანიის ყოფილი საგარეო მინისტრი და ყოფილი ვიცეკანცლერი **გიდო ვესტერველე** ჯერ კიდევ ამ პოსტზე ყოფნისას გათხოვდა.

ამას წინათ ბრიუსელში გამართული ნატოს სამიტის პროტოკოლურ ღონისძიებაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების პირველი პირების ცოლებთან ერთად ფოტო ერთმა გარეგნობით მამაკაცმაც გადაიღო ლუქსემბურგის პრემიერმინისტრ **ქსავიე ბეტელის** მეუღლის სტატუსით. თავდაპირველად ვიფიქრე, ალბათ, ლუქსემბურგის პირველი პირი ქალია-მეთქი, მაგრამ, თურმე ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების გამო „ბრწყინავდა" **მელანია ტრამპის** გვერდით ლუქსემბურგის „პირველი ლედი" — **გოტიე დესტენე.**

ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინება უკვე იმდენ სახელმწიფოშია ლეგალიზებული ან ნაწილობრივ ლეგალიზებული, გაერთიანებული სამეფოთი დაწყებული, აშშ-ბრაზილია კანადამდე, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ერთნაირსქიანთა შორის პირველი ქორწინება ოფიციალურად 2001 წელს დარეგისტრირდა ჰოლანდიაში, შემდეგ კი ეს „სიკეთე" ევროკავშირის წამყვან ქვეყნებშიც გავრცელდა.

**ერთადერთი, დასავლეთის მმართველმა ნეოლიბერალურმა ელიტებმა მართლმადიდებელ (რომ არაფერი ვთქვათ, ისლამურ სამყაროზე) ქვეყნებს ვერ მოუხერხეს ვერაფერი. არა, აქა-იქ გეიაღლუმები კი გაიმართა, მაგრამ ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ არის და არც იქნება(?), სანამ არსებობს მართლმადიდებელი რუსეთის უდიდესი და უმდიდრესი ეკლესია, როგორც უპირობო ლიდერი მართლმადიდებელი სამყაროსი.**

რა იქნება ხვალ, მხოლოდ უფალმა უწყის.

დღეს კი ერთი რამის თქმა თამამად შეიძლება: **ევროპის ლგბტ-ების ოკეანეში მხოლოდ საქართველო და რუსეთია ის იშვიათი გამონაკლისი კუნძულები, რომლებზეც, ერთნაირსქესიანი ქორწინებები კი არა, გეიაღლუმიც ვერ ჩაუტარებიათ, საქართველოში — ეკლესიისა და საზოგადოების ძალისხმევით, ხოლო რუსეთში — ამ ყველაფერს პლუს რუსეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომლის ძალითაც ქვეყანაში აკრძალულია გეიპროპაგანდა არასრულწლოვანთა შორის 99 წლის (იუმორის დეფიციტს ნამდვილად ვერ დავწამებთ რუს დეპუტატებს) ვადით,** რაც იმას ნიშნავს, რომ გეიაღლუმის მცდელობასაც კი კანონის ძალით „მიბერტყავენ", რადგან პედერასტების მსვლელობა ისე ვერ ჩატარდება, რომ არასრულწლოვანებმა თვალი ვერ მოჰკრან ქალაქის ცენტრში ლგბტ-თა ბაირაღების ფრიალსა და მათი „კურტუმოების" მურდალ ქნევას, რაც, 2013 წლის 2 ივლისს მიღებული კანონის მიხედვით, გეიპროპაგანდაა.

ეს კანონი, არასრულწლოვანებზე ზრუნვის გარდა, ალბათ, იმიტომაც მიიღეს, რომ **ვლადიმერ პუტინი,** ქიზიყურად თუ ვიტყვით, „შაალონეს" უცხოელმა ჟურნალისტებმა რუსეთში ლგბტ სექტის შესახებ შეკითხვებით, რომელთა საერთო შინაარსი დაახლოებით ასეთია — რატომ ჩაგრავენ რუსეთში ჰომოსექსუალებს? თანაც, ასეთ კითხვას აუცილებლად დასვამდა რომელიმე ლიბერასტი ჟურნალისტი, მიუხედავად იმისა, როგორი სერიოზული ვიზიტიც უნდა ყოფილიყო რუსეთის პრეზიდენტისა რომელიმე ქვეყანაში. გავიხსენებ მესამე ვადით პრეზიდენტად ახალარჩეული პუტინის ვიზიტს ფინეთში 2012 წელს, ანუ რუსეთის სათათბიროს მიერ ზემოხსენებული კანონის მიღებამდე.

აბეზარი ჟურნალისტის კითხვაზე — რატომ შლიან გეიაღლუმებს, რატომ არ აკანონებენ ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებებს, ეს ხომ დემოკრატიული ნორმების დარღვევაა? — რუსეთის პრეზიდენტმა დაახლოებით ასე უპასუხა: „ახლა სადმე, ჩეჩნეთში ან რუსეთის რომელიმე გუბერნიაში რომ ჩავიდე და მსგავსი რამ შევთავაზო ადამიანებს, ისინი მიიღებენ თქვენს დემოკრატიულ ნორმებს?" — კითხვა შეუბრუნა პუტინმა ლიბერასტ ჟურნალისტს და იქვე დასძინა: „ხალხი იარაღს აიღებს ხელში და თქვენს დემოკრატიას არ მიიღებს, რადგან ის, რაც მისაღებია დასავლეთისთვის, ზოგჯერ მიუღებელია ჩვენთვის. ჩვენ ჩვენი სუვერენული დემოკრატია გვაქვს!", ანუ, ჟარგონით თუ ვიტყვით, „ყველამ თავის მამიდას მოუაროსო".

მას შემდეგ ფრაზა „სუვერენული დემოკრატია" რეფრენად იქცა და დასავლეთი მიხვდა, რომ მსგავსი მეთოდებით რუსეთის (წაიკითხე, მთელი მსოფლიოს) ლგბტ-ზაცია, რომელიც პრეზიდენტ **ობამას** ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა, შეუძლებელი იყო და ტაქტიკა შეცვალეს.

წინა სტატიაში ვწერდი, რომ აშშ ყოველწლიურად 70-90 მილიარდი რუბლით (მილიარდ-ნახევარი დოლარი) აფინანსებს პუტინის ე.წ. არასისტემურ ოპოზიციას და არასამთავრობო სექტორს, რომელთა მთავარი მიზანი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლა და, პარალელურად, ნებისმიერი საბაბით, პედერასტების აღლუმის დარბევა იქნება თუ ძეხვის გაძვირება, ხალხის ქუჩაში გამოყვანა, ე.წ. მაიდნის მოწყობა და პუტინის ხელისუფლების დამხობაა. მსოფლიოს მართლმადიდებელთა ლიდერისა და იმედის, რუსული ეკლესიის, წინააღმდეგ ბრძოლა რითაც დასრულდა, ეს მოსკოვის ერთ-ერთი ეკლესიის საკურთხეველში შევარდნილი „მუსიკოსი პროსტიტუტკების" მაგალითზე მსოფლიომ იხილა და არა მგონია, მსგავსის რამის ჩადენის სურვილი ვინმეს გაუჩნდეს ახლო მომავალში... რაც შეეხება მაიდანს, ესეც უტოპიაა, რადგან არასისტემური ოპოზიციის ლიდერი **ნავალნი,** ზღაპრული დაფინანსების მიუხედავად, 2-3 ათასი კაცის მობილიზებას თუ ახერხებს. ყოველ შემთხვევაში ასე იყო ახლახან, „რუსეთის დღის" ჩაშლის მცდელობისას. ქვეყანაში არეულობის მოწყობის უშედეგო მცდელობების მთავარი მიზეზი, სამართალდამცველთა სიფხიზლესთან ერთად, მაინც ის მგონია, რომ ნავალნიმ და არასამთავრობო სექტორმა მასობრივად ვერ აიყოლიეს ახალგაზრდობა. ეს კი განათლების შედეგია — **რუსეთის სკოლებში პატრიოტიზმის სულისკვეთებით ზრდიან ყმაწვილებს, რადგან ამ ქვეყნის განათლების მინისტრი, შეურაცხადი და ანტიეროვნული ალექსანდრე ჯეჯელავა კი არა, სამშობლოს სიყვარულით ანთებული ახალგაზრდა კაცია — ალექსანდრე ავდეევი.**

საქართველოშიც ებრძვიან ეკლესიას: არასამთავრობო ხლისტები საქართველოს პატრიარქის გადადგომას მოითხოვენ, საკუთარი დედის მიმართ სექსუალური ფანტაზიებით დაავადებული „მწერალი" **ზაზა ბურჭულაძე** კი — პატრიარქის გამომწყვდევას ზოოპარკის ვოლიერში. ეს ყველაფერი დღევანდელი ახალგაზრდების უმრავლესობას ფეხზე ჰკიდია, რადგან განათლების ყველა მინისტრის ხელში (**კახაბერ ლომაიათი** დაწყებული, **ალექსანდრე ჯეჯელავამდე**) ჩვენს შვილებს სკოლაში სამშობლოს სიყვარულის, საქართველოს ისტორიის მაგივრად იდიოტურ უნარ-ჩვევებს ასწავლიან.

ახლა კი — წერილის მთავარ თემაზე.

ძია სემი, ეტყობა, მიხვდა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში პუტინის დასამხობად ფულის გადაყრა უაზრობაა და შემოვლითი, გრძელვადიანი პერსპექტივის გზით სიარულს ეცდება...

გასულ კვირას ევროპის ე.წ. ადამიანის უფლებათა სასამართლომ რუსეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი გეიპროპაგანდის შესახებ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად, ხოლო ბავშვებისთვის ადრეული ასაკიდანვე ლგბტ-თა შესახებ ინფორმაციის არმიწოდება ბავშვების დისკრიმინაციად მიიჩნია და რუსეთი 40 ათასი ევროთი დააჯარიმა.

**ამხელა რუსეთს გაუბედა ევროსასამართლომ, — გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავ და დისკრიმინაციას ეწევიო, და ჩვენ, პატარა საქართველოს, რასაც მოისურვებს, იმას ვერ გვაიძულებს?! ეს რომ არ მოხდეს, მართლმადიდებელი რუსეთის ორბიტას უნდა დავუბრუნდეთ, თუ არადა, სხვა გზა ხსნისა ვინმემ მაჩვენოს...**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **დასავლეთს სურს, ჩვენმა შვილებმა (დიახ, ჩვენმა და არა მხოლოდ რუსების) ბაგა-ბაღებიდანვე იცოდნენ, ვინ არის გეი, ლესბოსელი, მათი გენიტალიები, რათა, როცა გაიზრდებიან, იმის მიუხედავად, ღმერთმა რომელი სქესით გააჩინა, თვითონ აირჩიონ სქესიცა და ცხოვრების წესიც.** ანუ სურს, ბაგა-ბაღშივე გაირყვნან ბავშვები და, როდესაც გაიზრდებიან უპრინციპო ნეოლიბერალებად და, როგორც ჩვენს ახალგაზრდობას ჰკიდია ფეხებზე ყველაფერი ეროვნული და ტრადიციული, რუსი ახალგაზრდობაც დაიკიდებს ყველაფერს, აი, მაშინ შეიძლება აუხდეს ძია სემს ოცნება — რუსეთშიც მოაწყოს მაიდანი, ფერადი რევოლუცია, რომლის შედეგად ეს უზარმაზარი სახელმწიფო მარტივ მამრავლებად დაიშლება.

მაგრამ, როგორც **ედუარდ შევარდნაძე** იტყოდა, **მანამდე არ აგიდგეს გვერდები, ძია სემ,** რადგან რუსეთის ერთიანობას მაღლა უფალი იფარავს, ხოლო დაბლა — მართლმადიდებელი ეკლესია და უმძლავრესი ბირთვული პოტენციალი. ევროსასამართლოს ეს განჩინება სანქციებით განაწამებ რუსეთზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების უშედეგო მცდელობაა; უშედეგო, რადგან ამის გამგონე რუსეთის ხელისუფალნი სიცილისგან ჩაბჟირდნენ და იმ სიმბოლური თანხის გადახდას არ აპირებენ.

აღსანიშნავია, რომ, როცა **მიხეილ ხოდორკოვსკიმ,** რომელიც პუტინმა ვადაზე ადრე იმ პირობით გაათავისუფლა პატიმრობიდან, რომ პოლიტიკაში აღარ ჩაერეოდა, რუსეთის ხელისუფლებას უჩივლა იუკოსის გამო, თუ არ ვცდები, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში. რუსეთს ხოდორკოვსკის სასარგებლოდ 40 მილიარდი დოლარის გადახდა დააკისრეს, რუსეთი გამოვიდა შესაბამისი კონვენციიდან, ფული არ გადაუხადა ნაძირალა ხოდორკოვსკის, შემდეგ კი მიიღო კანონი, რომლის ძალითაც რუსეთის კანონები უპირატესია ნებისმიერ საერთაშორისო კანონზე. აი, კიდევ ერთი გამოხატულება „სუვერენული დემოკრატიისა". რუსეთი თავისი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს და არა ისე, როგორც ჩვენ შევყურებთ სტრასბურგ-ბრიუსელ-ვაშინგტონს, — რას გადმოგვიგდებენ სამადლოდ და რას გვიბრძანებენ სანაცვლოდ.

ახლა ხელისუფლებაში მოკალათებული შინაური ლიბერასტების გასაგონად, რომლებიც გვეფიცებიან, რომ ევროპა თუ ნატო ძალით არ გაგვაელგებეტებს, ვამბობ: **ჯერ — ვინ გვილებს ან ერთში, ან მეორეში, მაგრამ ევროატლანტიკურ გაერთიანებაში შეუსვლელადაც ხომ გვაიძულეს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება?**

ამხელა რუსეთს გაუბედა ევროსასამართლომ, — გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავ და დისკრიმინაციას ეწევიო, და ჩვენ, პატარა საქართველოს, რასაც მოისურვებენ, იმას ვერ გვაიძულებს? ეს რომ არ მოხდეს, მართლმადიდებელი რუსეთის ორბიტას უნდა დავუბრუნდეთ, თუ არადა, სხვა გზა ხსნისა ვინმემ მაჩვენოს...

**დავით მხეიძე**

„დაჭაობებული პოლიტიკური ველი უნდა გაიწმინდოს და ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდნენ ახალი სახეები, ადამიანები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ იმ ბინძურ პოლიტიკურ თამაშებში, რომლებმაც საქართველოს დააკარგვინა ტერიტორიები, ხოლო ძირძველი მოსახლეობა გააღატაკა და უცხოეთში გადახვეწა“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ლევან ჩაჩუა: ქვეყანა ამ ულმერთო და უზნეო მარიონეტებისაგან უნდა გადავარჩინოთ!

**ვენეციის კომისიის თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიო მიიჩნევს, რომ საქართველოში ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონება რთული იქნება, მაგრამ ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს. შესაბამისი განცხადება მან მედიასთან გასულ კვირაში გააკეთა და აღნიშნა, რომ კანონში ოჯახის დეფინიციის ჩანაწერი ინტერპრეტირებული არ უნდა იყოს, როგორც ერთნაირსქესიანთა პარტნიორობის აკრძალვა, რაც, მისი აზრით, არსებითად განსხვავდება ქორწინებისგან: „ეს არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც ერთნაირსქესიანთა პარტნიორობის აკრძალვა, რომელიც განსხვავდება ქორწინებისგან. სხვა ევროპულ ქვეყნებში მიღებულია ორ მამაკაცსა თუ ორ ქალს შორის პარტნიორობა და არა ქორწინება ერთნაირსქესიან ადამიანთა შორის. სწორედ ამიტომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თქვა, რომ ერთნაირსქესიანი ადამიანების პარტნიორობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველგან“, — განაცხადა ბუკიკიომ.**

**კონკრეტულად რა ცვლილებებს ითხოვს ქართულ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რას მოიტანს აღნიშნული ცვლილებები და რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ეს ყველაფერი, „საქართველო და მსოფლიოს“ პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა ესაუბრება.**

**— ბატონო ლევან, ამას წინათ ვენეციის კომისიის ხელმძღვანელმა ჯანი ბუკიკიომ განაცხადა, რომ საქართველოში ერთნაირსქესიანი წყვილების სამოქალაქო პარტნიორობა კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ეს განცხადება საქართველოსთვის და რა საკანონმდებლო ცვლილებებს უნდა ველოდოთ ამ განცხადების კვალდაკვალ?**

— მოდი, ჯერ ამ ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობის ცნებაზე ვისაუბროთ. ეს არის მსოფლიოში უკვე დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული და აპრობირებული პრაქტიკა, რომლის მეშვეობითაც ევროპის არაერთ სახელმწიფოში, სადაც საზოგადოებამ არ დაუშვა ერთნაირსქესიანთა ქორწინება, მოხდა, ფაქტობრივად, ანალოგიური უფლებების მინიჭება „სექსუალური უმცირესობებისთვის“, რაც აქვთ ნორმალურ ადამიანებს. ახლა რას ნიშნავს ამის შემოღება: ნებისმიერ „წყვილს“, ქალები იქნებიან თუ მამაკაცები, შეუძლია მივიდეს საჯარო რეესტრში და განაცხადონ, რომ სურს სამოქალაქო პარტნიორობა, ანუ „ცოლქმრობა“. ამის შემდეგ ადგილობრივი კლერკი, თბილისში იქნება, თუ სადმე სხვაგან, კანონის შესაბამისად გააფორმებს მათ „სამოქალაქო ერთობას“ და ეს იგივეა, რაც ქორწინება. ანუ, ტერმინი „სამოქალაქო პარტნიორობა“, უბრალოდ, სიტყვების თამაშია, თორემ შინაარსითა და მნიშვნელობით იგი არაფრით განსხვავდება ქორწინებისგან, ამიტომ ვამბობდით თავის დროზე, როცა საუბარი იყო კონსტიტუციაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების გამომრიცხავი ჩანაწერის გაკეთების აუცილებლობაზე, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. არ ერქმევა ქორწინება — დაარქმევენ პარტნიორობას და მიენიჭებათ ანალოგიური უფლებები, რა განსხვავებაა?! ანალოგიური თვალსაზრისი გვაქვს უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვაზეც. კი, ბატონო, ჩავწეროთ კონსტიტუციაში უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვა, მაგრამ რა აზრი აქვს? **მიბრძანდით იუსტიციის სახლში და თქვენი თვალით ნახავთ უცხოელების გრძელ რიგებს, ნახავთ, როგორი ინტენსივობით რიგდება საქართველოს მოქალაქეობა და ბინადრობის ნებართვა.**

**— როგორც თქვენ ამბობთ, თუ აზრი არ აქვს კონსტიტუციაში ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების გამომრიცხავ ჩანაწერსა და უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვას, მაშინ როგორ უნდა დაუპირისპირდეს საზოგადოება ამ პროცესებს?**

— ჩვენ ვამბობთ, რომ ამ უცხო ძალების მიერ მართულ პოლიტელიტასა და მათ სატელიტ პარტიებთან რაიმე მორიგებასა და გარიგებაზე საუბარს აზრი არ აქვს. ერთ ხვრელს ამოავსებ და მის ნაცვლად ათი ჩნდება, ამიტომ ყველანაირ აკრძალვაზე მიღწეული შეთანხმება აზრს კარგავს... **ეს ხელისუფლება უნდა გავუშვათ! დაჭაობებული პოლიტიკური ველი უნდა გაიწმინდოს და სათავეში უნდა მოვიდნენ ახალი სახეები, ადამიანები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ იმ ბინძურ პოლიტიკურ თამაშებში, რომლებმაც საქართველოს დააკარგვინა ტერიტორიები, ხოლო ძირძველი მოსახლეობა გააღატაკა და უცხოეთში გადახვეწა.** ისეთ ადამიანებს უნდა ჩავაბაროთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მართვის სადავეები, რომლებიც არ ყოფილან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები, არ მიუღიათ მონაწილეობა კორუფციულ გარიგებებში, არ შეშინებიათ ქვეყნის დამაქცევარი „ნაციონალური მოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმისა, არ გაყიდულან მევახშე ოლიგარქების „ქველმოქმედებაზე“ და ყოველთვის იდგნენ საკუთარი სახელმწიფოს სულიერ-ზნეობრივი განვითარების სადარაჯოზე. აი, ასეთმა ადამიანებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე.

**— ვენეციის კომისიის ხელმძღვანელის განცხადება დირექტივას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეკომენდაციას. თქვენი აზრით, მიიღებს პარლამენტი საკანონმდებლო ცვლილებას „ერთნაირსქესიანთა სამოქალაქო პარტნიორობის“ შესახებ?**

— რა თქმა უნდა, მიიღებს! იმიტომ, რომ შესაბამის ევროპულ კონვენციას მიუერთდნენ და ანტიდისკრიმინაციული კანონიც მიიღეს. აი, ზუსტად ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი ითხოვს ერთნაირსქესიანთა შორის სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას, ამიტომ, ძალიანაც რომ უნდოდეთ, ვეღარ გადაუხვევენ თავიანთი დასავლელი ბოსების დირექტივებს. ზუსტად ამას გულისხმობდა მისი უწმინდესობა თავის დროზე, როცა აცხადებდა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის შემოღებას მოჰყვებოდა სხვა, უფრო მძიმე და მიუღებელი კანონების დღის წესრიგში შეტანა.

**— თქვით, რომ არსებულ ხელისუფლებასთან არანაირ საუბარსა და მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. გამოსავალს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაში ხედავთ?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ მივდივართ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გზით და კიდევ ვიმეორებ: ვინც ამ ხელისუფლებასთან ბინძურ მორიგება-გარიგებაშია, ის უკვე შეკრულია ამ მარიონეტებთან და მორიგება მათი პოლიტიკური ლუსტრაცია საზოგადოების თვალში.

**— ვთქვათ, ხელისუფლების სათავეში მოვიდა პოლიტიკური ძალა, რომელიც უარს იტყვის გარედან თავსმოხვეული იდეოლოგიით ქვეყნის მართვაზე და ძირითადად ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით იხელმძღვანელებს. ხომ არ გამოიწვევს ეს დასავლეთთან ურთიერთობის დაძაბვას? რას მივიღებთ რეალურად?**

— უკვე წლებია, გვესმის საუბრები იმის თაობაზე, რომ, თუ საქართველო არ გაატარებს პროდასავლურ პოლიტიკას, დაკარგავს ყველანაირ მხარდაჭერას ცივილიზებული სამყაროსგან და დარჩება სრულიად დაუცველი. ეს არის წმინდა წყლის სიცრუე და დეზინფორმაცია. წამყვანი დასავლური სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების — პირველი პირი საჯაროდ ამბობს, რომ მისთვის მიუღებელია ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებები და ე.წ. სექსუალურ უმცირესობებს შეუწყვიტა ყველანაირი დაფინანსება. საინაუგურაციო სიტყვით გამოსვლისას კი განაცხადა, რომ ამერიკა არის ქრისტიანული სახელმწიფო და თავისი ცხოვრების წესს სხვა ქვეყნებს თავს არ მოახვევს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ახლა არის ყველაზე ხელსაყრელი დრო და შანსი იმისა, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ სოროს-მაკეინების ულმერთო და უზნეო მარიონეტებისგან. ქართველი ერი უნდა დაირაზმოს და ეს ხელსაყრელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება გამოიყენოს. ვინ იცის, ხვალ-ზეგ როგორი პრეზიდენტი ეყოლება ამერიკის შეერთებულ შტატებს...

**— რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ახსენეთ, დააკმაყოფილებენ კი ამ მოთხოვნას და, თუ არ დააკმაყოფილებენ, რა გზას აირჩევთ?**

— თუ საზოგადოება დაირაზმება, გამორიცხულია, არ დააკმაყოფილდეს. ჩვენ გვაქვს მოფიქრებული ისეთი მექანიზმები, რომელთა წინააღმდეგაც ხელისუფლება ვერ წავა. მხედველობაში მაქვს საზოგადოებრივი პრესინგის ისეთი ფორმა, რომელიც ევროპაში უკვე აპრობირებულია და მას ვერ გაუძლებს ვერც ერთი ხელისუფლება. კიდევ ვიმეორებ: დღეს მსოფლიოში ფორსირებულად მიმდინარეობს გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი, რომელშიც საქართველო საერთოდ არ განიხილება და, თუ ჩვენ დროულად არ მოვეგებით გონს, ამ ხელისუფლების პირობებში სახელმწიფოებრიობას დავკარგავთ. ესენი მიუღებლები არიან, როგორც „თეთრი სახლის“ ადმინისტრაციაში, ასევე კრემლშიც. მათ პოლიტიკური პერსპექტივა არ აქვთ.

**— როგორ ფიქრობთ, მთელ ამ პროცესებში აქტიურადაა ჩართული საქართველოს საპატრიარქო და თუ იყენებს ის თავის ავტორიტეტს თუნდაც იმ მიუღებელი საკანონმდებლო ცვლილებების წინააღმდეგ, რომლებზეც ვისაუბრეთ?**

— თავის დროზე, როცა პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვა მიმდინარეობდა, მისმა უწმინდესობამ სამჯერ გააკეთა განცხადება და პირდაპირ მოუწოდა ხელისუფლებას, რომ არ დაეკანონებინათ ეს უკანონობა. უკვე 20 წელზე მეტია, ეკლესიის მრევლი ვარ და არ მახსენდება ისეთი შემთხვევა, როდესაც პატრიარქს ერთ საკითხზე სამჯერ განეცხადებინოს. **ეკლესიას აქვს ერთადერთი ბერკეტი — სიტყვა, სიმართლის თქმა, ჭეშმარიტება და, მადლობა ღმერთს, ამას ჩვენი ეკლესია იყენებს. სხვა საკითხია, ულმერთო ხელისუფლება როგორ ითვალისწინებს ეკლესიის პოზიციას.** სამწუხაროდ, მარიონეტი პოლიტელიტისთვის გარე ძალების დირექტივები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პატრიარქის სიტყვა, მაგრამ ერისთვის, აგორებული აღვირახსნილი კამპანიის მიუხედავად, ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტად მაინც დედაეკლესია რჩება. ქართველი ხალხი სწორედ მარადიული ღირებულებების გარშემო უნდა გაერთიანდეს, რათა გადარჩეს. თუ არა, საქართველოს გაინაწილებენ და, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ძალიან ბევრი ინვესტიციაც განხორციელდეს, დიდი მეგაპროექტებიც, მაგრამ აღარ გვექნება, სამშობლო — ქართული სახელმწიფო.

ღმერთმა მისცეს ჩვენს ხალხს ერთსულოვნება, რათა გავთავისუფლდეთ მტრებისგან და გადავარჩინოთ საქართველო!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«კი, ბატონო, ჩავწეროთ კონსტიტუციაში უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვა, მაგრამ რა აზრი აქვს?! მიბრძანდით იუსტიციის სახლში და თქვენი თვალით ნახავთ უცხოელების გრძელ რიგებს; ნახავთ, როგორი ინტენსივობით რიგდება საქართველოს მოქალაქეობა და ბინადრობის ნებართვა»**

**«ზუსტად ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი ითხოვს ერთნაირსქესიანთა შორის სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას, ამიტომ, ძალიანაც რომ უნდოდეთ, ვეღარ გადაუხვევენ თავიანთი დასავლელი ბოსების დირექტივებს. ზუსტად ამას გულისხმობდა მისი უწმინდესობა თავის დროზე, როცა აცხადებდა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის შემოღებას მოჰყვებოდა სხვა, უფრო მძიმე და მიუღებელი კანონების დღის წესრიგში შეტანა»**

მეტაფიზიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენმა პოლიტიკოსებმა კარგად ისწავლეს ერთი ფანდი — ხელისუფლების წიაღში იბადება ოპოზიცია, რაც ხელს უწყობს ერთი და იმავე ადამიანების პოლიტიკაში დარჩენას. „გამოცდილება“ მათ უჩვენებს, როდესაც ნავი ტორტმანობს, სხვა ნავში უნდა გადასხდნენ, ირქმევენ სხვა სახელს და სახე არ იცვლება. ასე მოხდება, სავარაუდოდ, ახლაც“.**

# მოტივტივენი

**საქართველომ დამოუკიდებლობა 27 წლის წინათ აღიდგინა და მას შემდეგ ქვეყანაში ხელისუფლება ოთხჯერ შეიცვალა, ცვლილება ხშირად რევოლუციური ან ნახევრადრევოლუციური იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იშვიათად იცვლებოდნენ აღმასრულებელ და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მყოფი ადამიანები. ბევრი ადამიანი, რომელთა სახელებთანაც დიდი და საგმირო საქმეები არ არის დაკავშირებული, ყოველთვის საპასუხისმგებლო თანამდებობებზეა, ანუ ქართული პოლიტიკის ზედაპირზე გამუდმებით ტივტივებს... ჩვენ ყურადღება რამდენიმე მათგანზე შევაჩერეთ. ვფიქრობთ, მათი ბიოგრაფია ბევრისთვის არის ცნობილი, მაგრამ კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი:**



**დავით საგანელიძე — ეკონომისტი, ექიმი, იურისტი, პოლიტიკოსი.**

1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; 1998 წელს — საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი; 2001 წელს — საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი; 2002 წელს — ბიზნესსკოლის სრული კურსი.

1983-1985 წლებში იყო მოსკოვის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის, 1986-1993 წლებში ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის, ხოლო 1986-1993 წლებში თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ქირურგი. 1987 წელს დააფუძნა სამედიცინო ფირმა „პულსი“; 1994-1999 წლებში იყო კორპორაცია GHF-ის პრეზიდენტი. იყო „თი-ბი-სი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრი (1997-1999) და სს „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (1996-1999), თბილისის საკრებულოს დეპუტატი და თავმჯდომარის მოადგილე — 2010-2012 წლებში. საგანელიძე საქართველოს მე-5 და მე-6 მოწვევის პარლამენტში „ახალი მემარჯვენეების“ სიით შევიდა, ხოლო მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი და უმრავლესობის ლიდერი „ქართული ოცნებიდან“ გახდა.

დავით საგანელიძე არაერთხელ გახვეულა სკანდალში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როდესაც იპოთეკით დაზარალებულებმა საპროტესტო აქცია გამართეს და საგანელიძის სიდედრი, **მარიკა სანოძე**, 120 ოჯახის ბინებიდან გამოსახლებაში დაადანაშაულეს...

„ქართულ ოცნებაში“ დავით საგანელიძეს თანაგუნდელებთან ურთიერთობა მალე დაეძაბა, პირველი კონფლიქტი მას პარლამენტარ **ომარ ნიშნიანიძესთან** ჰქონდა... უმრავლესობის წევრები დაუფარავად საუბრობდნენ, რომ საგანელიძე მათ განსხვავებული აზრის გამოთქმას უკრძალავდა და ითხოვდა, ყველაფერი მასთან შეეთანხმებინათ.

„ოცნების“ დეპუტატებმა, ბუნებრივია, მისთვის ანგარიშის ჩაბარება არ მოისურვეს. ამან საგანელიძე განარისხა და რამდენიმე მათგანის უმრავლესობიდან გარიცხვაც კი მოითხოვა. საკითხი პოლიტსაბჭომ განიხილა და გამამტყუნებელი განაჩენი საგანელიძეს გამოუტანა — უმრავლესობის ლიდერის თანამდებობა დაატოვებინეს.

პარლამენტარს პრობლემები სხვა ფრონტზეც შეექმნა. როცა სამეგრელოში „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა მისი ფიტული დაწვეს, ამის გამო მმართველ გუნდში შეშფოთებაც კი არავის გამოუხატავს. ეს ამბავი უმრავლესობის ყოფილ ლიდერს ძალიან სწყენია და **ივანიშვილისთვის** შეუჩივლია. იმას კი უთქვამს: „მხარში რანაირად უნდა ამოგდგომოდნენ, რომელი ილია ჭავჭავაძე შენ ხარო“.

საგანელიძე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო და ყველამ აღნიშნა, რომ არჩევნები კარგად ჩაატარა. ამის მიუხედავად, თვითმმართველობის არჩევნების წინ შტაბის უფროსად ვიცეპრემიერი **კახა კალაძე** დაინიშნა. ამის შემდეგ პარლამენტიდან საგანელიძის შესაძლო წასვლაზე ბევრი საუბრობდა...

„ქუდბედიანი“ დავით საგანელიძე საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე აღმოჩნდა და იქაც უმალვე გაეხვია სკანდალში. მთავრობამ კომპანია „ჰუმანითი ჯორჯიას“, რომელშიც საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის ძმისშვილი, **გიორგი საგანელიძე**, თავმჯდომარის მოადგილის პოსტს იკავებს, 30 მილიონი დოლარი გადასცა. საჯარო განცხადება ჯანდაცვის მინისტრმა გააკეთა, თუმცა დავით საგანელიძის ძმისშვილის შესახებ არაფერი უთქვამს.

„შეთანხმება საპარტნიორო ფონდთან და კრედიტების თაობაზე „ჰუმანითი ჯორჯიამ“ მაშინ გააფორმა, როცა ფონდს დავით საგანელიძე ხელმძღვანელობდა“, — განაცხადა „ჰუმანითი ჯორჯიას“ ხელმძღვანელმა **ანდრი კუზმამ**. „ჰუმანითი ჯორჯიას“ სტრატეგია ქართულ ბაზარზე იაფი წამლების იმპორტი, ფარმაცევტული ქარხნის მშენებლობა და პრეპარატების ექსპორტზე გატანაა.

რამდენიმე თვის წინათ კი ხმაური ატყდა საპარტნიორო ფონდის დირექტორის ანაზღაურებაზე. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა გაირკვა, რომ საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ 2016 წელს თანამდებობრივი ანაზღაურების სახით 404 250 ლარი მიიღო, რაც თვეში, საშუალოდ, 33 687.5 ლარია.

**დავით საგანელიძე არაერთხელ გახვეულა სკანდალში. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როდესაც იპოთეკით დაზარალებულებმა საპროტესტო აქცია გამართეს და საგანელიძის სიდედრი, მარიკა სანოძე, 120 ოჯახის ბინებიდან გამოსახლებაში დაადანაშაულეს**

**საქართველოში არჩევნების გაყალბება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. და როცა არჩევნების გაყალბების ხერხებსა და მეთოდებზე მიდგება საუბარი, საზოგადოებას ახსენდება რამდენიმე მოწვევის პარლამენტარი ხათუნა გოგორიშვილი.**



**ხათუნა გოგორიშვილი — ბიოლოგი.**

1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, 1981-1982 წლებში მუშაობდა ფიგურული სრიალის სპეცსკოლაში ლაბორანტად, 1987-1991 წლებში — სოფელ კიკეთის საშუალო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად, 1990-1993 წლებში იყო საქართველოს მწვანეთა მოძრაობის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, 1993-2009 წლებში — საქართველოს პარლამენტის აპარატის სპეციალისტი, აპარატის უფროსი; 2003-2004 წლებში — პოლიტიკური გაერთიანება „გაერთიანებული დემოკრატების“ სამსახურის უფროსი.

არის საქართველოს მე-6 (2004-2008), მე-7 (2008-2012), მე-8 (2012-2016) და მე-9 მოწვევის (2016-2020) პარლამენტის წევრი. საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით შევიდა, ამჟამად კი უკვე ფრაქცია „მოძრაობა თავისუფლებისთვის — ევროპული საქართველოს“ წევრია.

ხათუნა გოგორიშვილი პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდიდან დღემდე თითქმის ყველა არჩევნებზე სკანდალში ეხვეოდა. მის წინააღმდეგ საქმე პროკურატურაშიც აღიძრა, რომელშიც უცხოელი ექსპერტებიც იყვნენ ჩართულნი.

გოგორიშვილის წინააღმდეგ აღძრული რამდენიმეტომიანი საქმეები „ლამაზად“ იკვრებოდა და ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, თუმცა უშედეგოდ.

ხათუნა გოგორიშვილი თავის თავზე ამბობს: **„ადამიანის თავის ტვინი ნეირონებისგან შედგება, ნეირონები — თეთრი და რუხი ნივთიერებებისგან. როცა რუხი ნივთიერება ითიშება, ადამიანის ტვინის კონკრეტული წერტილი გათიშულია. ჩემი რუხი ნივთიერება, როგორც ჩანს, კრიტიკულ სიტუაციებშიც არ ითიშება“.**

რუხი ნივთიერება, როგორც ჩანს, არ ეთიშება არც ყოფილ რესპუბლიკელს, ამჟამად „შენების მოძრაობის“ ლიდერ დავით უსუფაშვილს.

**ხათუნა გოგორიშვილი პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდიდან დღემდე თითქმის ყველა არჩევნებზე სკანდალში ეხვეოდა. მის წინააღმდეგ საქმე პროკურატურაშიც აღიძრა, რომელშიც უცხოელი ექსპერტებიც იყვნენ ჩართულნი**



**დავით უსუფაშვილი — იურისტი, საჯარო პოლიტიკის მაგისტრი, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე 2005-2013 წლებში, მერვე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე (2012-2016).**

დავით უსუფაშვილმა 1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენობისას, 1990-1992 წლებში, მუშაობდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიულ განყოფილებაში; 1992-1994 წლებში იყო სახელმწიფო საბჭოს იურიდიული განყოფილების მრჩეველი; 1993-1995 წლებში მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებაში; იყო შესაბამისი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი. 1994 წელს იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და 1997 წლამდე — მისი თავმჯდომარე; 1999 წელს დაასრულა დიუკის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტი; 1999-2000 წლებში იყო AMEX International-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი, 2001-2005 წლებში უძღვებოდა USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებს იურიდიული რეფორმების სფეროში. 2005 წელს აირჩიეს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ; 2011 წელს პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა უსუფაშვილი კვლავ აირჩია პარტიის თავმჯდომარედ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დასახელებული იყო საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატად. არჩევნებში მან 66.09%-ით გაიმარჯვა. მე-8 მოწვევის პარლამენტმა დავით უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩია.

უსუფაშვილის ბიოგრაფიაში არ წერია, რომ ის 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი გახდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არაფერი იმალება... საქართვე- ▶

**«დავით უსუფაშვილი სოროსისა და შევარდნაძის მიერ შექმნილი ფიგურაა»**

**პარლამენტის მოქმედმა დეპუტატებმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თავიანთ ოლქებში ფულის დახარჯვაზე უარი თქვეს, — რაც საპარლამენტოზე დავხარჯეთ, ჯერ ის არ ამოგვიღიაო. მართლებიც არიან — თითოეულმა დეპუტატმა 200-დან 500 ათას ლარამდე გაისროლა და დროის ამ მცირე მონაკვეთში ამ თანხის ამოღება, მართლაც, ვერ მოახერხეს. არადა, ამის პოტენციალი (და არა პოტენცია) არსებობსო, — ასე დაჰპირდნენ მაშინ და... საბოლოოდ ხელში გაუპატიურებული კონსტიტუცია და ძალიან, ძალიან ბევრი დეპუტატისთვის ბუნდოვანი მომავალი შერჩათ.**

ჩეჰლიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლოს ყოფილმა ვიცეპრემიერმა **ავთანდილ მარგიანმა** უსუფაშვილის საიდუმლო გათქვა: „ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბევრია ისეთი, ვინც პოლიტიკური კარიერა კომუნისტურ პარტიაში დაიწყო. ისინი, ვინც თავს თანამედროვე ღირებულებების მიმდევრებად და დემოკრატიული პრინციპების დამცველად გვაჩვენებს, სწორედ კომკავშირიდან მოდიან. ასეთია რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილიც", — განაცხადა ავთანდილ მარგიანმა. უსუფაშვილმა კი თავისი კომკავშირული ბეგრაუნდი ასე ახსნა: „იმიტომ შევედი კომუნისტურ პარტიაში, რომ მისი შიგნიდან დანგრევა მინდოდა...".

აი რას ამბობდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები დავით უსუფაშვილზე:

*** თამარ ჩხეიძე, ყოფილი პარლამენტარი:**

„დავით უსუფაშვილი სოროსისა და შევარდნაძის მიერ შექმნილი ფიგურაა".

*** გიორგი გაჩეჩილაძე, მომღერალი:**

„დანამდვილებით ვიცი, რომ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში შევიდა დავით უსუფაშვილი".

*** გურამ შარაძე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:**

„უსუფაშვილი ბერძენიშვილებს სჭირდებათ ამერიკული დაფინანსებით, თინა ხიდაშელის შუამავლობითა და სოროსის სიძეობით! სოროსი და ამერიკა დარწმუნდნენ, სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად ვერ ამართლებს, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ახალი პროამერიკული ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური ოპოზიციის დაფინანსება და შექმნა, რათა საჭირო მომენტში და საჭირო დღეს ჩამოაგდონ სააკაშვილი და პრეზიდენტი ჩაანაცვლონ ხიდაშელ-უსუფაშვილი-რესპუბლიკელებით.

მთელმა ქვეყანამ იცის სააკაშვილისადმი ჩემი დამოკიდებულება, მაგრამ ამათ მაინც სააკაშვილი მირჩევნია".

*** ელიზბარ ჯაველიძე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი:**

„რესპუბლიკური პარტია შექმნილია ამერიკული სპეცსამსახურების მიერ ქართული თვითმყოფადობისა და ეკლესიის წასაბილწავად და დასანგრევად. დავით უსუფაშვილი ისეთივე პატრიოტია საქართველოში, როგორც მე — იაპონიაში".

*** ნოდარ ნათაძე, პროფესორი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი:**

„ბერძენიშვილების კა-გე-ბე-სთან თანამშრომლობის ამბავი მთელმა ქვეყანამ გაიგო, დოკუმენტებიც დაიბეჭდა პრესაში. ახლა ძმებ ბერძენიშვილებს პროდასავლურობის იმიჯის დაბრუნება უნდათ, უსუფაშვილსა და ხიდაშელს კი — პარტია, ამიტომაც აირჩიეს დავით უსუფაშვილი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარედ.

უსუფაშვილის პოლიტიკოსობაზე რაც მსმენია, კარგი და დადებითი — არც არაფერი. ვიცი, რომ უპრინციპო, დამყოლი პოლიტიკოსია და აწი ვნახოთ, როგორც პარტიის ლიდერი, როგორ შეიცვლება".

**რა განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევიან ასეთი პოლიტიკოსები? რა შექმნეს? ვინ მფარველობს? ნიჭიერი თუ, უბრალოდ, ქუდბედიანი არიან? — ამ საკითხზე კომენტარი გლობალური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანს ვთხოვეთ.**

**ნანა დევდარიანი:**

— პოლიტიკა პროცესია და ამ საქმეს პროფესიონალები უნდა მართავდნენ, მაგრამ ამ ნორმებით ბრიტანეთის მაგალითზე შეიძლება ილაპარაკო, სადაც ასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა პოლიტიკური სისტემა.

ქართულ პოლიტიკაში ხანგრძლივად მყოფი ადამიანები თავსაც ვერ დაგამახსოვრებენ, მათ სახელთან არანაირი მნიშვნელოვანი, ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება არ არის დაკავშირებული.

პოლიტიკაში ყოფნას ახლავს რისკი. დიდ პოლიტიკოსად ითვლება ის, ვისაც შეუძლია არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა და გადაჭრა, ანუ თავგანწირვა ქვეყნის საკეთილდღეოდ. სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი პოლიტიკოსები არ არიან ან იშვიათია. ადამიანი, რომელსაც პოლიტიკაში ყოფნა ხვალაც უნდა, ზეგაც და მაზეგაც, რისკზე, როგორც წესი, არ მიდის. მისი ნაბიჯები პოპულიზმზეა გათვლილი.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ფაქტორი, ვისი მოყვანილია ხელისუფლებაში ესა თუ ის პოლიტიკოსი, ვისი ხელშეწყობით მოვიდა. ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკოსი ანგარიშვალდებულია იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც ის მოიყვანა და დასვა, ასეთები ხალხზე არ ზრუნავენ. **პოლიტიკოსი, რომელიც ხალხის წინაშე თავს ვალდებულად არ თვლის, პოლიტიკიდან უნდა მიაბრძანო.**

ჩვენმა პოლიტიკოსებმა ხალხს გასაღები მოუძებნეს. მეოთხედ შეიცვალა ხელისუფლება და არჩევნები არასდროს ჩატარებულა სამართლიანად. ერთადერთი სამართლიანი არჩევნები კომუნისტების პერიოდში ჩატარდა, როდესაც უმრავლესობით მოვიდა „მრგვალი მაგიდა". მერე იყო „მოქალაქეთა კავშირი", რომელმაც ჯერ ჩვეულებრივი უმრავლესობა მოიპოვა, შემდეგ კი — საკონსტიტუციო უმრავლესობა. ასე იყო სააკაშვილის პერიოდშიც, ასეა დღესაც...

ჩვენმა პოლიტიკოსებმა კარგად ისწავლეს ერთი ფანდი — ხელისუფლების წიაღში იბადება ოპოზიცია, რაც ხელს უწყობს ერთი და იმავე ადამიანების პოლიტიკაში დარჩენას. „გამოცდილება" მათ უჩვენებს, როდესაც ნავი ტორტმანობს, სხვა ნავში უნდა გადასხდნენ, ირქმევენ სხვა სახელს და სახე არ იცვლება. ასე მოხდება, სავარაუდოდ, ახლაც.

ახალ ხელისუფლებაში ძველი სახეები რომ არ დარჩნენ, ეს ამომრჩეველმა უნდა მოახერხოს.

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# პოტენციიდან იმპოტენციამდე

**როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ქუჩაში ავტომატიანი ახალგაზრდები დარბოდნენ, უფროსები ამბობდნენ, — ვინმე გვინდა, ვინც ამ ყველაფერს დაალაგებს, საქართველოს დიდი პოტენცია აქვსო. ამას უმრავლესობა გაიძახოდა და მერე რა, რომ პოტენცია პოტენციალში ერეოდა. შემდეგ საქართველოში ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა და, პოტენციის რა გითხრათ, მაგრამ პოტენციალი ნამდვილად მოკვდა. ავიტუზეთ ნატოსა თუ ევროკავშირის კართან: ჯერ მორიდებით ვაკაკუნებდით, შემდეგ ვაბრახუნებდით, ბოლოს მტვრევაზეც გადავედით, მაგრამ იმ კარის ნამტვრევები 2008 წელს დაგვატყდა თავს ნაფოტებად...**

ახლა, როცა ისევ იმ კართან ვართ ატუზული და დაბრახუნებაც ლიმიტირებულია, ხელისუფლებამ ნარკოლიბერალიზაცია გამოაცხადა და, თუ მოქმედ პარლამენტარს დავუჯერებთ, მარიხუანის ჭარბი მოხმარება იმპოტენციას იწვევს. ჰოდა, ახლა იმას მოგიყვებით, როგორ მივედით დიდი პოტენციიდან იმპოტენციამდე.

წარსული წლების გახსენებას არ ვაპირებთ, წინა ნომრებში ბევრი ვისაუბრეთ, დღევანდელობაზე უნდა ვიმსჯელოთ, იმაზე, რაც გვაქვს, რაც არ გვაქვს და რაც არასდროს გვექნება. ერთ კაცს, **ბიძინა ივანიშვილს**, ჩამოკიდებულმა ხელისუფლებამ აგერ უკვე მეხუთე წლის ათვლა დაიწყო და, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, დაპირებული საოცარი და აღმავალი წლებიდან ჯერჯერობით მხოლოდ მოთხრილი ხეები და ისევ გაუგებარი დაპირებები მივიღეთ. **ის, რომ საქართველოს მთავარ კანონს ხელისუფლება ისე ექცევა, როგორც სააკაშვილის მთავრობა ექცეოდა პატიმრებს, მივეჩვიეთ. ისე, მასშტაბებს გააჩნია, თორემ, თუ გახსოვთ, წინა ხელისუფლებას ძეგლების გადატანა-გადმოტანის მანია ჰქონდა, ეს ხელისუფლება კი ხეებს დაატარებს და ნამდვილად ვერ გეტყვით, ამით რა სიამოვნებას იღებს. სიამოვნებაზე კი აქცენტს სათაურში მოყვანილი ფრაზის გამო ვაკეთებთ, რაც უნდა იყოს, პოტენცია სიამოვნებასთან კავშირშია ზუსტად ისე, როგორც ხელისუფლებაა ყოფილ პრემიერთან კავშირში და...**

სამთავრობო კულუარებში ამბობენ, რომ **ყოფილი პრემიერი მთლიანად ხეებზე გადაერთო და ის „ხეები", რომლებიც თვითონ მოიყვანა ხელისუფლებაში, კალთიდან ჩაიხსნა. რადგან მოსახლეობას ვილაცის იმედი უნდა ჰქონდეს საარჩევნოდ?** არქიფო სეთური ხომ გახსოვთ, — იმედის მოფიქრებაა ყველაზე ძნელი, თორემ, ეგ თუ მოიფიქრე, მერე არაფერი გიჭირსო. სეთურის მონების მდგომარეობამდე რამდენი გვიკლია, სიმართლე გითხრათ, ეგეც აღარ ვიცი. აღარ ვიცი იმიტომ, რომ ვერც ისინი ხვდებოდნენ, შავ დღეში რომ იყვნენ მამა-მარჩენალის ხელში და შიშიც კი მაქვს, ვაითუ, ჩვენც მაგ დღეში ვართ და ვერ ვხვდებით-მეთქი.

რადგან სეთური ვახსენეთ, ხლისტებზეც ვთქვათ. **ხლისტობის განცდას წინა ხელისუფლება ტოვებდა, ბუდარიხებით რომ იყო სავსე, და იმ ბუდარიხებს ნებისმიერი ხლისტის ლოგინში შეძრომის უფლება ჰქონდათ. ვხედავდით ამძუვნებული დიაცების როკვას და ხმას არ ვილებდით. ახლა კი ამბობენ, ამძუვნებულმა დიაცებმა კულუარებში გადაინაცვლეს და იქიდან განაგრძობენ მთავრობის უმაღლესი ეშელონების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებში უხეშ ჩარევასო.** ბედი გვაქვს ისეთი, დათა თუთაშხია რომ გამოგვიჩნდეს, წიწამურის გავლით წავიყვანთ ხიბულაში, ამიტომ ხალხის მხსნელი მესიის მოლოდინი ფუჭია. აი, მთავრობის მხსნელ მესიას რაც შეეხება, გეტყვით, რომ სასწორის პინას ის გადაწონის, ვინც მეტ ფულს დადებს. ფული კიდევ, მოგეხსენებათ, საქართველოში ოდითგანვე ყველას და ყველაფერს წონიდა და...

ხელისუფლებას ფინანსური გაჭირვება რომ აქვს, არახალია. როგორც შავი, ისე თეთრი სალარო, ამ წინასაარჩევნოდ დაცარილებულია და, თუ თეთრი სალაროს, ანუ ბიუჯეტის შევსებას ხელისუფალნი არჩევნების შემდეგ ბუნებრივ აირზე, დენსა და წყალზე ტარიფების მომატებით ფიქრობენ, შავი სალაროს შემვსები არ ჩანს. უფრო კონკრეტულად, ის კაცი არ ჩანს, რომელიც ფულს იმისთვის დახარჯავს, რომ მმართველი პარტია ისევ მმართველად დარჩეს და თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ რომელიმე მუნიციპალიტეტში ან მუნიციპალიტეტებში სიტუაცია ხელიდან არ გაექცეს.

ჩვენი ინფორმაციით, პარლამენტის მოქმედმა დეპუტატებმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თავიანთ ოლქებში ფულის დახარჯვაზე უარი თქვეს, — რაც საპარლამენტოზე დავხარჯეთ, ჯერ ის არ ამოგვიღიაო. მართლებიც არიან — **თითოეულმა დეპუტატმა 200-დან 500 ათას ლარამდე გაისროლა და დროის ამ მცირე მონაკვეთში ამ თანხის ამოღება, მართლაც, ვერ მოახერხეს. არადა, ამის პოტენციალი (და არა პოტენცია) არსებობსო, — ასე დაჰპირდნენ მაშინ და... საბოლოოდ ხელში გაუპატიურებული კონსტიტუცია და ძალიან, ძალიან ბევრი დეპუტატისთვის ბუნდოვანი მომავალი შერჩათ. სანაძლეოს დაგიდებთ, ორი მოსმენით მიღებული კონსტიტუციის კანონპროექტი ხელის ამწევთა (ღილაკზე დამჭერთა) აბსოლუტურ უმრავლესობას წაკითხულიც არ აქვს, მაგრამ არც სჭირდება. მათ არც სკოლაში მოუკლავთ თავის დროზე კითხვით თავი, მაგრამ ახლა დეპუტატები ჰქვიათ, ნდობის მანდატი უჭირავთ ხელში და... კიდევ რა უჭირავთ, თავად უკეთ იციან და იმასაც ხვდებიან, დიდი შანსია, თუ ვერ ივარგეს, ბოლოს სწორედ ეს დაჭერილი შერჩეთ... ხელში.**

ჰოდა, იმას გეუბნებოდით, წინასაარჩევნოდ მმართველ გუნდს შავი ფული არ აქვსმეთქი და ნაციონალებთანაც მისულა თურმე ფორთხვით მოენე, — „ოცნებას" მეზარბაზნეები არ ჰყავსო. გაგიკვირდებათ და, ამ ინფორმაციამ ნაციონალებზე საინტერესოდ იმოქმედა. ბევრმა გადაწყვიტა, პორტირებისთვის სწორედ ახლაა საუკეთესო დროო, და „ოცნების" ნავში გადახტომა მოისურვა, სანაცვლოდ კი შავ სალაროში არცთუ ცოტა შენატანის გაკეთებას დაჰპირდა ხელისუფალთ და... ახლა **ამბობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე რეგიონებში ნაციონალების კანდიდატებით გაიძეძგება „ოცნების" სიებიო და ამის პირველი ნიშნები უკვე არსებობს, რაც ადგილობრივ აქტივში უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ... ერთი მხრივ, არის „სად მაქვს ფული მე უბედურს" და, მეორე მხრივ, „ფული, ბაბა, ბევრი ფული"... როგორც წესი, ეს მეორე მხარე იმარჯვებს ხოლმე და, დიდი ალბათობით, ახლაც ასე იქნება.**

ჰოდა, ამ ყველაფრის ფონზე, ის აქტივი, რომელიც „ოცნებას" 2012 წლიდან მხარში უდგა და დაპირებულ სიკეთეს დღემდე ელის, მარიხუანის გარეშეც მივიდა იქამდე, რომ საარჩევნოდ იმპოტენტი გახდა, ანუ მათ აღარ უნდათ, აღარ სჯერათ და საუკეთესო შემთხვევაში განზე დგომას აპირებენ, ცუდ შემთხვევაში კი სხვა პარტიებში გარბიან და მათ ეხმარებიან, რაც თავისთავად „ოცნების" წისქვილზე წყალს არ და ვერ დაასხამს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მმართველი გუნდის წევრები მაქსიმალურად ცდილობენ, საბანი თავისკენ გაქაჩონ, მაგრამ ეს საბანიც, დიდი ხანია, გაიხა და შუაში, ანუ კორპოტაში დარჩენილებს ამ გახეული საბნიდან ზუსტად ის ნაწილი უჩანთ, რომელიც თბილისის გასასვლელში მდგარ აღმაშენებლის ცხენს, მაგრამ სირცხვილისთვის არ ცხელათ, მათი ბედი ახლა წყდება, თანაც, როგორი ბედი — მომდევნო სამი წელი მშვიდად იქნებიან თუ ისევ ხმელი პურის ჭამა მოუწევთ?

ამ ყველაფრის ფონზე, დიდი პოტენციის მქონე მომავლიდან იმპოტენციის დონემდე მისული აწმყო შეგვრჩა ხელში და, თუ ასე გაგრძელდება, შორს არ არის ის დრო, როცა მთავარი საკითხი ის კი არ იქნება, რა გველის წინ ან სად და ვის კარზე უნდა ვაბრახუნოთ, არამედ ის, ვინ დაგვიბრახუნებს ჩვენ — იმ ადამიანებს, რომელთა არსებობაც არჩევნებიდან არჩევნებამდე ახსენდებათ და... ფრთხილად იყავით, ბატონებო, ვინმემ ამომრჩეველს უფასოდ ვიაგრა არ დაურიგოს, თორემ გამწარებულ ხალხს ვერც ნატო დაიჭერს და ვერც ევროკავშირი. აქეთ არ დაიჭირონ... ნატო...

**ბესო ბარბაქაძე**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიმე თვეა, საშუამავლო კომპანია ALIANT TECHSISTEMS OPERATION-ის მეშვეობით აშშ მოლაპარაკებებს აწარმოებს საქართველოს მთავრობასთან იარაღის შესყიდვის თაობაზე. ამას ადასტურებს პენტაგონის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტები, მათ შორის, კონტრაქტი აშშ-სა და საქართველოს შორის 1 855 251 დოლარის იარაღის მიწოდებაზე სირიის ოპოზიციისთვის.**

# სირიის ე.წ. ოპოზიციისთვის იარაღის მიყიდვის სკანდალში საქართველო აღმოჩნდა ჩათრეული

## საქართველოს ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რომ სირიის კონფლიქტის მონაწილე ხდება და რუსეთსა და თურქეთს უპირისპირდება

**ამერიკის შეერთებული შტატები სირიაში მშვიდობის დამყარებაზე რომ არ ფიქრობს და მილიონობით დოლარს ხარჯავს თავისი ინტერესების გასატარებლად, ანუ სირიის ე.წ. ოპოზიციის, სინამდვილეში, ტერორისტული დაჯგუფებების შესაიარაღებლად, ახალი ამბავი არ არის. უცხოეთის მედიასაშუალებებში, მათ შორის, ამერიკულ გამოცემებშიც, არაერთი წერილი გამოქვეყნებულა აშშ-ის მიერ სხვადასხვა დაჯგუფებისთვის იარაღის მიწოდებასა და ამით კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავებაზე. ახლახან კი აშშ-ის მიერ საქართველოში საბჭოური იარაღის შესყიდვისა და სირიაში გადატანის თემაზე კიდევ ერთი სკანდალი ააგორა ამერიკის გამოზრდილ და „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილ მიხეილ სააკაშვილთან, იურიდიულად თუ არა, იდეურად და მისწრაფებებით დაკავშირებულმა ტელევიზია „რუსთავი 2“-მა. სამწუხაროა, რომ ამ სკანდალში ფიგურირებს საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო, რომელიც, შესაძლოა, იარაღის გაყიდვის კორუფციულ გარიგებაშია ჩართული. საგანგაშოა, რომ, თუ აშშ-მა საქართველოში შესყიდული იარაღი გადასცა სირიაში მოქმედი ქურთების მუშათა პარტიის მხარდამჭერ მებრძოლებს, რომლებსაც თურქეთი დაუძინებელ მტრად მიიჩნევს, თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბება. ამასთანავე, საქართველოს ურთიერთობა ძალიან შეიძლება დაიძაბოს რუსეთთან, რომელსაც სირიაში თავისი ინტერესები აქვს და მხარს პრეზიდენტ ბაშარ ასადს უჭერს.**






„ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის კვლევის“ საერთაშორისო ორგანიზაციისა და „რუსთავი 2 “-ის ჟურნალისტების გამოძიების შედეგების მიხედვით, უკვე რამდენიმე თვეა, აშშ საშუამავლო კომპანია Aliant techsistems operation-ის მეშვეობით მოლაპარაკებებს აწარმოებს საქართველოს მთავრობასთან იარაღის შესყიდვის თაობაზე. ამას ადასტურებს პენტაგონის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტები, მათ შორის, კონტრაქტი აშშ-სა და საქართველოს შორის 1 855 251 დოლარის იარაღის მიწოდებაზე სირიის ოპოზიციისთვის.

პენტაგონის ოფიციალურ ვებგვერდზე რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით, ამერიკულმა მხარემ სირიელებისთვის იარაღის შესასყიდად საქართველოს მიმართა და ამისთვის აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა შუამავალ კომპანიასთან კონტრაქტიც გააფორმა. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტსა და კერძო კომპანიას შორის იარაღის შესყიდვის კონტრაქტს 2016 წლის 22 სექტემბერს მოეწერა ხელი. შესყიდვა 2017 წლის 23 მარტს უნდა დასრულებულიყო. პენტაგონის ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ალიანტ ტექსისტემსს“ (Alliant Techsistems), კონტრაქტის მიხედვით, 1 855 251-ზე მეტი დოლარის იარაღი უნდა შეეძინა საქართველოში. ციფრული კოდით დასტურდება, რომ ლაპარაკი შეიძლება იყოს ყველანაირ იარაღზე, რომელიც 30 მმ-ზე მეტი კალიბრისაა.

ვინაიდან პენტაგონის ვებგვერდზე მითითებული კონტრაქტის თარიღის მიხედვით იარაღის შესყიდვის პროცესი უკვე დასრულებული უნდა იყოს და ეს იარაღი საქართველოში უნდა შეესყიდათ, პენტაგონის შუამავალ კომპანიას საქართველოსთან კონტრაქტი უკვე გაფორმებული უნდა ჰქონდეს, მაგრამ საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია** ასეთი დოკუმენტის არსებობას უარყოფს. მის უწყებაში კი აცხადებენ, რომ სამინისტროს დაქვემდებარებული სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ მხოლოდ ახლა აწარმოებს ამერიკის მთავრობასთან მოლაპარაკებებს გარკვეული სახეობის სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებაზე.

**„დოკუმენტი პენტაგონის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი სატენდერო საბუთებია. მივმართე პენტაგონსაც და ყველა ქართულ უწყებასაც. გვინდა, ვიცოდეთ, საქართველოში დამზადებულ პროდუქციაზეა ლაპარაკი თუ სხვა რამეზე, რომელიც სხვა ქვეყნიდან საქართველოს გავლით გაიყიდა სირიისთვის“,** — განუცხადა „ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის კვლევის პროექტის“ ერთ-ერთმა რედაქტორმა **დეივ ბლოსმა** „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოსტსკრიპტუმის“ ჟურნალისტებს და დასძინა, რომ **მას შემდეგ, რაც პენტაგონს შეკითხვებით მიმართა, ამ უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში გაქრა ჩანაწერი, რომ იარაღი, რომელიც საქართველოში უნდა შეესყიდათ, სირიისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა დედანი უკვე ჩამოტვირთული ჰქონდა.**

დეივ ბლოსის თქმით, პენტაგონი სირიის ოპოზიციური ძალებისთვის საბჭოურ შეიარაღებას შეისყიდის. ეს ინფორმაცია „პოსტსკრიპტუმს“ პენტაგონშიც დაუდასტურეს, როცა კითხვები დაუსვეს. აი აშშ-ის თავდაცვის უწყების პასუხები:

„**1.** თავდაცვის დეპარტამენტმა ხელი მოაწერა კონტრაქტს „ალიანტ ტექსისტემთან“. კონტრაქტით გათვალისწინებული აღჭურვილობა მოწოდებული ჯერ არ არის.

**2.** უსაფრთხოების მიზნით ვერ გავასაჯაროებთ შესასყიდი საქონლის ტიპსა და რაოდენობას.

**3.** მოწოდების წყარო და მოწოდებული მასალის მდებარეობა ამერიკულ კომპანიასა და მის მომწოდებელს შორის მოლაპარაკების თემაა.

**4.** ჯერჯერობით მოწოდება არ მომხდარა. მოწოდების მეთოდი და მარშრუტი ჯერ კიდევ მუშავდება.

**5.** აღნიშნული კონტრაქტის მიხედვით, აღჭურვილობით დახმარება განკუთვნილია შეერთებული შტატების მთავრობისთვის, რათა მან მოამარაგოს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ მებრძოლი ოპოზიციური ძალები სირიაში“.

ჟურნალისტების აზრით, ამ პასუხების მიხედვით მაინც გაურკვეველია, დაკავშირებულია თუ არა „დელტას“ მიერ წარმოებული მოლაპარაკებები კონკრეტულად პენტაგონის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში ნახსენებ იარაღის შესყიდვასთან. თუ არა, მაშინ გაუგებარია, რა შესყიდვაზეა ლაპარაკი. თუ იარაღი საქართველოში შეისყიდეს, რასაც არავინ ადასტურებს, ხომ შეიძლება, რომ ამ დოკუმენტში ნახსენები იარაღი კანონის დარღვევით გაყიდულიყო?

ამ კითხვაზე პენტაგონს ეს პასუხი აქვს:

**„შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი ცდილობს საბჭოთა ეპოქის იარაღისა და საბრძოლო მასალის შესყიდვას, რათა მხარი დაუჭიროს სირიის ოპოზიციური ძალების ოპერაციებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. შესყიდვა გულისხმობს, რომ შეერთებული შტატები აღჭურვილობას გამოიყენებს მსოფლიოში თავდაცვის მიზნით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აშშ-ს არანაირი საფუძველი არ აქვს, ივარაუდოს, რომ დაირღვა აშშ-ისა და საქართველოს კანონები იარაღით ვაჭრობის შესახებ. თავდაცვის დეპარტამენტის პროცედურები ვარაუდობს, რომ შესყიდვა საქართველოში ლეგიტიმური იყო“.**

აქ ჟურნალისტებს უჩნდებათ ლოგიკური კითხვები: **რატომ არ ემთხვევა ერთმანეთს საქართველოსა და აშშ-ის განცხადებები? თუ კონტრაქტი არ არსებობს, რატომ წერდა ამის შესახებ პენტაგონი, ხოლო, თუ კონტრაქტი გაფორმებულია, რატომ მალავს ამას საქართველო? ან, თუ ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს თავდაცვის უწყებაში არ არსებობს, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ საქმე გვაქვს საქართველოს მხრიდან იარაღის უკანონო ვაჭრობასთან, კორუფციულ გარიგებასთან, რომელიც ძალიან მძიმე საერთაშორისო დანაშაულია მძიმე შედეგებით?**

ცნობილია, რომ აშშ და მისი ევროპელი პარტნიორები სირიის პრეზიდენტ **ბაშარ ასადის** წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს ქურთი ხალხის დამცველ ჯგუფად წოდებულ რაზმებს უჭერენ, თურქეთი კი მათ დაუძინებელი მტრის – ქურთების მუშათა პარტიის — ნაწილად მიიჩნევს და შიშობს, რომ ეს რაზმები გადაცემულ იარაღს ასადთან ბრძოლის შემდეგ თურქეთის წინააღმდეგ გამოიყენებენ.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში შეძენილი იარაღი გადასცეს ქურთების იმ რაზმებს, რომლებსაც თურქეთი ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს, საქართველო სირიაში კონფლიქტის მონაწილე მხარე ხდება და საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბება. ამასთანავე, კიდევ უფრო გაუარესდება საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან... ექსპერტ **სოსო ცინცაძის** აზრით, თურქეთის პრეზიდენტი განრისხდებოდა, როცა შეიტყობდა, რომ საქართველო, თუმცა არა უშუალოდ, იარაღს აწვდის ქურთებს.

აშშ-ის მიერ საქართველოში იარაღის შესყიდვისა და შემდეგ სირიაში გაგზავნის თემაზე ატეხილი სკანდალი, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა ჩათრეული, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს ხელისუფლება მონასავით შესციცინებს თვალებში ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორს, მის მითითებებს სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებს და სულაც არ ადარდებს, რომ სირიის კონფლიქტში მონაწილეთა შორის აღმოჩნდება და დაუპირისპირდება ორ ისეთ სახელმწიფოს, როგორიც არის რუსეთი და თურქეთი. არც ის ადარდებს, რას მოუტანს რუსეთთან და თურქეთთან დაპირისპირება ჩვენს ქვეყანასა და ხალხს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**პენტაგონის ტენდერში გამარჯვებულ კომპანია «ალიანტ ტექსისტემსს» (Alliant Techsistems), კონტრაქტის მიხედვით, 1 855 251-ზე მეტი დოლარის იარაღი უნდა შეეძინა საქართველოში. ციფრული კოდით დასტურდება, რომ ლაპარაკი შეიძლება იყოს ყველანაირ იარაღზე, რომელიც 30 მმ-ზე მეტი კალიბრისაა**

**ცნობისთვის: გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო ქსელი, რომლის ერთ-ერთი რედაქტორიც დეივ ბლოსია, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა იარაღის შესყიდვაზე სტატიების სერიას ამზადებს. ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ 2016 წელს პენტაგონმა სირიაში, სულ ცოტა, 500 მილიონი დოლარის იარაღი ჩაიტანა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, აგრეთვე, ყაზახეთიდან — ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარმტყორცნები, ტყვია-წამალი, ჭურვები. ახლა კი ამ ქვეყნების სიას, შესაძლოა, საქართველოც დაემატოს.**



**საქართველო და უკრაინა ხომ ააყვავა სააკაშვილმა თავისი რეცეპტებით და ახლა, პოროშენკოს მუქარით შეშინებული, აღმოსავლეთი აფრიკის ქვეყანას — ტანზანიას მიადგა, ეტყობა, ამერიკელი პატრონების კიდევ ერთი ბიძგის შემდეგ, ფეხი კი არა, როგორც იტყვიან, „კრიშა“ დაუცურდა.**

«აფრიკის შუქურა»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიშა აფრიკაშიც მიშაა!

## ფეხი დაუცურდა, დაეცა და, გონს რომ მოეგო, იყო... აფრიკაში

**ბევრს, ალბათ, ახსოვს შესანიშნავი რეჟისორის — ლეონიდ გაიდაის („კავკასიის ტყვე ქალი“, „ოპერაცია „ი“ და შურიკის სხვა ფათერაკები“, „12 სკამი“, „ივან ვასილევიჩი იცვლის პროფესიას“ და სხვ.) ფრაზა კომედიური ფილმიდან „ბრილიანტის ხელი“, რომელსაც ასევე შესანიშნავი მსახიობის, იური ნიკულინის, გმირი ამბობს, როცა ხელის მოტეხის მიზეზს ეკითხებიან: „ფეხი დამიცურდა, დავეცი, გონს რომ მოვეგე, თაბაშირი მქონდა“.**

სწორედ ასეთი რამ დაემართა მიხეილ სააკაშვილს 2003 წლის ნოემბერში: ამერიკელმა პატრონებმა „ვარდების“ (რომელიც ბრილიანტის ტოლფასი იყო) ხელი უბიძგეს, ფეხი დაუცურდა, დაეცა და, გონს რომ მოეგო, საქართველოს პრეზიდენტის სავარძელში იჯდა.

აი აქედან დაიწყო საქართველოსა და ქართველი ხალხის 9-წლიანი ტანჯვა-წამება: ათობით მოკლული ახალგაზრდა ქუჩაში, ბიზნესების წართმევა-გადაფორმება, ციხეების გადავსება პატიმრებით, მათი ცემა-ტყეპა და ცოცხებით გაუპატიურება, კონსტიტუციის ჭრა-კერვა და საკუთარ თავზე და ფავორიტ ქალებზე მორგება, 2008 წლის აგვისტოს ომი და სამაჩაბლოსა და კოდორის ხეობის დაკარგვა (სააკაშვილის განცხადებით, რამდენიმე სოფელი), ჰალსტუხის ღეჭვა და გორში თვითმფრინავის ხმის გაგონებისას მიწაზე სამარცხვინო ხოხვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ბერნარ კუშნერისა** და უამრავი ჟურნალისტის თვალწინ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლა, განათლების სისტემის განადგურება, საბიუჯეტო თანხების ფლანგვა — ელიტური მასაჟისტ დოქტორ **დოტის** ჩამოყვანა და ბიუჯეტიდან მილიონის გადახდა, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით სამკაულების შეძენა ფავორიტი ქალებისთვის და ა.შ.

2012 წელს კი, როდესაც ქართველმა ხალხმა არჩევნების გზით ბოლო მოუღო სააკაშვილსა და მისი „ნაციონალური მოძრაობის“ პარპაშს ქვეყანაში, ამერიკელმა პატრონებმა მიშას მეორედ წააშველეს ხელი, ამჯერად — „ნარინჯისფერი რევოლუციის“ (აგრეთვე, ბრილიანტის ტოლფასი) შედეგად, კვლავ დაუცურდა ფეხი, დაეცა და, გონს რომ მოეგო, იმავე ამერიკელების მიერ პრეზიდენტად ხელდასხმული **პეტრე პოროშენკოს** უკრაინაში ამოყო თავი, ოდესის გუბერნატორის სავარძელში.

მაგრამ ანცმა მიშიკომ უკრაინაშიც ვერ მოისვენა და ისე შეაძულა თავი იქაურებს, რომ, გუბერნატორად დანიშვნიდან რამდენიმე თვეში, 2015 წლის აგვისტოში, ოდესელებმა ქალაქის ცენტრში სააკაშვილისა და მისი ამერიკელი პატრონის — **ბარაკ ობამას** კარიკატურული სკულპტურა დადგეს: ობამას სადავით უჭირავს სააკაშვილი, რომელსაც უკანალში ცოცხი აქვს გარჭობილი და ჰალსტუხს ღეჭავს.

რამდენიმე დღის წინათ კი ქალაქ კრივოი როგში მოსახლეობასთან შეხვედრისას სააკაშვილს ჯერ კვერცხები დაუშინეს, შემდეგ ბრილიანტის მწვანე შეასხეს ამ მართლაც „ბრილიანტივით“ ელვარე „დემოკრატიის შუქურას“. სააკაშვილმა არა მხოლოდ უკრაინელი მოქალაქეების, არამედ უკრაინის პრეზიდენტის რისხვაც დაიმსახურა, რადგან ოპოზიციური პარტია შექმნა და პეტრე პოროშენკოს დამხობას ცდილობს. როგორც სააკაშვილის თანამებრძოლმა, საქართველოს მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად უკრაინის მოქალაქემ და უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილმა მოადგილემ **დავით საყვარელიძემ** განაცხადა, ამის გამო პოროშენკო ექსგუბერნატორს უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევითა და საქართველოში ექსტრადიციით დაემუქრა. არადა, საქართველოში მასზე ძებნაა გამოცხადებული და ციხის კამერაც გამზადებულია.

**„არ ვიცი, რას აკეთებს ბატონი სააკაშვილი უკრაინაში. ის ჩემს დასახმარებლად იყო მოწვეული, მაგრამ შედეგებს ხედავთ. მას მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია“,** — განაცხადა პეტრე პოროშენკომ, რომელიც საქართველოში ვიზიტს გეგმავს.




**აი აქ ჩამოჰკრა სააკაშვილისთვის უბედურების ზარმა და საქართველოში ექსტრადიციისა და სასამართლოს წინაშე წარდგომის არასახარბიელო პერსპექტივას გორში ნაცადი ხერხით აარიდა თავი — გახოხდა... აფრიკაში. როგორც ჩანს, ამერიკელმა პატრონებმა კვლავ უბიძგეს ხელი, ამჯერად „აფრიკის“. სააკაშვილსაც კვლავ დაუცურდა ფეხი, დაეცა და... გონს რომ მოეგო, აფრიკაში იყო — ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში**







კრივოი როგში სააკაშვილს ბრილიანტის მწვანე შეასხეს

**აი აქ ჩამოჰკრა სააკაშვილისთვის უბედურების ზარმა და საქართველოში ექსტრადიციისა და სასამართლოს წინაშე წარდგომის არასახარბიელო პერსპექტივას გორში ნაცადი ხერხით აარიდა თავი — გახოხდა... აფრიკაში.**

**როგორც ჩანს, ამერიკელმა პატრონებმა კვლავ უბიძგეს ხელი, ამჯერად „აფრიკის“. სააკაშვილსაც კვლავ დაუცურდა ფეხი, დაეცა და... გონს რომ მოვიდა, აფრიკაში იყო — ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში.**

„22 ივნისს ორი მოწვევა მაქვს: ერთი — მსოფლიოს ბანკისგან და ტანზანიის მთავრობისგან. მეპატიჟებიან დარ-ეს-სალამში კორუფციასთან ბრძოლის კონფერენციაზე, სადაც მთავარი მომხსენებელი უნდა ვიყო. კორუფციასთან ბრძოლის ჩემეული რეცეპტი უნდა გავუზიარო; მეორე მოწვევა კი — ბრიუსელში ევროპის სახალხო პარტიის სამიტზე.

წყარომ შემატყობინა, რომ ბრიუსელის შემდეგ უკრაინაში აღარ შემიშვებენ, რადგან პოროშენკო მოქალაქეობას ჩამომართმევს, რაც, რასაკვირველია, უკრაინის კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება. როგორც ჩანს, საქმე იმაშია, რომ პრეზიდენტი ღელავს, რომ, პროტოკოლის მიხედვით, ბრიუსელში მასთან ერთად მაგიდასთან დამსვამენ და გადაწყვიტა, დავეშინებინე (არადა, რა ძნელია სააკაშვილის შეშინება, მსოფლიომ იცის — ნ. კ.), რომ არ გავემგზავრო.

თავიდანვე არ ვაპირებდი ბრიუსელში გამგზავრებას, მივფრინავდი აფრიკაში. ასე რომ, პეტრო ალექსეევიჩ, ვაშინგტონში თქვენი სანერვიულო ვიზიტის შემდეგ, დამატებით ჩემზე ნერვიულობა არ ღირს! მე არ გაგიფუჭებთ განწყობას, რადგან 11 ათასი კილომეტრის დაშორებით ვიქნები. მოიშორეთ ეგ დესტრუქციული ფიქრები ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე, მე მაინც ჩამოვალ მშობლიურ კიევში, და არა იმისთვის, რომ გედავოთ, არამედ იმისთვის, რომ უკრაინასა და უკრაინელების გამარჯვებისთვის ვიბრძოლო!“ — დაწერა „გულადმა“ მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში.

სააკაშვილმა ტანზანიაში ჩასვლის შემდეგ ამ ქვეყნის ვიცეპრეზიდენტ **სამია სულუჰუ ჰასანთან** გადაღებული ფოტოები გამოაქვეყნა: **„დავიწყე შეხვედრები ტანზანიაში. ქვეყნის მთავრობასთან. პირველი შეხვედრა ვიცეპრეზიდენტ სამია ჰასანთან და მინისტრებთან. მე ვუზიარებ კორუფციასთან ბრძოლის ჩემს რეცეპტებს“.**

საქართველო და უკრაინა ხომ ააყვავა სააკაშვილმა თავისი რეცეპტებით და ახლა, პოროშენკოს მუქარით შეშინებული, აღმოსავლეთი აფრიკის ქვეყანას — ტანზანიას მიადგა, ეტყობა, ამერიკელი პატრონების კიდევ ერთი ბიძგის შემდეგ ფეხი კი არა, როგორც იტყვიან, „კრიშა“ დაუცურდა.

მოკლედ, ბრილიანტივით მოელვარე მიშა აფრიკაშიც მიშაა.

**ნიკა კორინთელი**

**P.S. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა, ტანზანიაში „კორუფციასთან მებრძოლმა“ და ამერიკელთა მიერ დემოკრატიის შუქურად შერაცხილმა მიხეილ სააკაშვილმა 23 ივნისს თავის ჯიბის ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა: „ენერგია საკმარისზე მეტი მაქვს და საბრძოლო განწყობა მაქვს, ამ ბრძოლას ჩვენ არ წავაგებთ, მოვიგებთ! რა თქმა უნდა, ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს ხელახლა გათავისუფლებას“.**

**ეტყობა, ამერიკელმა პატრონებმა ახლა ორი ხელით „უჯიკეს“ მიშიკოს...**

## პოროშენკოს ხელი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2016 წლის ბოლოს გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა, რომ ევროკავშირთან თავისუფალ სავაჭრო ზონაში უკრაინის შესვლიდან 1 წლის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკამ დიდი ზარალი განიცადა, კერძოდ, პრობლემები შეექმნა აგრარულ სექტორს. ზარალი, ძირითადად, გამოწვეულია ევროკავშირის მიერ დაწესებული კვოტებით პროდუქციის მიწოდებაზე.**

# «მე ჩამოგიტანეთ ხელი, რომლითაც ტრამპს მივესალმე»

## უკრაინელებმა პოროშენკოს დასცინეს



**20 ივნისს გაიმართა პეტრე პოროშენკოს დიდი ხნის ნანატრი შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპთან. ამ ვიზიტს კიევის აეროპორტიდან უკრაინის ლიდერის თვითმფრინავის გაფრენამდე უწოდეს „უკრაინის სირცხვილი“.**

დასავლური მედიასაშუალებები წერდნენ, რომ **დონალდ ტრამპს** არ სურდა უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრა. ბოლოს კომპრომისულ ვარიანტზე დათანხმდა: პოროშენკოს მიიღებდა ვიცეპრეზიდენტი **მაიკ პენსი**, შემდეგ კი ისინი ერთად „შეიხედავდნენ“ თეთრი სახლის მეთაურის ოვალურ კაბინეტში.

არც გულითადი საუბრები ტრამპთან, არც წითელი ხალიჩა... მოკლედ, თეთრ სახლში მიღება მოკრძალებული იყო. თვით პოროშენკო კი, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ვითარების შეუსაბამოდ გამოიყურებოდა — ნერვიულობდა და უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა ხელებით. ამას გარდა, უკრაინის ლიდერმა საკმაოდ უცნაური რამ განაცხადა: როცა საბჭოთა არმიის რიგებში ვმსახურობდი, პენტაგონში მოხვედრაზე ვოცნებობდიო. ამერიკის შეერთებულ შტატებს კი „უკრაინის წარმატების სპონსორი“ უწოდა.

ტრამპთან აუდიენციის შემდეგ პოროშენკომ ჟურნალისტებს განუცხადა: **„უკრაინას ფანტასტიკური დახმარება აქვს აშშ-ისგან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი შეხვედრა თეთრ სახლში უფრო ადრე გაიმართა, ვიდრე პუტინის შეხვედრა“.**

ექსპერტთა აზრით, პოროშენკომ ამ ვიზიტით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. მას სურდა, წარმოეჩინა საზოგადოებრიობისთვის, რომ ამერიკა მხარს უჭერს მას და მისი დამხობა არ შეიძლება.

უკრაინის მცხოვრებნიც ირონიით შეხვდნენ აშშ-ის პრეზიდენტთან პოროშენკოს ხანმოკლე შეხვედრას, რომელზეც თითქმის არაფერი თქმულა, მისასალმებელი სიტყვების გარდა.

უკრაინის მოქმედი ხელისუფლების მომხრეებმაც კი არ აღიქვეს სერიოზულად ის პომპეზურობა, რომლითაც უკრაინის პრეზიდენტი ყვებოდა ტრამპთან შეხვედრის დეტალებზე. უკრაინელებმა სასაცილოდ აიგდეს პოროშენკოს „ხელი“, რომელიც თეთრი სახლის მეთაურს ჩამოართვა. ბევრის აზრით, ეს ხელი ერთადერთია, რაც უკრაინის პრეზიდენტმა ვაშინგტონიდან ჩამოიტანა. სწორედ ამ თემას მიუძღვნა უკრაინელმა მხატვარმა **გიორგი კლიუჩნიკმა** კარიკატურა: „უკრაინელებო, მე ჩამოგიტანეთ ხელი, რომლითაც ტრამპს მივესალმე“.




აღსანიშნავია, რომ აშშ-ისა და უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრაზე, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, დონალდ ტრამპმა შეცდომა დაუშვა ქვეყნის დასახელებისას და უკრაინას „The Ukraine“ უწოდა, რაც ამ ქვეყნის სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებულებას ნიშნავს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# ლეონიდ კუჩმა: ევროპა აჩოქებს უკრაინას

**უკრაინა უკვე იმკის ევროკავშირისკენ სწრაფვის შედეგებს. „უკრაინა სანედლეულე დანამატია, ევროპა ქვეყანას არ ეხმარება და აჩოქებს“, — განაცხადა უკრაინის მეორე პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ საერთაშორისო ფორუმის გახსნისას, — იუწყება ტელეარხი „112 უკრაინა“.**

ლეონიდ კუჩმას აზრით, უკრაინის ეკონომიკა ინგრევა. **„ჩვენ ვხდებით სანედლეულე დანამატი. დაგვრჩა მეტალურგია, ქიმია, სოფლის მეურნეობა. მაღალტექნოლოგიური საწარმოები პრაქტიკულად არ გვაქვს. საით მივდივართ? ჩვენ გვიხარია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ რით ვვაჭრობთ ევროპასთან? ნახეთ სტატისტიკა: ხორბლით (სოფლის მეურნეობიდან. მეტით, პრაქტიკულად, არაფრით) და კიდევ — თაფლით. ახლა ნახეთ, როგორ გვაჩოქებენ ევროპელები: ტყე გაჩეხეთ და ჩვენთან ჩამოიტანეთო. სად არის კონკრეტული დახმარება უკრაინისთვის, ფეხზე რომ დავდგეთ?“** — განაცხადა ლეონიდ კუჩმამ და დასძინა, რომ, თუ ქვეყანა არ განავითარებს ეკონომიკას და დარჩება ღარიბი, არავის აღარ დასჭირდება.

2016 წლის ბოლოს გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერდა, რომ ევროკავშირთან თავისუფალ სავაჭრო ზონაში უკრაინის შესვლიდან 1 წლის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკამ დიდი ზარალი განიცადა, კერძოდ, პრობლემები შეექმნა აგრარულ სექტორს. ზარალი, ძირითადად, გამოწვეულია ევროკავშირის მიერ დაწესებული კვოტებით პროდუქციის მიწოდებაზე.

მოამზადა **ლუკა მაისურაძემ**

# ისრაელის შს მინისტრი: ისრაელში არალეგალურად 79 ათასი ადამიანი იმყოფება, ძირითადად, საქართველოდან და უკრაინიდან

**ისრაელის შს მინისტრ არიე დერის განცხადებით, ისრაელში არალეგალურად 79 000 ადამიანი იმყოფება, ძირითადად, საქართველოდან და უკრაინიდან, რომლებიც ტურისტებად შევიდნენ უვიზო რეჟიმის ფარგლებში და ქვეყნის ტერიტორია არ დაუტოვებიათ.**

არიე დერის თქმით, საქართველოდან და უკრაინიდან ჩამოსული ტურისტები ბენ-გურიონის აეროპორტიდან ავტობუსებით მიჰყავთ თელ-ავივში თავშესაფრის შესახებ განცხადებების მიღების ოფისში. **„ამ განცხადების შეტანის შემდეგ შეუძლებელია მათი დეპორტაცია, ვიდრე კომისია განაცხადს არ განიხილავს და ოფიციალურ პასუხს არ გასცემს“,** — განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, ეს პროცესი დაახლოებით ერთი წლის წინათ დაიწყო და შუამავლები 5000 აშშ დოლარს იღებენ არალეგალების მიღებასა და მოწყობაზე.



# ჟურნალ-გაზეთების ახალი სტელაჟები თბილისის ქუჩებში

**ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების გასაყიდად თბილისის ქუჩებში სტელაჟები დაიდგმება. სპეციალური სტელაჟების მომზადება თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს დაევალა.**



თბილისის მერის — დავით ნარმანიას განცხადებით, დედაქალაქის საკრებულოს უახლოეს დღეებში წარედგინება გარევაჭრობის ახალი წესის შესახებ პროექტი, რომელშიც საუბარი იქნება გარევაჭრობის რეგულაციებზე, წესებსა და ქალაქის ადმინისტრაციასთან შეთანხმების ფორმებზე.

„დროა, ქალაქი, ერთხელ და სამუდამოდ, გადავიდეს გარევაჭრობის ცივილიზებულ წესზე. გარეთ უნდა გაიყიდოს მხოლოდ ისეთი საქონელი, რომელიც არ ფუჭდება, მაგალითად, პრესა, წიგნები, სუვენირები და ა.შ. ამ ეტაპისთვის, ვიდრე ახალ წესს არ მივიღებთ, პრესას არ შევეხეთ, რადგან ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საზოგადოებისთვის, მათთვის ვამზადებთ სპეციალურ სტელაჟებს. გვინდა, რომ პრესის გავრცელებაც მოწესრიგებული სტელაჟებიდან განხორციელდეს“, — განაცხადა თბილისის მერმა.

# პირველ კვარტალში სოფლის მეურნეობაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ნულის ტოლია

**„საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2017 წლის იანვარ-მარტში სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციები საერთოდ არ განხორციელებულა.**

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით 403 მილიონი დოლარი შემოვიდა, რაც 2016 წელთან შედარებით 3.7%-ით მეტია. აქედან სოფლის მეურნეობის წილი ნულის ტოლია. გასულ წელს კი საქართველოში სულ 1.64 მილიარდი დოლარის მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. აქედან სოფლის მეურნეობაში 9.9 მილიონი ჩაიდო, რაც მთლიანი ინვესტიციების 0.6%-ს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა სოფლის მეურნეობის პროექტებში აქტიურად მონაწილეობს და სოლიდური თანხაც გაიღო, ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორი ინვესტორებისთვის მიმზიდველი მაინც არ არის.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არ იცის, რა არის ეროვნული ცნობიერება, სამაგიეროდ, იცის, რა არის ლიბერასტული ცნობიერება და... ამიტომაც დგამენ საქართველოში რეიგანის, ალიევის, ჰაველის, ველოსიპედისა და ფლოსტების ძეგლებს, ხოლო იაკობ გოგებაშვილისა და რევაზ ლაღიძის, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, არათუ ძეგლის დადგმა, ხსენებაც არ უნდათ.

ქეგლომანია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდის დაუდგამს ძეგლს საქართველოს ხელისუფლება ჩე გევარასა და მაჰათმა განდის?

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და ჩეხეთის თავდაცვის მინისტრმა მარტინ სტროპნიცკიმ თბილისში, ვაკის გამგეობის ეზოში მდებარე განახლებულ სკვერში, ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტის, დრამატურგისა და დისიდენტის — ვაცლავ ჰაველის ძეგლი გახსნეს. ძეგლის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის, თბილისის მერიისა და საკრებულოს წევრები, აგრეთვე, ჩეხეთის ელჩი საქართველოში — ტომაშ პერნიცკი და ჩეხეთის დიასპორის წარმომადგენლები.**



ვაცლავ ჰაველის ძეგლის გახსნა

ვაცლავ ჰაველის, როგორც დისიდენტის, ჩეხოსლოვაკიის „ხავერდოვანი რევოლუციის“ ლიდერისა და სამართლიანობისთვის მებრძოლის როლი განუზომელია ჩეხეთის ისტორიაში, მისი შემოქმედება და მოღვაწეობა სათანადოდ არის დაფასებული არა მხოლოდ ჩეხი, არამედ ევროპის ხალხების მიერ, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, უწინარესად, ჩვენი გმირი და სახელოვანი თანამემამულეების საქმეების წარმოჩენაზე უნდა ვიზრუნოთ.

თბილისში არ არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერისა და დისიდენტის — **ზვიად გამსახურდიას** ძეგლი (ალექსანდრე ჭაჭიას ძალისხმევით მისი ერთადერთი ბიუსტი დგას ზუგდიდის ცენტრში); არ დგას, აგრეთვე, მისი თანამებრძოლის, დისიდენტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელის — **მერაბ კოსტავას** ძეგლი; არ არის ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტისა და „დედა ენის“ შემქმნელის — **იაკობ გოგებაშვილის** ძეგლი (მხოლოდ ბიუსტი დგას მის საფლავთან, მთაწმინდის პანთეონში); არ დგას „თბილისოსა“ და სხვა უამრავი პოპულარული სიმღერის ავტორის, კომპოზიტორ **რევაზ ლაღიძის** ძეგლი... დედაქალაქის ცენტრიდან კი გაძევებულია დავით ალმაშენებლის სკულპტურა. სამაგიეროდ, გვაქვს **რონალდ რეიგანის, ჰეიდარ ალიევის,** ალისა და ნინოს, ველოსიპედის, ფლოსტებისა და კვერცხების ძეგლები, **ჯორჯ ბუშის** ქუჩა, არყის შადრევანი... რეიგანის, ალიევისა და ახლა ვაცლავ ჰაველის ძეგლის დადგმა მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლება (გამონაკლისია ზვიად გამსახურდია) გამსჭვალულია ქსენოფილიით — ყოველივე უცხოურისადმი სიყვარულით — და პატივს არ სცემს ქართულს, ქართველი ერის სასიქადულო ადამიანებს, ქართულ ფასეულობებს, რადგან არ აქვს ეროვნული ცნობიერება... აკი განაცხადა კიდეც ორიოდე დღის წინათ საქართველოს პარლამენტის ჩიჩილაკიანმა თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ: „მე არც ეროვნული ცნობიერების შინაარსი არ მესმის და არც ცნობიერების. ეროვნული ცნობიერება, საერთოდ, ცოტა ისეთი, სახიფათო რაღაცაა კონსტიტუციაში, და ცნობიერების განვითარებაზე ზრუნავს — ეს არ ვიცი, რას ნიშნავს. ეს ნიშნავს იდიოლოგიზაციას ადამიანების, ჰო?! და ეროვნული რომ უწერია დამატებით, ეს ნიშნავს ნაციონალისტურ იდეოლოგიას“.**

აი ასე — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არ იცის, რა არის ეროვნული ცნობიერება, სამაგიეროდ, იცის, რა არის ლიბერასტული ცნობიერება და... ამიტომაც დგამენ საქართველოში რეიგანის, ბუშის, ალიევის, ჰაველის, ველოსიპედისა და ფლოსტების ძეგლებს, ხოლო იაკობ გოგებაშვილისა და რევაზ ლაღიძის, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, არათუ ძეგლის დადგმა, ხსენებაც არ უნდათ.

ისე, ჰაველზე არანაკლები, თუ მეტი არა, დისიდენტები და სამართლიანობისთვის მებრძოლები იყვნენ არგენტინელი **ერნესტო ჩე გევარა** და ინდოელი **მაჰათმა განდი,** მაშინ მათაც დავუდგათ ძეგლები თბილისში, რეიგანსა და ბუშზე მეტი მაინც გაუკეთებიათ კაცობრიობისთვის...

**ნიკა კორინთელი**



მაჰათმა განდი



ერნესტო ჩე გევარა



რონალდ რეიგანის ძეგლი




ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩა

# «ნაკუზული უკრაინელი»

**ევროპისკენ მსწრაფი საქართველოს მსგავსად, უკრაინაშიც დაიწყეს დასავლური ტენდენციების გადმოღება.**

თუ საქართველოში სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური მოძრაობის“ მეცადინეობით ველოსიპედის, ფლოსტებისა და კვერცხების ძეგლები დადგეს, უკრაინელებმა „წაკუზული უკრაინელის“ ძეგლი შექმნეს, თუმცა ეს გასაკვირი არ არის — კიევის ცენტრში, ნეზალეჟნაიაზე, აშშ-ის ხელშეწყობით მოწყობილი ევრომაიდნის შემდეგ სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ეს ქვეყანა დღეს, რომელსაც ეკონომიკა გაუჩანაგდა, ტერიტორიები დაეკარგა და „დემოკრატიულ“ დასავლეთს დახმარების იმედით ხელებში შეჰყურებს.

12 ივნისს ე.წ. თანამედროვე ხელოვნების სპეციფიკური ობიექტი გაჩნდა უკრაინის დასავლეთში მდებარე ივანო-ფრანკოვსკის ქალაქის საბჭოს შენობის წინ.

ამ „შედევრის“ ავტორია **ალექსეი ფურდიანკა**, რომელიც მზად არის, ეს სკულპტურა, სახელწოდებით „უკრაინელი“, უსასყიდლოდ გადასცეს ქალაქს.

**ლუკა მაისურაძე**



**უკრაინელებმა «წაკუზული კაცის» ძეგლი შექმნეს, თუმცა ეს გასაკვირი არ არის — აშშ-ის ხელშეწყობით კიევის ცენტრში, ნეზალეჟნაიაზე, მოწყობილი ევრომაიდნის შემდეგ სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ეს ქვეყანა დღეს, რომელსაც ეკონომიკა გაუჩანაგდა, ტერიტორიები დაეკარგა და «დემოკრატიულ» დასავლეთს დახმარების იმედით ხელებში შეჰყურებს**

ვაი ძკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ ერებში, რომელთა საგინებელ ლექსიკაში არ არის კაცის ან ქალის სასქესო ორგანოების ხსენება, არ არის აღმოჩენილი დაუნის დაავადება, ასევე, ბავშვთა ცერებრული დამბლა. არადა, ეს სნეულებები საქართველოში „ყვავის“... კიდევ — თუ მამაკაცი უარყოფითი ენერგიის ამოფრქვევისას ახსენებს სასქესო ორგანოს და მისი სახელწოდებით „ამკობს“ ოპონენტს, ამით ის ნეგატიურად მოქმედებს თავის „მამაკაცურ ღირსებაზე“. ასეთი ენაბილწი ნაადრევად ხდება იმპოტენტი და, დამატებით იძენს რომელიმე მძიმე უროლოგიურ დაავადებას. ავადდება ისიც, ვინც ისმენს გინებას. ამიტომ, თუ გსურთ, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაგიუარესდეთ, დაუყოვნებლივ გაერიდეთ ენაბილწებს.**

# რატომ მოგვიმრავლდნენ «ძუკნის შვილები»?

**ორ ათეულ წელზე მეტია, სულიერი, ფიზიკური და კულტურული კატასტროფის ტალღამ წალეკა საქართველო და მისი მოქალაქენი. ამ ტალღის ერთ-ერთი შემადგენელია ბილწსიტყვაობა. თუ ადრე ეს დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლების, მეძავების, ლოთების, ნარკომანებისა და სოციუმის ფსკერის სხვა „ბინადართა“ სფეციფიკური ენა იყო, ახლა ის ღრმად შეიჭრა საზოგადოების მრავალ შრეში.**



კადრი ფილმიდან „ტაქსი“

**ბილწსიტყვაობა, რომელსაც «კომუნისტური მონობის» პერიოდში ტაბუს «მძიმე ბორკილები» საიმედოდ ჰქონდა დადებული, ანუ საზოგადოების თავშეყრის ადგილას გინებისთვის 15 დღე-ღამით «ვირის აბანოში» ე.წ. პარაშას გახეხინებდნენ, «აყვავდა და გაიფურჩქნა» დამოუკიდებელ საქართველოში**

დღეს ყველა იგინება **საჯაროდ:** მამაკაცი, დედაკაცი, მოხუცი, ბავშვი, მოზარდი, სკოლის მოსწავლე, სტუდენტი, მასწავლებელი, ექიმი, მეცნიერი, ინჟინერი, მწერალი, პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი, მსახიობი; იგინებიან, აგრეთვე, ჩვენთან „წითელ წიგნში“ შეტანილი მუშები და გლეხები. აღარაფერს ვამბობ საქართველოს ე.წ. პოლიტიკურ და ბიზნეს ელიტებზე. ბილწსიტყვაობის მყრალი ნიაღვარი მოედინება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან — პარლამენტიდან, კინოეკრანიდან, ტელევიზორიდან, რადიოდან. ამ „საშვილიშვილო“ საქმეში პირველობას არავის უთმობს „გამარჯვებული ხალხის (თუ ხალხზე გამარჯვებული) ტელევიზია“ — **„რუსთავი 2“.** მხოლოდ ე.წ. ტელესერიალი **„ჩემი ცოლის დაქალები“** რად ღირს... განურჩევლად ყველა პერსონაჟი „მადიანად“ იგინება. თუმცა, ამ, თავისი არსით, გაპიროუტყვების „სახელმძღვანელოს“ არაფრით ჩამორჩება კინოხელოვნების ისეთი „შედევრი“, როგორიცაა ქართული ე.წ. კინოფილმი **„ტაქსი“.** ხსენებული ნაცოდვილარის უკვე მეორე წუთზე საზოგადოებას სასქესო ორგანოზე „იკიდებს“ ტაქსისტის როლში მოვლენილი **ვანიკო თარხნიშვილი.** ჩანს, „ფილმის“ რეჟისორი და სცენარისტი ნიჭის მწვავე ნაკლებობას განიცდიან და, როგორც ხელოვნებაში მოღვაწე ყველა უნიჭო ადამიანი, ყურადღების მიქცევის მიზნით მიმართავენ თავისებურ შოკს, უკიდურესი ნატურალიზმის ერთ-ერთ „სახეობას“ — ბილწსიტყვაობას. „ტაქსის“ თითქმის ყველა ეპიზოდი გაჟღენთილია უწმაწური სიტყვებით და დედის გინებით. მაგალითად, სამოც წელს გადაბიჯებული მსახიობის — **ტრისტან სალარიძის** გმირის ლექსიკაში ყველაზე „კეთილხმოვანი“ სიტყვაა „პ...ჭი“. არადა, მათ, ვინც ორმოცდაათი წლისაა და უფრო მეტის, უთუოდ ემახსოვრებათ, რომ ბავშვობაში ქუჩიდან მოტანილ და ოჯახში ნათქვამ „ცუდ სიტყვას“ აუცილებლად მოჰყვებოდა პირის ღრუს საპნიანი წყლით გამოვლების „არადემოკრატიული“ პროცედურა.

სულ რაღაც, 30 წლის წინათ (აღარაფერს ვამბობ ძველ დროზე) ქართველი კაცი ყველაზე დიდ შეურაცხყოფად, სავსებით სამართლიანად, მიიჩნევდა დედის შეგინებას. ამის გამო ბევრმა ენაბილწმა უდროოდ დაიმკვიდრა ადგილი სასაფლაოზე. თუმცა გავიდა დრო და, ჰოი, საოცრებავ, **ბილწსიტყვაობა, რომელსაც „კომუნისტური მონობის“ პერიოდში ტაბუს „მძიმე ბორკილები“ საიმედოდ ჰქონდა დადებული, ანუ საზოგადოების თავშეყრის ადგილას გინებისთვის 15 დღე-ღამით „ვირის აბანოში“ ე.წ. პარაშას გახეხინებდნენ, „აყვავდა და გაიფურჩქნა“ დამოუკიდებელ საქართველოში.** თუ უწინ დედის დაფიცება იყო საქმის გაკეთების ან დაპირების შესრულების ასპროცენტიანი გარანტია, დღეს მშობელი დედის გინებას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე ნოტარიუსის ბეჭედს ან საქმიან ხელშეკრულებას. ახლანდელი მამაკაცების „დაფიცებას“: **„ბოზის შვილი ვიყო“** შეემატა დედაკაცური: **„მამაჩემის ბოზი ვიყო“** და კიდევ ამაზე გაცილებით უარესი. ქართველ საზოგადოებაში შხამიანი სოკოებივით მრავლდებიან „ბოზის შვილები“, თუმცა გასაკვირი არ არის — დღეს ხომ მეძავობა, პედერასტობა, ლესბოსელობა და ნარკომანობა ე.წ. ელიტურ წრეში პრესტიჟულია?! ცხრა მთას იქით არ არის ის დროც, როცა შვილი სიამაყით განაცხადებს, ჩემი დედა როსკიპია, მამა კი — ბისექსუალი.

განუზომლად მტკივნეულია ქართველი ქალის დაცემა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მრავალრიცხოვან ე.წ. ტელეშოუს, რომელთა შორის გამორჩეულია გაურკვეველი „საზოგადოებრივ-პოლიტიკური“ ორიენტაციის არსების, ვინმე **გიორგი ჯაჯანიძის** გადაცემა **„სხვა რაკურსი“** (ტელეკომპანია **„იმედი“**). მისი ხშირი სტუმრები არიან ქუჩის ქალები და ქუჩის კაცები თავიანთი ქუჩური ლექსიკითა და ქუჩური „ფილოსოფიით“... თუმცა, კაცი მარტო ჭამაშიც ცოდოაო და მხოლოდ ჯაჯანიძეს ყველა იმ უბედურებას, რომლებიც თავს დაგვატყდა, ვერ დავაბრალებთ. არსებობენ პოპულარული და ნაკლებად პოპულარული ტელეარხების წამყვანები, რომლებსაც ჯაჯანიძის „დიდება“ ძილს უფრთხობს... მაგალითად, ტელეკომპანია „კავკასიას“ სტუმრობდა ძალად მარქსისტი, საქართველოში უკვე არარსებული მუშათა კლასის ინტერესების დამცველი **ირაკლი კაკაბაძე.** „ამხანაგმა“ კაკაბაძემ არ დაინდო მდიდრები და სტუდიიდან „სამსართულიანი“ დედის გინებით „შეამკო“ კაპიტალიზმი თავისი კაპიტალისტებით. ცნობისთვის: კაკაბაძის „დასავლელი“ კურატორები კარგად იყენებენ ქართველი „მარქსისტის“ არასახარბიელო სახეს ბოლო წლებში მსოფლიოში ძალზე მომძლავრებული კომუნისტური იდეოლოგიის დისკრედიტაციისთვის და მრავალათასიანი გრანტებით აჯილდოვებენ „ცელქ ბიჭუნას“. სხვათა შორის, ეთერში ასეთ ბილწსიტყვაობას, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სათანადო საცენზურო ორგანო უყურადღებოდ არ დატოვებდა — ტელეარხს ჩამოართმევდნენ ლიცენზიას ან მრავალმილიონ ჯარიმას დააკისრებდნენ. ანუ, **აშშ საკუთარ მოქალაქეებს იცავს, ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქეებს რყვნის, როგორც შეუძლია, თუნდაც ირაკლი კაკაბაძის პირით.** შევახსენებ ირაკლი კაკაბაძესა და ტელეეთერის დამაბინძურებლებელ სხვა ხულიგნებს, რომ დიდი ინტელექტუალები თავის უკიდურესად უარყოფით დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი ან კონკრეტული პიროვნებისადმი გამოთქვამენ ისე, როგორც ეკადრება კულტურულ, ღირსეულ ადამიანს.

სამწუხაროდ, არც 21-ე საუკუნის „შენაძენი“ — სოციალური ქსელები გამოირჩევა დარბაისლობით — ბილწსიტყვაობა მათი აუცილებელი ატრიბუტია.

უეჭველია, ეს საზიზღრობა კეთდება შეგნებულად ე.წ. გლობალისტების, სინამდვილეში კი, მსოფლიო ფინანსური მაფიის მიერ. შევახსენებთ ე.წ. „დალესის დოქტრინის“ ფრაგმენტებს: **„... ჩვენ მთელ ოქროს, მატერიალურ ძლიერებას გადავისვრით ხალხის გამოსათაყვანებლად. ადამიანის ტვინი, ხალხის შეგნება შეიძლება შეიცვალოს... ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით ნამდვილ ფასეულობებს სიყალბით და ვაიძულებთ მათ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობები. როგორ? ჩვენ ვიპოვით მათ წრეში თანამოაზრეებს, თანამშრომლებსა და მოკავშირეებს... ლიტერატურაში და ხელოვნებაში მათ თანდათან მოვუსპობთ სოციალურ არსს. ხელოვანთ ჩავუკლავთ მისწრაფებას, შექმნან სახეები, გამოიკვლიონ პროცესები ხალხთა მასების წიაღში. ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე უფრო მდაბალი გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ მხარს დავუჭერთ და შევაქებთ ეგრეთ წოდებულ ხელოვანთა შემოქმედებაში სექსის, ძალადობის, სადიზმის კულტს — ერთი სიტყვით, ამორალურს... პატიოსნება და წესიერება არავისთვის საჭირო აღარ იქნება. ის წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა. უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და მაწანწალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი... ყველაფერი ეს ოსტატურად და შეუმჩნევლად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით.... ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რათა მოვქრთამოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდებისგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებსა და კოსმოპოლიტებს“.** რომელიღაც ლიბერასტი შემედავება: ეს ალენ დალესის სიტყვები არ არის, მიაწერეს და, საერთოდ, „ფეიკიაო“. მართალია, ეს ეშმაკის ლუღლუღი დალესს არ დაუწერია, მაგრამ ამ დოკუმენტს აქვს ოფიციალური დასახელება — **„ამერიკის შეერთებული შტატების ომისშემდგომი დოქტრინა“** და შექმნილია 1948 წელს. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაწერა — ალენ დალესმა თუ გივი თარგამაძემ. მთავარია, ამ დოკუმენტის თითოეული დებულება ჩვენ თვალწინ წარმატებით ხორციელდება. ავიღოთ თუნდაც დღევანდელი ლიტერატურა. ვინ ითვლება მის მნათობად? ვინ და, „მწერალ-პოეტები“ — **დეისაძე, ბუღაძე, ქარუმიძე, ბურჭულაძე** და სხვ. ჩამოთვლილი ინფუზორიების ასპარეზი იმ „ავადსახსენებელ კომუნისტურ პერიოდში“ იყო საზოგადოებრივი საპირფარეშოები, რომელთა კედლებსაც თავიანთი ფსიქიკურად დაავადებული ტვინის ნაჟურით „ამშვენებდნენ“, დღეს კი ამ პათოლოგებს მფარველობს და პრემიებით ანებივრებს ქართული „ლიტერატურისა“ და „ხელოვნების“ „მეცენატი“, მევახშეთა „უსტაბაში“ **მამუკა ხაზარაძე.**

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში „სპონსორები“ უწინარესად ბილწსიტყვაობას აფასებენ. მაინც, რატომ ელოლიავებიან ენაბილწებს ვითომ რესპექტაბელური „ბიძიები და დეიდები“ ამერიკიდან და ევროკავშირიდან? რა საფრთხეს შეიცავს არანორმატიული ლექსიკა და რას ნიშნავს ბილწსიტყვაობა?

ლინგვისტების ცნობით, ყველა ენაში ბილწსიტყვაობა ერთსა და იმავეს ნიშნავს. ეს არის შედარებით პატარა და შეკრული სიტყვების ჯგუფი, რომელშიც შედის ადამიანის (კაცისა და ქალის) სხეულის, უპირველეს ყოვლისა, გენიტალიების, სქესობრივი აქტისა და სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების (მოშარდვა, დეფეკაცია) სახელწოდებები.

## ბილწსიტყვაობის მიზეზები

მიზეზი რამდენიმეა. **პირველი:** მეტყველების ემოციური ამაღლება (როცა ადამიანს არ აქვს სიტყვების მარაგის საკმარისი რაოდენობა, ბილწსიტყვაობის მოშველიებით, ცდილობს, მისცეს თავის სიტყვებს მკვეთრად გამოხატული ემოციური ელფერი); **მეორე:** ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოხსნა (ემოციური ცრუ განმუხტვა); **მესამე:** ტკივილის შოკის მოხსნა (არცთუ იშვიათად ვიგინებით, როცა ფეხს წამოვკრავთ, მაგალითად, ქვას ან სხვა საგანს); **მეოთხე:** მიმართვის ადრესატის შეურაცხყოფა, დამცირება (მოკლედ, თანამოსაუბრის გინება); **მეხუთე:** აგრესიის გამომჟღავნება (ადამიანი ცდილობს თავისი განრისხების დონის დემონსტრირებას ამა თუ იმ ვითარებაში); **მეექვსე:** უშიშრობის გამოხატვა (როცა ადამიანი არ არის დარწმუნებული თავის თავში, საკუთარ ძალებში); **მეშვიდე:** ბილწი სიტყვების წარმომთქმელის მხრიდან გულწრფელობის, დამოუკიდებლობის დემონსტრირება (ადამიანი ცდილობს, დაარწმუნოს გარშემო მყოფნი, რომ „მე მოდუნებული ვარ, არ ვარ დაძაბული“); **მერვე:** აკრძალვების სისტემის მიმართ უპატივცემულობის დემონსტრირება (ეს მეტყველებს, რომ ყიამყრალის ლექსიკონი ძალზე ღარიბია).

## მეცნიერება ბილწსიტყვაობაზე

მეცნიერებმა ადასტურებენ, რომ ბგერების, მათ შორის, ადამიანის მიერ წარმოთქმულის ზემოქმედებით, წყლის მოლეკულები მწკრივდებიან რთულ სტრუქტურებში. იაპონელმა მეცნიერმა **მასარუ ემოტომ** დაამტკიცა, რომ წყალი არათუ აღიქვამს ინფორმაციას, არამედ შეუძლია, სტრუქტურა შეიცვალოს სიტყვისა და აზრის ზემოქმედებითაც. უახლესი მოწყობილობის დახმარებით მეცნიერმა შეძლო, გაეყინა და გადაეღო მიკროსკოპის ქვეშ არსებული წყლის კრისტალების სტრუქტურა. ნანახმა გააოგნა მასარუ-სანი: დადებითი სიტყვების ზემოქმედებით წყლის კრისტალებმა მიიღო საოცარი სილამაზის ფორმები, ხოლო სალანძღავმა სიტყვებმა კრისტალები დაამახინჯა. და, თუ გავითვალის- ▶

ვაი ჭკუისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერთადერთი გზა, რომელსაც თითოეული ადამიანი მიჰყავს ჯანმრთელობისკენ, არის თვით ადამიანის მიერ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების შეცვლა. იმას, ვინც ენაბილწია აქვს ორი გზა: პირველი — იცის რა, რომ ბილწსიტყვაობა ცუდია, მაგრამ მაინც განაგრძობს გინებას, ამით რთავს თვითგანადგურების პროგრამას; ხოლო, მეორე გზა არის სულიერი ზრდა, საკუთარი თავის სრულყოფა, სილამაზის გზა.

◀ წინებთ უტყუარ ფაქტს, რომ ადამიანის სხეულის ოთხმოცზე მეტი პროცენტი სითხისგან შედგება, არ არის რთული იმის წარმოდგენა, რა ზიანს ვაყენებთ ბილწსიტყვაობით საკუთარ თავს, ჯანმრთელობას.

რუსი მეცნიერები ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტიდან, რომლის დამაარსებელი და პირველი რექტორი გახლდათ ჩვენი თანამემამულე, დიდი მათემატიკოსი **ილია ვეკუა**, მრავალი ცდის შედეგად მივიდნენ მეტად დამაფიქრებელ დასკვნამდე — ადამიანი სიტყვებითა და აზრებით ქმნის ან ანგრევს თავისი მემკვიდრეობის აპარატს. აღმოჩნდა, რომ დნმ-ს ელექტრომაგნიტური არხებით შეუძლია აღიქვას ადამიანის მეტყველება და ტექსტი, რომელსაც ის კითხულობს. ერთი შეტყობინება აჯანსაღებს გენებს, მეორე — აზიანებს. მაგალითად, ლოცვის კეთილი სიტყვები აღვიძებს გენეტიკური აპარატის სარეზერვო შესაძლებლობებს, ბილწსიტყვაობა და წყევლა კი იწვევს მის მუტაციას (ცვლილებას), რომლებსაც მოჰყვება გადაგვარება. იგინება ადამიანი და მისი ქრომოსომები დეგრადირდება, შედეგად დნმ იწყებს არაბუნებრივი პროგრამების გამომუშავებას. ასე და ამგვარად, შთამომავლობას თანდათანობით გადაეცემა დეგენერაციის პროგრამა... სამყაროში არის პროდუქტები, რომლებიც მალე ფუჭდება, ასევეა მეხსიერებაში ბილწსიტყვაობა. აი აქედან აქვთ ახალგაზრდებს მოხუცებულისთვის დამახასიათებელი სნეულებანი: სკლეროზი, საერთო ატროფია, გულის უკმარისობა და სხვ. ჩვენი გენური აპარატი არის სიტყვების გრძელი რიგი, გააზრებული ტექსტი, რომელიც ჩვენი და უსასრულობის შემოქმედის — ღმერთის მეტყველებაა. ამით მეცნიერება ადასტურებს სახარების ჭეშმარიტებას, რომ „თავდაპირველად იყო სიტყვა; და სიტყვა იყო ღმერთთან; და სიტყვა იყო ღმერთი.“ (იოანე. 1,1-2.)

ბილწსიტყვაობასთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება. იმ ერებში, რომელთა საგინებელ ლექსიკაში არ არის კაცის ან ქალის სასქესო ორგანოების ხსენება, არ არის აღმოჩენილი დაუნის დაავადება, ასევე, ბავშვთა ცერებრული დამბლა. არადა, ეს სნეულებები საქართველოში „ყვავის“... კიდევ — თუ მამაკაცი უარყოფითი ენერგიის ამოფრქვევისას ახსენებს სასქესო ორგანოს და მისი სახელწოდებით „აძაგებს“ ოპონენტს, ამით ის ნეგატიურად მოქმედებს თავის „მამაკაცურ ღირსებაზე“. ასეთი ენაბილწი ნაადრევად ხდება იმპოტენტი და, დამატებით, იძენს რომელიმე მძიმე უროლოგიურ დაავადებას. ავადდდება ისიც, ვინც ისმენს გინებას. ამიტომ, თუ გსურთ, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაგიუარესდეთ — დაუყოვნებლივ გაერიდეთ ენაბილწებს.

## დასაშვებია ბილწსიტყვაობა ექსტრემალურ ვითარებაში?

მაგალითად, ომში ან ჩხუბში? როცა ადამიანი ბილწსიტყვაობს ჩხუბში ან ბრძოლაში, ის შეუგნებლად მოუხმობს ბოროტ სულებს და მათგან იღებს ძალასა და სისასტიკეს; მაგრამ, ვალი ხომ დასაბრუნებელია? მეომრებისგან ეშმაკი ხშირად იღებს ხარკს ლოთობის, ნარკომანიისა და გარყვნილების სახით. ამ მანკიერი ჯაჭვის ყველა რგოლი ერთმანეთს აძლიერებს და მიჰყავს ადამიანი სულისა და სხეულის სიკვდილამდე. ეს ყველაფერი კარგად იცოდა ჩვენმა წმინდა მეფე **დავით აღმაშენებელმა.** მან ქართულ ჯარში სალაღობო სიმღერებიც კი აკრძალა და ამიტომ მისი მეფობის პერიოდში ქართველი მხედრობა დაუმარცხებელი იყო.




ტრანსგენდერი კესარია და გია ჯაჯანიძე

**დამწყებ კლასებში ბევრმა ისწავლა უცენზურო სიტყვები. მეხუთე კლასში მიმდინარეობს არანორმატიული ლექსიკის აქტიური ათვისების პროცესი, მეექვსე კლასში კი ზოგიერთი მოწაფე ( მათ შორის, გოგონები) უკვე «საქმის ცოდნით» იყენებენ ტაბუირებულ სიტყვებს ყოველდღიურ ურთიერთობებში. შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ბილწსიტყვაობამ მიიღო პანდემიის ხასიათი, რაც სოციალური უბედურებაა. მოვუწოდებ ხელისუფლებას, გამოსცეს კანონი, რომელიც აკრძალავს უცენზურო ლექსიკის გამოყენებას ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და, უპირველესად, მასმედიაში**



იმ წყლის კრისტალი, რომელსაც „უთხრეს“: „ვერ გიტან, მოგკლავ“



იმ წყლის კრისტალი, რომელსაც „უთხრეს“ სიტყვა „ქრისტიანობა“

## სოციოლოგები ბილწსიტყვაობაზე

**დავით ცირეკიძე, სოციოლოგი:** — ბოლო ათწლეულში ძალზე გაფართოვდა უცენზურო სიტყვების მოყვარულთა სოციალურ-დემოგრაფიული შემადგენლობა. უკვე აღარაა საუბარი ცალკეულ სოციალურ შრეებზე, რომელთა წარმომადგენლებს გამოააშკარავებ საგინებელი სიტყვების წარმოთქმის „ოსტატობის“ მიხედვით. იგინებიან მეცნიერები და ხარატები, მსახიობები და ტაქსისტები, ექიმები და საბავშვო ბაღების აღმზრდელებიც კი; ანუ, დღევანდელ საზოგადოებაში ბილწსიტყვაობა არ არის გარკვეული სოციალური ჯგუფის პრივილეგია. კიდევ, ამ სფეროში მამაკაცებმა დაკარგეს „უპირატესობა“ არა იმიტომ, რომ დანებდნენ, არამედ ქალებმა ყიამყრალობაში წარმატებას მიაღწიეს ე.წ. თანასწორობის მოპოვებით. ბუნებრივია, რომ ბილწსიტყვაობა გავრცელებულია მათ შორის, ვინც დაკავებულია მძიმე ან მონოტონური სამუშაოს შესრულებით. ბილწსიტყვაობას, აგრეთვე, ხელს უწყობს და აძლიერებს შრომის ცუდი ორგანიზება. რაც შეეხება ასაკობრივ ზღვარს, ის გაფართოვდა; ყოველ შემთხვევაში, დამწყებ კლასებში ბევრმა ისწავლა უცენზურო სიტყვები. მეხუთე კლასში მიმდინარეობს არანორმატიული ლექსიკის აქტიური ათვისების პროცესი, მეექვსე კლასში კი ზოგიერთი მოწაფე ( მათ შორის, გოგონები) უკვე „საქმის ცოდნით“ იყენებენ ტაბუირებულ სიტყვებს ყოველდღიურ ურთიერთობებში. შემიძლია ვთქვა, რომ **საქართველოში ბილწსიტყვაობამ მიიღო პანდემიის ხასიათი, რაც სოციალური უბედურებაა. მოვუწოდებ ხელისუფლებას, გამოსცეს კანონი, რომელიც აკრძალავს უცენზურო ლექსიკის გამოყენებას ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და, უპირველესად, მასმედიაში.**

## ეკლესიის დამოკიდებულება ბილწსიტყვაობისადმი

**თეოდორე გიგნაძე, დეკანოზი:** — ბილწსიტყვაობა მომაკვდინებელი ცოდვაა. **ენაბილწი მკრეხელობს ღვთისმშობელზე, დასცინის საკუთარ დედას, შეურაცხყოფს მიწას, რომლისგანაც შექმნილია.** ეკლესიის შემდეგ მეცნიერები და მედიკოსები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ **ყველა დაავადება ადამიანის სულში ჩნდება.**

სანამ რომელიმე ორგანო ატკივდება ადამიანს, დაარღვევს თავის მუშაობას სისტემა თუ ფუნქცია, მანამ ჩნდება წინაპირობა სულიერების დონეზე — აზრებში, ემოციებში, სიტყვებსა და მოქმედებებში. ავადმყოფობის თავიდან აცილება ან შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ ზნეობრივი თვისებებით. **ფსიქიკური და ფიზიკური პათოლოგიის ძირითადი მიზეზი უზნეობაა.** მხოლოდ სულიერი სრულყოფა დაიცავს ადამიანს სხვადასხვა დაავადებისგან. ძლიერ უნდა განავითარო შენში სიყვარული, სიკეთე, სილამაზის აღქმა; უნდა ისწრაფვოდე ცოდნისკენ, განავითარო პასუხისმგებლობა შენი აზრებისადმი და მოქმედებებისადმი. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტების დასკვნის მიხედვით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა 10%-ით განისაზღვრება მედიცინის განვითარების დონითა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მდგომარეობით; 20%-ით განისაზღვრება გარემოს მდგომარეობით და 70%-ით ცხოვრების წესით. ერთადერთი გზა, რომელსაც თითოეული ადამიანი მიჰყავს ჯანმრთელობისკენ, არის თვითონ ადამიანის მიერ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების შეცვლა. იმას, ვინც ენაბილწია, აქვს ორი გზა: პირველი — იცის რა, რომ ბილწსიტყვაობა ცუდია, მაგრამ მაინც განაგრძობს გინებას, ამით რთავს თვითგანადგურების პროგრამას; ხოლო, მეორე გზა არის სულიერი ზრდა, საკუთარი თავის სრულყოფა, სილამაზის გზა.

თავისუფალი ნების კანონი გვაძლევს არჩევანის გაკეთების უფლებას, თუ რომელი გზით ვიაროთ.

**მაგრამ, მოდი, ერთ თვეს მაინც თავი შევიკავოთ ცუდი სიტყვების წარმოთქმისგან და ყურადღებით დავაკვირდეთ, რა ცვლილებები მოხდება ჩვენს ცხოვრებაში.**

**ბილწსიტყვაობაზე უარის თქმით, მივიღებთ ღვთისგან საჩუქრად ჯანმრთელობას, ბედნიერებას, იღბალს, ნათელ გონებას, გააზრებულ ქმედებებს და ახლობლების სიყვარულს.**

**გიორგი კორძაძე**



## გიორგი მამალაძეს სამღვდელო ხარისხი და საღმრთო ზიარება შეუჩერდა

**ე.წ. ციანიდის საქმეში ბრალდებულ გიორგი მამალაძეს გამოძიების დასრულებამდე სამღვდელო ხარისხი და საღმრთო ზიარება შეუჩერდა. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენელთა განცხადებით, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში გიორგი მამალაძის საკითხი წმინდა სინოდს გადაეცემა. ეპარქიაში იმედოვნებენ, რომ ბრალდებული თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს.**

„დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარების საკითხზე, გვსურს, განვაცხადოთ, რომ სჯულის კანონის თანახმად, როდესაც სასულიერო პირს წაეყენება ბრალდება, გამოძიების დასრულებამდე უჩერდება სამღვდელო მსახურების აღსრულების უფლება, ხოლო შემდგომ, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, წმინდა სინოდი იღებს გადაწყვეტილებას, საერთოდ განიკვეთოს თუ გარკვეული პერიოდით შეუჩერდეს მღვდლობა. დეკანოზ გიორგი მამალაძეს აქვს წაყენებული მძიმე ბრალდებები. იმედს გამოვთქვამთ, რომ ის თავის სიმართლეს დაამტკიცებს. საღმრთო ზიარების მიღება არის შედეგი მონანული, განწმენდილი და გამართლებული ადამიანისთვის, სხვა შემთხვევაში გაჩნდება კითხვა, ხომ არ სცნო ის ეკლესიამ უდანაშაულოდ გამოძიების დასრულებამდე და ამიტომ მიენიჭა მას საღმრთო ზიარების უფლება. რაც შეეხება ბოდბელ ეპისკოპოს იაკობის მიერ ეპიტემიის (სასჯელის) დადებას, ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული (ეს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა დაადასტურეს სატელევიზიო ეთერის საშუალებით), რომ ეს იყო პატრიარქთან შეთანხმებული და მისი ლოცვა-კურთხევით, რაც, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა სიმართლე. ეპისკოპოსმა იაკობმა თვითნებურად მიიღო ეს გადაწყვეტილება, რისი უფლებაც არ ჰქონდა. 27 ივნისს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მღვდელმთავარს დაუკავშირდა საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი და აუწყა მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა, მას მიეღო გადაწყვეტილება დეკანოზ გიორგი მამალაძის ზიარების საკითხზე. ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს გამოძიების დასრულებამდე შეუჩერდეს სამღვდელო ხარისხი და საღმრთო ზიარება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მისი საკითხი გადაეცეს წმინდა სინოდს შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად“, — განაცხადეს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში.

შეიძლება და ფამ?
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ფუნქციაში არ შედის ამგვარი ხარჯების გაწევა, რაც განხორციელებულია. ეს ხარჯები გაწეული იყო პრეზიდენტის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. სხვადასხვა ქალბატონისთვის, მაგალითად, მარიამ საჯაიასა და ივანა მელაისთვის ნაყიდია სამკაულები. ასევე, დიდი ხარჯია გაწეული პრეზიდენტის პირადი სტილისტისთვის. ეს თანხა შეადგენს 74 ათას ლარს“.**

# საჩუქრები ფავორიტებისთვის ბიუჯეტის ხარჯზე

**მიხეილ სააკაშვილი — ეს კორუფციასთან „მებრძოლი“ (ამჟამად — ტანზანიაში, საქართველოსა და უკრაინის შემდეგ) „დემოკრატიის შუქურა“ ისე რომ ხარჯავდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფულს, როგორც მოეპრიანებოდა, და არაფერს იშურებდა ფავორიტი ქალებისთვის, კიდევ ერთხელ დადასტურდა რამდენიმე დღის წინათ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე.**

## სააკაშვილისგან 3-ათასლარიანი სამკაული — მარიამ საჯაიასა და ივანა მელაისთვის, 1000-ლარიანი საცურაო კოსტიუმი — ვერონე სარასთვის


მარიამ საჯაია


ივანა მელაი

საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის საქმეზე, რომელშიც ბრალდებულები არიან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი **თემურ ჯანაშია,** ბრალდების მხარის მოწმეები დაჰკითხეს.

მოწმეებმა განაცხადეს, რომ ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით საიდუმლოდ ყიდულობდნენ ძვირად ღირებულ საჩუქრებს ამა თუ იმ პირისთვის გადასაცემად.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის — **ვალერიან კილაძის** თქმით, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, მისი ერთ-ერთი სტუმრისთვის, მან ვინმე **ვერონე სარასთვის** 1000-ლარიანი საცურაო კოსტიუმი შეიძინა.

მეორე მოწმის, **მალხაზ შარიაშვილის** თქმით კი, მიხეილ სააკაშვილმა მას საბიუჯეტო თანხით შეაძენინა 3 ათას ლარად ღირებული ყელსაბამები და უკრაინელ მომღერალს, სააკაშვილის მიერ საქართველოს მოქალაქეობამინიჭებულ **ივანა მელაიასა** და ამჟამად ყოფილ დეპუტატს — „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელ **მარიამ საჯაიას** პირადად გადასცა.

**„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ფუნქციაში არ შედის ამგვარი ხარჯების გაწევა, რაც განხორციელებულია. ეს ხარჯები გაწეული იყო პრეზიდენტის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. სხვადასხვა ქალბატონისთვის, მაგალითად, მარიამ საჯაიასა და ივანა მელაისთვის ნაყიდია სამკაულები. ასევე, დიდი ხარჯია გაწეული პრეზიდენტის პირადი სტილისტისთვის. ეს თანხა შეადგენს 74 ათას ლარს“,** — განაცხადა პროკურორმა **ქეთევან ქარჩავამ.**

შეგახსენებთ: „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი მარიამ საჯაია, რომელიც ამჟამად 26 წლისაა, საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი 21 წლისა გახდა. სწორედ საჯაიას, ამ ახალგაზრდა, „პერსპექტიული“ და „განათლებული“ გოგონას, საკანონმდებლო ორგანოში შესაყვანად შეცვალა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა კონსტიტუცია და დეპუტატის მინიმალური წლოვანება 21 წლამდე დასწია, ოღონდ ქალბატონ მარიამს, რომელსაც პარლამენტში იშვიათად ხედავდნენ (ადამიანის უფლებათა კომიტეტის საპარლამენტო კომიტეტის სხდომების გაცდენების მხრივ, ერთ-ერთი ლიდერი იყო), წლების განმავლობაში საკანონმდებლო საქმიანობით თავი არ გამოუჩენია და ხან აშშ-ში სწავლით იყო დაკავებული (თან პარლამენტარის ხელფასს იღებდა), ხან — კონკურს „მის ტრანსგენდერის“ ჟიურიში მონაწილეობით.

**ეს ის შუბლის ძარღვგაწყვეტილი მარიამ საჯაიაა, რომელმაც ორიოდე კვირის წინათ არა დედას ან ძმას, ან თუნდაც მიხეილ სააკაშვილს, არამედ საქართველოს მოსახლეობას სთხოვა დახმარება: აზიის ქვეყნებში მინდა მოგზაურობა და ფული შემიგროვეთო**


მარიამ საჯაია



ეს ის მარიამ საჯაიაა, რომელიც თითქმის 1 წლის განმავლობაში არ გამოცხადებულა პარლამენტში, დეპუტატის ხელფასს კი დანამატიანად (4000 ლარზე მეტს) ყოველთვიურად იღებდა. ეს ის მარიამ საჯაიაა, რომელსაც საქართველოს მოქალაქეებმა სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვუხადოთ სოლიდური პენსია — 560 ლარი.

ეს ის მარიამ საჯაიაა, რომლის ოჯახის კომპანიაც სატენდერო კონკურსებში გამარჯვების შემდეგ სამეგრელოში გზებს აგებდა და შესრულებული სამუშაოებისთვის, მილიონობით თუ არა, ასიათასობით ლარს იჯიბავდა;

ეს ის მარიამ საჯაიაა, რომლის ძმამ, **ნიკოლოზ საჯაიამ,** „ნაციონალურ მოძრაობას“ 2012 წლის აგვისტოში 30 ათასი ლარი შესწირა, ხოლო დედა — **ნაზი არონია** პრემიერმინისტრის ყოფილი მოადგილე, ზუგდიდის სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ყოფილი უფროსი, საქართველოს მე-2 (1990-1992) და მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო.

ეს ის შუბლის ძარღვგაწყვეტილი მარიამ საჯაიაა, რომელმაც ორიოდე კვირის წინათ არა დედას ან ძმას, ან თუნდაც მიხეილ სააკაშვილს, არამედ საქართველოს მოსახლეობას სთხოვა დახმარება: აზიის ქვეყნებში მინდა მოგზაურობა და ფული შემიგროვეთო (იხ. სტატია „დაფანდრაიზინგებული“ ნაციონალი ქალბატონის ვნებანი!“, „საქართველო და მსოფლიო“ № 21, 2017 წ.).

**„ზუსტად ვიცი, რომ სწორ რამეს ვაკეთებ, უზუსტესი გადაწყვეტილებაა: ემოციურად და რაციონალურად. ზუსტად ვიცი, რომ სირცხვილი არ არის, ადამიანებს სთხოვო კარგი საქმის კეთებაში დახმარება. პერო, უკაცრავად ვარ და, არ მაქვს...ამგვარი სამოგზაურო პროექტებისთვის ასეთი ფანდრაიზინგი ძალიან გავრცელებული პრაქტიკაა მთელს მსოფლიოში“** *(სტილი დაცულია).* აი ასე მიმართა მიხეილ სააკაშვილისგან ძვირად ღირებული სამკაულებით დასაჩუქრებულმა ნაციონალმა ქალბატონმა, საქართველოს მოსახლეობას, რომლის დიდი ნაწილი უკიდურესად გაჭირვებულია, ნაწილი კი უცხოეთში ლუკმაპურის ფულის საშოვნელად არის გადახვეწილი...

ყოფილი დეპუტატი ქალბატონი, ნაცვლად იმისა, რომ მოკრძალებულად იყოს თავისი კერპის — მიხეილ სააკაშვილისა და მისი რეჟიმის მიერ ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო, ჭეშმარიტი ნაცივით იქცევა — თავხედობს და ხალხს სთხოვს ფულს სამოგზაუროდ წასასვლელად.

ნათქვამია, კუზიანს სამარე გაასწორებსო...

**ნიკა კორინთელი**

# 2012-2017 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 32 017 უცხოელს მიენიჭა




**უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმეტესობას საქართველოს მოქალაქეობა 2012-2017 წლებში გამონაკლისის წესით მიენიჭა, — განაცხადა პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ. 2012-2017 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 32 017 პირმა მიიღო.**

„გამომდინარე იქიდან, რომ, კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის მოქალაქეობა გამონაკლისის წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს, ჩნდება კითხვა, რა დამსახურებისთვის აქვს მინიჭებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტურ უმეტესობას გამონაკლისის წესით მოქალაქეობა?“ — განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ. მისი თქმით, იუსტიციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2012-2017 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 32 017 პირს, მათგან აშშ-ის მოქალაქე იყო 1686; აზერბაიჯანის — 500; გერმანიის – 111; დიდი ბრიტანეთის — 255; ესპანეთის — 108; თურქეთის — 3135; ირანის — 192; ისრაელის — 1188; რუსეთის — 19597; საბერძნეთის — 1290; სომხეთის — 1122; უკრაინის — 734; ჩინეთის — 3; ყაზახეთის — 223.

**არის თუ არა მონარქია საჭირო? იქნება თუ არა ის სასარგებლო? „ესპანური მაგალითი“ და ამ ქვეყნის XIX-XX საუკუნეების ისტორია ცხადყოფს, რომ ცივ გათვლასა და ინტერესების თანხვედრაზე დაფუძნებულმა არჩევანმა შეიძლება გაცილებით მეტი სარგებელი მოიტანოს, ვიდრე რომანტიკულმა შეძახილებმა თუ ძველი დროშების ფრიალმა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მონარქიის აღდგენა: ესპანური გაკვეთილი

**გასულ კვირას საქართველოში ბევრს საუბრობდნენ მონარქიის აღდგენაზე. ბოლო ასი წლის განმავლობაში მსოფლიოში მსგავსი რამ იშვიათად მომხდარა; ერთ-ერთ გამონაკლისს ესპანეთი წარმოადგენს. საინტერესოა, რა მოხდა ესპანეთში ისეთი, რომ ქვეყნის მოსახლეობისა და საექსპერტო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მონარქიის აღდგენას დადებითად აფასებს.**

ესპანური მონარქიის სწრაფი დაღმასვლა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო. აშშ-თან ომში მარცხის შემდეგ, საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ოდესღაც დიადი იმპერია ჩამორჩენილ მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ეროვნული იდენტობის კრიზისს ეკონომიკური სირთულეები და ახალი პოლიტიკური იდეების გავრცელება დაემთხვა. ლიბერალებისა და სოციალისტების მთავარი სამიზნე ხშირ შემთხვევაში სწორედ მონარქიის ინსტიტუტი ხდებოდა, მას რეაქციულობის მთავარ სიმბოლოდ წარმოაჩენდნენ, მეფეს კი — იმ პოლიტიკოსებისა და გენერლების თანამზრახველად, რომლებიც მუდამ გადატრიალებებსა და შეთქმულებებს აწყობდნენ. 1931 წელს, როდესაც რესპუბლიკელებმა ადგილობრივი არჩევნები დიდ ქალაქებში მოიგეს (მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით წააგეს), ქუჩაში გამოვიდნენ. როდესაც გაირკვა, რომ მრავალათასიანი დემონსტრაციების დაშლა შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებით დასრულებულიყო, ალფონსო XIII ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. იმ დღეებში მეფე ვარაუდობდა, რომ ესპანელები მალე გონს მოეგებოდნენ და ტახტს დაუბრუნებდნენ.

როდესაც სამოქალაქო ომი დაიწყო, მისი შვილი და ამავე დროს ტახტის მემკვიდრე **ხუანი** ესპანეთში ჩავიდა, რათა ნაციონალისტების მხარეს ებრძოლა, მაგრამ გენერალმა ფრანკომ ის თავაზიანად უკან გაისტუმრა. ნაციონალისტების ბანაკში ყველა როდი იყო ბურბონების რესტავრაციის მომხრე, ფრანკოს კი არ სურდა, ძალაუფლების თუნდაც სიმბოლური ნაწილი ვინმესთვის დაეთმო. თანაც, მას არ მოსწონდა პრინცი ხუანი დემონსტრაციული ლიბერალიზმისა და დასავლურ დემოკრატიებთან მჭიდრო კავშირის გამო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფრანკოს რეჟიმი არამდგრადი გახდა. დროდადრო იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოკავშირეები „უკანასკნელ ფაშისტურ ნაკრძალს“ ევროპაში ბოლოს მოუღებდნენ. ამასთანავე, ელიტის წარმომადგენლებს, რომლებიც ესპანური პოლიტიკის მწვერვალზე ფრანკოსთან ერთად ავიდნენ, სურდათ, მიეღოთ გარანტიები, რომ მათი პრივილეგირებული მდგომარეობა მომავალშიც შენარჩუნდებოდა და მხოლოდ დიქტატორის ბედზე მიბმული არ იქნებოდნენ. ფრანკოს უნდა ეჩვენებინა დასავლური სამყაროსთვის, რომ რეჟიმი უკეთესობისკენ იცვლება და ამავე დროს ამ ტრანსფორმაციის პროცესში გარემოცვის ინტერესები და ქვეყნის სტაბილურობა დაეცვა.

1947 წელს ფრანკომ ჩაატარა (და, ბუნებრივია, მოიგო) რეფერენდუმი მონარქიის აღდგენის თაობაზე, მაგრამ ესპანეთი გაურკვევლობაში დატოვა მემკვიდრის ვინაობასთან დაკავშირებით, რომლის კანდიდატურა, სპეციალურად შემუშავებული ორგანული კანონის თანახმად, თვით დიქტატორს უნდა დაესახელებინა. წესით და რიგით, ტახტი 1941-ში გარდაცვლილი ალფონსო XIII მემკვიდრეს, პრინც ხუანს, ეკუთვნოდა, ფრანკომ კი არჩევანი მის შვილზე, მომავალ მეფეზე, ხუან კარლოსზე, შეაჩერა, თუმცა მომავალ მონარქად ის არ დაუსახელებია. ფრანკო აწარმოებდა საკმაოდ რთულ თამაშს ამ ორ ფიგურასთან და ბურბონთა დინასტიის სხვა შტოების წარმომადგენელ პრეტენდენტებთან, რათა დროზე ადრე არ მიეცა მოწინააღმდეგეებისთვის შესაძლებლობა, ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანებულიყვნენ. ხუან კარლოსი მომავალ მეფედ მან მხოლოდ 1969 წელს გამოაცხადა.

ესპანელი მონარქისტები და კონსტიტუციონალისტები დღემდე ვერ ჩამოყალიბებულან, თუ რა მოხდა ესპანეთში ფრანკოს ეპოქის მიწურულს – მონარქიის აღდგენა თუ მისი ხელახალი დაფუძნება, რადგან მოვლენები განვითარდა არა ისე, როგორც ამას სამეფო ოჯახი და დინასტიური კანონები მოითხოვდა, არამედ ისე, როგორც ფრანკომ გადაწყვიტა.

გამოჩენილი ფილოსოფოსი და სოციოლოგი მაქს ვებერი ლეგიტიმურობის სამ ძირითად სახეობას გამოჰყოფდა — ტრადიციულს, ქარიზმატულსა და ლეგალურს. ფრანკოს გარდაცვალებამდე ხუან კარლოსი მხოლოდ ლეგალურს ფლობდა, რადგან მისი გამეფება კანონით იყო გამყარებული. დინასტიური ტრადიციით, გვირგვინი მამამისს ეკუთვნოდა, ხოლო ქარიზმატულ ფიგურად ის ნამდვილად არ ითვლებოდა. 70-იანებში ესპანელები მას ირონიულად უყურებდნენ და ფრანკოს მარიონეტად თვლიდნენ, რომელსაც მომავალში მისი გენერლებისა და მმართველი პარტიის, „ესპანური ფალანგის“ ინტერესები უნდა დაეცვა. ტრადიციული ლეგიტიმურობა, ვებერის კლასიფიკაციით, ხუან კარლოსმა 1977-ში მოიპოვა, როდესაც მამამისმა თავის პრეტენზიებზე უარი თქვა. ამან შექმნა შესაძლებლობა, რომ ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციაში ჩაწერილიყო, რომ მონარქია ისტორიულ ტრადიციას (და არა ფრანკოს ბრძანებულებას) ეფუძნება. რაც შეეხება „ქარიზმატულ ლეგიტიმურობას“, ის ხუან კარლოსმა მმართველობის პირველ ათ წელიწადში მოიპოვა, როდესაც დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა უზრუნველყო, არ დაუშვა 1981 წლის რეაქციული გადატრიალება და თანდათან ესპანელების პატივისცემა დაიმსახურა. ყოველივე ამან მოსახლეობის თვალში მონარქიის ინსტიტუტის რეაბილიტაცია მოახდინა. უფროს თაობას დისკრედიტებული მონარქია ახსოვდა, უმცროსებს ის ანაქრონიზმად მიაჩნდათ, თუმცა დროთა განმავლობაში ესპანელები დარწმუნდნენ, რომ ის აქტუალური და საჭიროა.



ხუან კარლოსი და მისი მეუღლე სოფია



პრინცი ხუან კარლოსი და ფრანცისკო ფრანკო

**ხისტი ვერტიკალური მმართველობა, რომელსაც ფრანკო მიმართავდა, თანდათან შეიცვალა თვითმმართველობების გაძლიერებით, რეგიონებში თითქმის სრულფასოვანი რესპუბლიკების ჩამოყალიბებით, რომელთა ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოში სწორედ მონარქიის ინსტიტუტი უზრუნველყოფს**

**ხუან კარლოსს ხშირად „ფრანკოს გაზრდილს“ უწოდებდნენ, მოღვაწეობის საწყის პერიოდში მას რეჟიმთან კომპრომისზე წასვლა არაერთგზის მოუხდა, რისთვისაც ფრანკოს რადიკალი მოწინააღმდეგეები აკრიტიკებდნენ. თუმცა მეფე ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ მკვეთრი ნაბიჯები ესპანეთს დაპირისპირებამდე და, შესაძლოა, ახალ სამოქალაქო ომამდე მიიყვანდა, ხოლო სისტემის დემონტაჟი მაქსიმალურად ფრთხილი უნდა ყოფილიყო.** დემოკრატიის დამკვიდრება ხუან კარლოსის ერთადერთი დამსახურება არაა — რეფორმების პერიოდში საკმაოდ დიდი იყო იმის საფრთხე, რომ სეპარატისტები, რომელთაც ფრანკო სასტიკად უსწორდებოდა, ქვეყნის დესტაბილიზაციას მოახდენდნენ. ტერორისტებთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები მართლაც შეიქმნა, მაგრამ ხუან კარლოსს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ბასკებისა და კატალონიელების უმრავლესობა რადიკალურ იდეებს არ მიემხრო. **ხისტი ვერტიკალური მმართველობა, რომელსაც ფრანკო მიმართავდა, თანდათან შეიცვალა თვითმმართველობების გაძლიერებით, რეგიონებში თითქმის სრულფასოვანი რესპუბლიკების ჩამოყალიბებით, რომელთა ინტეგრაციას ერთიან სახელმწიფოში სწორედ მონარქიის ინსტიტუტი უზრუნველყოფს.**



ხუან კარლოსი შვილთან — ფილიპთან ერთად, რომელიც სამეფო ტახტის მემკვიდრე გახდა

ხუან კარლოსის ცხოვრებაში იყო ერთი უცნაური, ტრაგიკული სიმბოლიზმით დატვირთული ეპიზოდი. 1956-ში, როდესაც ის 18 წლის, ხოლო მისი ძმა, ალფონსო, 14 წლის იყო, ისინი პორტუგალიაში იმყოფებოდნენ. ძმები რევოლვერს წმენდნენ (ან რევოლვერით თამაშობდნენ – ეს დღემდე გაურკვეველია). ამ დროს ტყვია გავარდა და ალფონსო მოკლა. ოფიციალური ვერსიით, რევოლვერი ალფონსოს ეჭირა, თუმცა რიგი დეტალებიდან და მოგონებებიდან ჩანს, რომ იარაღი ხუან კარლოსს გაუვარდა. ესპანელების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ ვერსიას იზიარებს. ეს რევოლვერი ძმებს 1954-ში ფრანსისკო ფრანკომ აჩუქა.

საინტერესოა, რომ ფრანკოს მეფის თაობაზე ალტერნატიული ვარიანტიც ჰქონდა. მისი შვილიშვილი ალფონსო XIII ერთ-ერთ შვილიშვილზე გათხოვდა, მათ ეყოლათ ვაჟიშვილი, რომელიც, ერთი მხრივ, ბურბონების, მეორე მხრივ კი, ფრანკოს შთამომავალი გახლდათ. კანონი გენერალს შესაძლებლობას აძლევდა, ტახტი სწორედ მისთვის გადაეცა, მაგრამ მან ცდუნებას გაუძლო და არჩევანი ხუან კარლოსის სასარგებლოდ გააკეთა. როგორც ჩანს, დიქტატორმა ახალგაზრდა პრინცში რაღაც ისეთი დაინახა, რაც სხვა კანდიდატებს არ გააჩნდათ.

დღეს ისინი, ვისაც საქართველოში მონარქიის აღდგენა სურთ, საუბრობენ იმაზე, რომ ამ ინსტიტუტმა შეიძლება ხელი შეუწყოს ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებას, აგრეთვე, იმ პრობლემის გადაწყვეტას, რომელსაც შეიძლება „პოლიტიკური კერპთაყვანისმცემლობა“ ვუწოდოთ. თითქოს იმის ნაცვლად, რომ პრეზიდენტები და პრემიერები გააღმერთონ (ამას კარგი არაფერი მოაქვს), ქართველები შესაბამის გრძნობებს კონსტიტუციური მონარქის ფიგურაზე გადაიტანენ. ეს არგუმენტები საინტერესოა, მაგრამ ერთობ ზედაპირულია; შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანია სხვა გარემოების გააზრება. მონარქიის აღდგენამ (ისევე, როგორც ეს ესპანეთში მოხდა) შეიძლება დააინტერესოს ელიტის ის ნაწილი, რომელმაც წინა წლებში საკმაოდ დიდი სიმდიდრე დააგროვა და გავლენა მოიპოვა, ახლა კი მისი დაკარგვის ეშინია. ასეთი საფრთხე ყოველთვის იარსებებს პერსონალისტური რეჟიმის პირობებში, როდესაც ყველაფერი ერთი ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილგონიერებაზეა მიბმული (მნიშვნელობა არ აქვს, ფრანკო იქნება, სააკაშვილი თუ ივანიშვილი), რადგან მის დაცემას შეიძლება ელიტის დიდი ნაწილის მკვეთრი დასუსტება მოჰყვეს. ასეთ ვითარებაში ეს ადამიანები ეძებენ საშუალებას, რომელიც არსებული მდგომარეობის „ჩაბეტონებას“ მოახდენს და ისინი შეინარჩუნებენ ყველაფერს მას შემდეგაც, როცა მოქმედი დიქტატორი ხელისუფლებაში აღარ იქნება.

პოლიტიკური ანალიზის პროცესში მსჯელობა იმაზე კი არ უნდა მიდიოდეს, ცუდია თუ კარგი მონარქია ზოგადად, არამედ იმაზე, ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს (ან არ შედიოდეს) მისი აღდგენა, რადგან ამის გათვალისწინების გარეშე შეიძლება საზოგადოებაში დაპირისპირების პროვოცირება მოვახდინოთ. **არის თუ არა მონარქია საჭირო? იქნება თუ არა ის სასარგებლო? „ესპანური მაგალითი“ და ამ ქვეყნის XIX-XX საუკუნეების ისტორია ცხადყოფს, რომ ცივ გათვლასა და ინტერესების თანხვედრაზე დაფუძნებულმა არჩევანმა შეიძლება გაცილებით მეტი სარგებელი მოიტანოს, ვიდრე რომანტიკულმა შეძახილებმა თუ ძველი დროშების ფრიალმა.**

ლუკა ნემსაძე

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კი გაერო იწყებს მოლაპარაკებას ბირთვული იარაღის სრულად აკრძალვის ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ, სახელმწიფოები, რომლებიც მას ფლობენ, მასობრივად იწყებენ მომზადებას ინვესტიციების ჩასადებად ბირთვული ქობინების ახალი თაობის წარმოებაში, რაც „ცივი ომის“ ყველაზე შავბნელ პერიოდებს გვახსენებს.**

# ახალი თაობის ბირთვული იარაღი: მომავლის ატომური ომი

## ის მცირე მოცულობისა და დიდი სიზუსტის იარაღია: ახალ ატომურ ქობინებს რევოლუციის მოხდენა და მსოფლიოში არსებული წონასწორობის დარღვევა ძალუძს. მათ შეუძლია აპოკალიფსის პროვოცირება

**მართვის სიმარტივის და ე.წ. შედეგების შეზღუდულობის გამო ამ იარაღის რეალური გამოყენების წარმოდგენა ადვილად შეიძლება. ბირთვული იარაღის ახალი თაობა მსოფლიო სცენაზე გამოსასვლელად ემზადება.**

დაძველება არსებული იარაღისა, რომელიც რამდენიმე ათეული წლისაა, ახალი სამხედრო სტრატეგიები, რომლებიც ემყარება სულ უფრო გართულებულ და შეუღწევად ჰაერთავდაცვით სისტემებს, უბიძგებს მსხვილ ბირთვულ სახელმწიფოებს, მასშტაბურად და რადიკალურად განაახლონ თავიანთი არსენალი. **შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი** (ხუთი ქვეყანა, რომლებსაც ოფიციალურად აქვთ ბირთვული იარაღი), ფაქტობრივად, უკვე აწარმოებენ არსენალების მოდერნიზაციას, რომელიც 2080 წლამდეა გათვლილი. მიზანი — „სანდო და უსაფრთხო“ აღჭურვის უზრუნველყოფა. რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებიც ოფიციალურად არ აცხადებენ, რომ ფლობენ ბირთვულ იარაღს **(ინდოეთი, პაკისტანი, ისრაელი და ჩრდილოეთი კორეა)**, ისინიც განავითარებენ ახალ, მრავალმხრივ „ტაქტიკურ“ პოტენციალს, რაც მიგვანიშნებს მისი გამოყენების ალბათობაზე რეგიონებში საომარი მოქმედების დაწყების შემთხვევაში.

შევეცდებით სხვა სიტყვებით ამის გადმოცემას: **როგორც კი გაერო იწყებს მოლაპარაკებას ბირთვული იარაღის სრულად აკრძალვის ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ, სახელმწიფოები, რომლებიც მას ფლობენ, მასობრივად იწყებენ მომზადებას ინვესტიციების ჩასადებად ბირთვული ქობინების ახალი თაობის წარმოებაში, რაც „ცივი ომის“ ყველაზე შავბნელ პერიოდებს გვახსენებს და თავისი ტექნოლოგიური მახასიათებლებისა და მათი მხრდამჭერი დოქტრინების წყალობით შეუძლია, შეცვალოს ე.წ. შიშის წონასწორობა. ეს კი, პარადოქსულობის მიუხედავად, თერმობირთვული ომის შესაძლებლობას სავსებით რეალურს ხდის.**

ვერავინ განაცხადებს, რომ ბრალი არ მიუძღვის ე.წ. მესამე ატომური ერის დაწყებაში (პირველი ორი — „გარანტირებული ურთიერთგანადგურება“ და ფრთხილი განიარაღება — განხორციელდა ათასწლეულების შესაყარზე): ვერც **ვლადიმერ პუტინის** რუსეთი, რომელიც ცდილობს ეკონომიკის დაცემის კომპენსირებას აშშ-თან ფარდობითი სტრატეგიული თანასწორობის შენარჩუნებით; ვერც **ბარაკ ობამას** ამერიკა; მით უფრო, **დონალდ ტრამპის** ხელში ჩავარდნილი ამერიკა, რომელიც უახლოესი 30 წლის განმავლობაში აპირებს წარმოუდგენელი თანხის ინვესტირებას თავისი ბირთვული ფორმის ტანსაცმლის განსაახლებლად; არც ჩინეთია უდანაშაულო, რომელიც ცდილობს, გახდეს სრულფასოვანი ზესახელმწიფო, და აშშ-ს თავისი ტექნოლოგიური განვითარების ეტალონად მიიჩნევს.

### ამერიკის შეერთებული შტატები

მსოფლიოს კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, აშშ შეიარაღებულია **7 ათასი** ბირთვული ქობინით. 2009 წელს, როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ბარაკ ობამამ საჯაროდ განაცხადა, რომ მსოფლიოს ბირთვული იარაღისგან გაათავისუფლებდა, დაიწყო კიდეც მოდერნიზაციის პროგრამის განხორციელება, რომელსაც ზემოთ დასახელებული ინსტიტუტის პრეზიდენტი **ჰანს კრისტენსენი** „ამერიკის უშიშროების სტრატეგიაში ბირთვული კომპონენტის როლის შემცირების ამოცანის სრულიად საწინააღმდეგო შეუთავსებლობად“ მიიჩნევს. ტრამპის ადმინისტრაციამ არ დააყოვნა სათავისოდ ამის გამოყენება. პროგრამა ითვალისწინებს შეიარაღების მთელი ტრიადის — სახმელეთო, ჰაერით ტრანსპორტირებადი და წყალქვეშა კომპონენტების განახლებას: „ოგაიოს“ კლასის 14 წყალქვეშა ნავის შეცვლას, მოქმედი ბომბდამშენების B-52-ისა და B-2-ის მოდერნიზაციას და ახალი B-21 ბომდამშენის აგებას სტელს-ტექნოლოგიების გამოყენებით, ასევე Trident D-5-ისა და Minuteman III სისტემების განახლებას. დაკომპლექტდება განგაშის წინასწარი შეტყობინების კოსმოსური სისტემები, ახალი საკომანდო და მაკონტროლებელი პუნქტები. ამ ახალი არსენალის სიამაყედ ითვლება ბომბი B61-12, რომლის დატენვა შეიძლება როგორც ტრადიციული, ასევე, ცვალებადი სიმძლავრისა და ძალიან დიდი სიზუსტის ბირთვული ქობინებით. B61-12, პენტაგონის ვერსიით, შეცვლის ბომბის ოთხ სხვა ტიპს, რაც მათ საერთო რაოდენობას შეამცირებს, მაგრამ სწორედ ამ ბომბის წინააღმდეგ გამოვიდა პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის თავდაცვის მინისტრი **უილიამ პერი**, რომელმაც დაიწუნა სწორედ ის, რაც სხვებმა მოიწონეს, ანუ ბომბის როგორც ბირთვული, ისე ტრადიციული შიგთავსით დატენვა. მისი აზრით, „შეტევის მომლოდინე მტერი ყოველთვის უარესს წარმოიდგენს ხოლმე და ტრადიციული არსენალით განხორციელებულ შეტევაზე შეუძლია ბირთვული იარაღით გვიპასუხოს“.



### რუსეთი

2016 წლის მონაცემებით, რუსეთს **7 290** ქობინი აქვს. იგი ფლობს მსოფლიოში უდიდეს, მაგრამ არცთუ უთანამედროვეს, არსენალს. პუტინმა დაადასტურა ბირთვული კომპონენტის მნიშვნელოვანი როლი რუსეთის სამხედრო დოქტრინაში, რომელიც ითვალისწინებს მისი გამოყენების დივერსიფიკაციას, როგორც ბირთვული, ასევე, ტრადიციული ქობინებით აღჭურვის შესაძლებლობას.

კრისტენსენის აზრით, რუსეთი იმყოფება „ფართო მოდერნიზაციის შუა გზაზე, რომელიც შეიარაღების გაკონტროლების ახალი ამოცანების წინაშე დააყენებს საერთაშორისო თანამეგობრობას“.

**პროგრამის ცენტრშია ახალი SS-27-2, ანუ „იარსის“ კონტინენტშორისი რაკეტები, რომლებიც იტევს ოთხამდე ქობინს, რომლებსაც შეუძლია, ცალ-ცალკე შევიდეს ატმოსფეროში და დაბომბოს სხვადასხვა ობიექტი. აშშ-ის აზრით, ეს სისტემები არღვევს 2010 წელს აშშ-ისა და რუსეთის მიერ პრაღაში ხელმოწერილ შეთანხმებას, რომელიც კრძალავს უკვე არსებული მონობლოკური რაკეტების აღჭურვას რამდენიმე ქობინით, მაგრამ რუსებს შეუძლიათ საბრძოლო მუხტების შემცირება, რითაც დაიცავენ მიღწეულ შეთანხმებას.**

დამუშავების სტადიაშია: SS-30-ის „სარმატი“, „სატანის შვილები“, გაეროს ენით რომ ვთქვათ, რომელთაც 10 საბრძოლო მუხტი აქვს; წყალქვეშა ნავების ახალი თაობა, რომელიც 11 მოქმედს შეცვლის; ბომბდამშენების Ту-160-ისა და Ту-95MC-ის მოდერნიზაცია.

### ჩინეთი

პეკინი, რომელსაც, 2016 წლის მონაცემებით, 250 ბირთვული ქობინი აქვს, განწყობილია თავისი პოტენციალის გასაფართოებლად; მიისწრაფვის აშშ-ის დონეზე გასასვლელად. მეზობლების — ინდოეთისა და რუსეთის კონკურენცია, ჩრდილოეთკორეელი „მოკავშირის“ უკონტროლო ქცევით გამოწვეული შეშფოთება ჩინეთის ხელმძღვანელობას უბიძგებს, მასშტაბურად დააფინანსოს ზესწრაფი სისტემების კვლევისა და დამუშავების დარგები, ანუ რაკეტების წარმოება, რომლებსაც ექნება უნარი, ზებგერითი სისწრაფით მოახდინოს კოსმოსიდან პიკირება. ჩინეთი თავის მონობლოკურ რაკეტებს შეცვლის ახალი თაობის რაკეტებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება რამდენიმე ქობინით, მყარი საწვავის ძრავებით. ჩინეთის ბიუჯეტის მოცულობა, რომელიც ამ საქმეზე დაიხარჯება, უცნობია, თუმცა პროგრამების მასშტაბურობა გიგანტურია.

### საფრანგეთი

„ტრიუმფანის“ კლასის მემკვიდრე ახალი წყალქვეშა ნავების საექსპლუატაციოდ მიღება 2035 და 2048 წლების პერიოდშია ნავარაუდევი. ამასობაში პარიზი თავისი კონტინენტშორისი საშუალო სიშორის რაკეტების (M51 და ASMP) მოდერნიზაციას მოახდენს, რომლებითაც ავიაგამანადგურებლები „რაფაელი“ აღიჭურვება. ეს უკანასკნელნი 2040 წლისთვის შეიცვლება, ისევე, როგორც ავიამზიდი „შარლ დე გოლი“. საფრანგეთი განაგრძობს ბირთვული ბომბების რაოდენობის 300-მდე შემცირებას.

### დიდი ბრიტანეთი

ერთი წლის წინათ დიდი ბრიტანეთის განკარგულებაში 215 ბირთვული ქობინი იყო. ბრიტანეთის მთავრობამ განაცხადა, რომ „ვენგარდის“ სუბმარინების ჩასანაცვლებლად იწყებს ოთხი ახალი წყალქვეშა ნავის მშენებლობას, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს „პოტენციური მტრების გაზრდილ რაოდენობასა და მათი ძალების მოდერნიზაციას“. ინვესტიციები 46 მილიარდი დოლარია. წყალქვეშა ნავები აღიჭურვება „ტრაიდენტის“ რაკეტებით.

### გეოპოლიტიკური სურათი

გეოპოლიტიკური სურათი კარგს არაფერს გვიქადის. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ძლიერ აჩქარებას არასტაბილურობის მორიგი ელემენტი შეაქვს არსებულ ვითარებაში.

მეტიც, თუ ტრამპის ადმინისტრაცია უარს იტყვის შეთანხმებაზე, რომელიც ავალდებულებს ირანს, ათი წლით თავი შეიკავოს ატომური ბომბის შექმნისგან, თეირანს უკვე ვერავითარი ფაქტორი ვერ აიძულებს, დაიცვას აღნიშნული პირობა, რაც, თავის მხრივ, ახლო აღმოსავლეთში ბირთვული დაპირისპირების უპრეცედენტო მიზეზი შეიძლება გახდეს და არსებული არასტაბილურობის გაღრმავება გამოიწვიოს. გადაიარაღების ასეთი პერსპექტივა, უწინარეს ყოვლისა, იქმნება ახალი აგრესიული პოლიტიკის გამო, რომელსაც პუტინს მიაწერენ და, აღმოსავლეთევროპულ ფრონტზე ნატოს მიერ ახირებული „რუსული საშიშროების“ მიზეზით, რომელიც უფრო მეტად გამოგონილია, ვიდრე რეალური.

**უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ერთ მხარეს განხორციელებული ნებისმიერი განახლება იქნება საიმისო ნიშანი, რომ მეორე მხარემ შესაბამისი მოქმედება განახორციელოს, კერძოდ, სხვა ქვეყნები (რომლებსაც ამჟამად არ აქვთ ბირთვული იარაღი, მაგრამ გააჩნიათ ტექნიკური ბაზა მის შესაქმნელად) გერმანიიდან იაპონიამდე და საუდის არაბეთამდე მოინდომებენ თავიანთი სამხედრო არსენალის ბირთვული იარაღით აღჭურვას.**



**პაოლო ვალენტინო**,
გაზეთი „კორიერე დელა სერა“, იტალია

**კალიფორნიაში იბრძვიან ისეთი კანონის მისაღებად, რომელიც ოფიციალურად აღიარებს „მესამე სქესს“. ასეთი კანონის მიღებას მხარს უჭერს ბევრი ცნობილი ადამიანი.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით



## 14 წლის გოგომ დედა და და მოკლა, რომლებიც მას გამუდმებით დასცინოდნენ

**კიმმა თავის შეყვარებულთან ერთად 49 წლის დედა — ელიზაბეტ ედვარდსი და 13 წლის და — ქეთი შარშან, აპრილში, მაშინ მოკლა, როცა მათ ეძინათ. ეს მოხდა ინგლისში, ქალაქ სპალდინგში. გამოძიების ვერსიით, მკვლელობის შემდეგ წყვილი სექსით გაერთო, მიირთვა ტკბილეული, უცქირა ფილმს „მწუხრი“ და აუზშიც გაგრილდა. ორივე მოზარდი 14 წლის იყო, — იუწყება „დეილი მეილი“.**

„ცოტა გულდაწყვეტილი ვარ, თითქოს მოკვდა პატარა თევზი ან პატარა ზაზუნა. მიხარია, რომ ისინი აღარ არსებობენ, მაგრამ ახლა სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდი“, — დაწერა **კიმ ედვარდსმა**. მან თქვა, რომ დედამისს უმცროსი და უფრო უყვარდა და მასზე იყო გადაყოლილი. როცა უფროსი გოგო 6 წლისა იყო, დედამ სახეში ხელი გაარტყა იმიტომ, რომ ტელევიზორს უყურებდა. მაშინ ბავშვები ოთხი თვით სხვა ოჯახში გაგზავნეს, მაგრამ კიმმა არ დაივიწყა მიყენებული წყენა და ელოდა შესაფერის მომენტს შურის საძიებლად.

ბოლო წვეთი, რომელმაც აავსო მოთმინების ფიალა, იყო დედის მუქარა, რომ კიმს ნარკომანი მამის ბედი ელოდა. დედა მამასთან შეხვედრის საშუალებას არ აძლევდა, გოგოს კი სჯეროდა, რომ მამას იგი ეყვარებოდა. ამას გარდა, დედა მუდმივად შეურაცხყოფდა მის შეყვარებულ ბიჭს, რომელიც ხულიგანი იყო და რომელიც მხარს უჭერდა კიმს.

„მე მოვიცილე პრობლემა, დედის სახით, რომელიც მთრგუნავდა და მუდმივ დეპრესიაში მამყოფებდა. ამოვისუნთქე და არ ვნანობ“, — განაცხადა კიმმა.

ერთხელ ლუკასმა ხუმრობით შესთავაზა კიმს, მოეკლა დედა, გოგონამ კი ეს სერიოზულად აღიქვა და დათანხმდა. ბიჭი კიმის დახმარებით ფანჯრიდან დების ოთახში მზარეულის დანებით გადაძვრა, რომლებითაც კიმმა დასა და დედას ყელი გამოსჭრა. მოზარდებმა თავის მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ მალევე გადაიფიქრეს. სასამართლომ მათ 17 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეუფარდა.

## 17 წლის ქალიშვილი მსოფლიოში პირველი უსქესო ადამიანი გახდა

**მოზარდის ოფიციალური დოკუმენტების „სქესის“ გრაფაში ჩაწერილია — non-binary, რაც ორი სქესის არსებობის უარყოფას ნიშნავს.**



15 წლისა რომ გახდა, **სტარ ჰაგენ-ესკერამ** მეგობრებსა და ნათესავებს განუცხადა, რომ არ მიეკუთვნება არც ერთ სქესს (non-binary) და უარყოფს გენდერული ნიშნით დაყოფას, ამიტომ სთხოვდა ყველას, მისთვის მრავლობითი რიცხვით მიემართათ. გავიდა ორი წელიწადი და დღეს „მათ“ სურთ, შეიცვალონ სახელი და „მათი“ გენდერული იდენტურობა ჩაიწეროს დოკუმენტებში, იტყობინება BuzzFeed News.

სანტა-კრუზის მრავალფეროვნებათა ცენტრში სტარმა გაიცნო **სარა კელი კინენი**, რომელმაც შარშან, წლის ბოლოს უფლება მოიპოვა, შეეცვალა თავისი დაბადების მოწმობის სქესის აღმნიშვნელ გრაფაში „შუალედური“. 55 წლის ქალი, რომელიც „მესამე“ სქესისთვის იბრძვის, სტარს დახმარებას დაჰპირდა. და სამი თვის შემდეგ მიაღწიეს თავისას: სტარი მსოფლიოში პირველი ადამიანი გახდა, რომელსაც non-binary-ის სტატუსი მიანიჭეს.

კალიფორნიაში იბრძვიან ისეთი კანონის მისაღებად, რომელიც ოფიციალურად აღიარებს „მესამე სქესს“. ასეთი კანონის მიღებას მხარს უჭერს ბევრი ცნობილი ადამიანი.

დაბადებისთანავე სარას მამრობითი სქესი დაუდგინეს, ბავშვთა სახლში, ბავშვის სხეულის ცვლილებებიდან გამომდინარე, სქესი შეუცვალეს. ნახევარი წლის შემდეგ სარა იშვილეს. სქესობრივი მომწიფების პერიოდში გოგონას აშკარა პრობლემები გაუჩნდა და მშობლებმა იგი გენეტიკოსს მიუყვანეს. დადგინდა, რომ სარა ჰერმაფროდიტია: ექიმებმა მას ქალის სასქესო ნიშნები მამაკაცის გენომი და შიგა სასქესო სისტემის შერეული აგებულება აღმოუჩინეს. მშობლებმა ამ ამბის გასაიდუმლოება გადაწყვიტეს. მამამ სიკვდილამდე ერთი წლით ადრე გაუმხილა შვილს სიმართლე.

## ათხოვეთ პრეზერვატივი!

**ერთმა ინგლისელმა, რომელიც თვითმფრინავში ახალგაცნობილ ქალთან სექსით გაერთო, ორსული საცოლე მიატოვა. ამ სექსუალური კავშირის ვიდეოჩანაწერმა ააფეთქა ინტერნეტი.**

The Sun-ის ცნობით, ეს კაცი არის დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, შეფმზარეული **შონ ედმონდსონი.** ახლობლების წრეში მექალთანეს ეძახიან.

გამოცემის მიხედვით, ქერათმიანმა ასულმა და შეფმზარეულმა ერთმანეთი აეროპორტში, გაფრენის წინ გაიცნეს. ედმონდსონმა თავისი საცოლე 25 წლის **ჯენა როსი,** რომელიც ექვსი თვის ორსული იყო, შინ დატოვა, თვითონ კი კურორტ იბიცაში გასართობად მიფრინავდა.





წყვილმა ერთმანეთისადმი ისეთი ძლიერი ლტოლვა განიცადა, რომ არც მეტი, არც ნაკლები, მგზავრის სავარძელშივე გადაეჭდვნენ ერთმანეთს. კაცმა პარტნიორი ქალი მუხლებზე რომ დაისვა, სალონში მყოფთ ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ ზედმეტი პრეზერვატივი... უცნობია, მიაწოდა თუ არა ვინმემ ამ აღგზნებულ კულინარს მისთვის ესოდენ საჭირო დამხმარე საშუალება, მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია, რომ ეკიპაჟმა ფეხებზე დაიკიდა, რომ მათი თვითმფრინავის ბორტი ორმა გარყვნილმა ბორდელის ფილიალად აქცია.

## მშობლებმა «წინასწარმეტყველს» ნება დართეს, თავიანთი ქალიშვილები დაემონებინა



**ამერიკის ქალაქ ფილადელფიაში (პენსილვანიის შტატი) დაიწყო 51 წლის ლი კაპლანის საქმის სასამართლო განხილვა, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში სექსუალურ მონობაში ჰყავდა დანიილ და სევილა სტოლცფუსების ექვსი ქალიშვილი. მშობლებმა ბავშვები კაპლანს მიაქირავეს მათთვის გაღებული დახმარების საზღაურად, — იუწყება Philly.com.**

გოგონები 7-დან 19-მდე წლისანი იყვნენ. მათგან რამდენიმემ „წინასწარმეტყველს“ ბავშვებიც კი გაუჩინა. ეს ამერიკელი „წინასწარმეტყველი“ 12 ქალის „აღზრდით“ იყო დაკავებული, მათგან ექვსი მისი სექსუალური მონა იყო.

დების მშობლებმა სასამართლოზე აღიარეს, რომ იცოდნენ, როგორ ეპყრობოდა მათ შვილებს ლი კაპლანი. მათგან უმცროსს, შვიდი წლის ბავშვს, სტოლტფუსები „წინასწარმეტყველის“ ცოლობას ჰპირდებოდნენ.

რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ დები ამერიკელთან, არ აზუსტებენ. იგი მათ ეზოს გარეთ თითქმის არ უშვებდა, ამბობდა, რომ გარე სამყარო ძალიან საშიშია გოგონებისთვის.

2016 წელს დაეჭვებულმა მეზობელმა პოლიციას გამოუძახა. „ყოველთვის, როცა სახლს ჩავუვლიდი, ვხედავდი, რომ ბოსტანში მუშაობდნენ ერთნაირ ლურჯ კაბებში გამოწყობილი ქალები. ვამჩნევდი, რომ სახეზე მათ შიში ჰქონდათ აღბეჭდილი. მივხვდი, რომ აქ რაღაც იმალებოდა“, — განაცხადა მან.

თუ კაპლანს დაუდასტურდება წაყენებული ბრალდებები, მას სამუდამოდ გამოამწყვდევენ ციხეში.

უცხოური პრესა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქი ჟურნალისტების განრისხება გამოიწვიეს პენტაგონის ხელმძღვანელმა ჯეიმს მეტისმა, სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა მაიკლ პომპეომ, ვაშინგტონის მერმა მიურიელ ბოუზერმა და დედაქალაქის პოლიციის უფროსმა პიტერ ნიუამმა, ასევე, რომის პაპმა ფრანცისკმა. გაზეთში ჩამოთვლილ ყველა მოღვაწეს „ტერორისტი“ უწოდეს.**




## Turkish Minute:

# ტრამპი ტერორისტების სიაში ჩაწერეს

**თურქეთის პროსამთავრობო გაზეთმა Yenisoz-მა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ტერორისტების სიაში ჩაწერა.**

თურქი ჟურნალისტების განრისხება გამოიწვიეს პენტაგონის ხელმძღვანელმა **ჯეიმს მეტისმა,** სახელმწიფო მდივანმა **რექს ტილერსონმა,** ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა **მაიკლ პომპეომ,** ვაშინგტონის მერმა **მიურიელ ბოუზერმა** და დედაქალაქის პოლიციის უფროსმა **პიტერ ნიუამმა,** ასევე, რომის პაპმა **ფრანცისკმა.** გაზეთში ჩამოთვლილ ყველა მოღვაწეს „ტერორისტი“ უწოდეს.

გაზეთმა ამერიკელი მოხელეებისა და პოლიტიკოსებისადმი ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება იმით ახსნა, რომ ისინი მხარს უჭერენ ისლამის თურქ მქადაგებელ **ფეთჰულაჰ გიულენს,** რომელიც აშშ-ში არის გადახვეწილი.

Rupostars-ის ცნობით, რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის პოლიციამ თურქეთის პრეზიდენტ **რეჯეპ ტაიპ ერდოღანის** დაცვის 9 წევრზე დაპატიმრების ორდერი გასცა. მათ ბრალად ედებათ თურქეთის ლიდერის წინააღმდეგ გამოსულ დემონსტრანტებზე თავდასხმა 16 მაისს ვაშინგტონში ერდოღანის ოფიციალური ვიზიტის მიმდინარეობისას.




## Die Welt:

# გერმანელი მემარჯვენეები ყირიმს «ოდითგან» რუსულ ტერიტორიად აღიარებენ

**რეგიონული ყრილობის მსვლელობისას პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ბუნდესვერის შემადგენლობაში ასარჩევმა მთავარმა კანდიდატებმა: ელის ვაიდელმა და ალექსანდრ გაულანდმა თანაპარტიელებს მოუწოდეს, ზურგი აქციონ მემარცხენე-მწვანეების პოლიტიკის ტენდენციებს, რომლის მატარებლად გვევლინება კანცლერი ანგელა მერკელი, — იუწყება Die Welt-ი.**

როგორც ეს გამოცემა აღნიშნავს, გაულანდი მიზანშეწონილად მიიჩნევს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციების გაუქმებას და „ვლადიმირ პუტინის პოლიტიკის“ სწორად გაგებას. „სანქციები ყოველთვის შეცდომაა, პოლიტიკურად მცდარია: ყირიმის მიწის ერთ გოჯსაც ვერ დააბრუნებს. ყირიმი რუსეთის ძირძველი ტერიტორიაა და არ შეიძლება დაუბრუნდეს უკრაინას“, — განაცხადა გერმანელმა პოლიტიკოსმა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთმა ხელიდან გაუშვა „ახალი მსოფლიოს შექმნის შესაძლებლობა რუსეთთან ერთად“. „ჩვენთვის, გერმანელებისთვის ყოველთვის ხელსაყრელი იყო რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება“, — დაასკვნა პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ლიდერმა.




## Independent:

# ვაშინგტონს ასადის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო აინტერესებს, ვიდრე «ისლამური სახელმწიფოს» განადგურება



**სირიის მთავრობა მოსკოვისა და თეირანის მხარდაჭერით ნამდვილად ებრძვის „ისლამურ სახელმწიფოს“, — მიიჩნევს The Independent-ის კორესპონდენტი რობერტ ფისკი. ამავე დროს ვაშინგტონი და მისი მომხრეები მეტი ხალისით ბომბავენ ასადის ჯარებს, ვიდრე ტერორისტების პოზიციებს.**

სირიის კონფლიქტის რუკა ყოველდღიურად იცვლება, მაგრამ სამთავრობო ჯარები მოსკოვისა და „ჰეზბოლას“ დახმარებით „ისლამურ სახელმწიფოსა“ და მის მოკავშირეებზე სისტემატურად რომ იმარჯვებენ, მყარ ტენდენციად რჩება“, — წერს Independent-ის კორესპონდენტი.

ამასთანავე, აშშ „უხეშად ზრდის“ სირიაში ირანის ძალების მონაცემებს. შესაძლებელია, იმიტომ, რომ ეს სრულად უპასუხებს საუდის არაბეთისა და ამერიკის წარმოდგენას თეირანის „კოშმარული ექსპანსიის“ შესახებ. ასეა თუ არა, ასადის რეჟიმის წარმატება აშკარად აშფოთებს ვაშინგტონსა და მის ქურთ მოკავშირეებს, აღნიშნავს სტატიის ავტორი.

ჟურნალისტი ცდილობს, გაარკვიოს, ბოლოსდაბოლოს ნამდვილად ვინ ებრძვის „ისლამურ სახელმწიფოს“. მოსკოვი ფრთიან რაკეტებს ურტყამს ხალიფატს და აცხადებს, რომ შეძლო მისი სისხლისმსმელი ლიდერის — **ალ-ბაღდადის** ლიკვიდაცია. სირიის არმია რუსეთის ჯარების მხარდაჭერით ნამდვილად რომ ებრძვის ისლამისტებს, ფრისკიმ საკუთარი თვალით ნახა.

ამერიკა რას აკეთებს? — ჯერ შეუტევს ჰოლმსის მახლობლად მდებარე სამთავრობო ავიაბაზას, შემდეგ — დამასკოს მოკავშირეებს ატ-ტანფასთან, დაბოლოს, ჩამოაგდებს სირიის ავიაგამანადგურებელს. „იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონი გატაცებით ცდილობს, დაარტყას ასადსა და მის ირანელ მოკავშირეებს და არა „ისლამურ სახელმწიფოს“.

ფრისკის თქმით, ეს ყველაფერი საუდის არაბეთის პოლიტიკის ანარეკლია და, შესაძლოა, ამასვე ისახავს მიზნად დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაც. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ისრაელი ბომბავდა სირიის ჯარებს, „ჰეზბოლასა“ და ირანელებს, მაგრამ არასოდეს — „ისლამურ სახელმწიფოს“.

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთს ყველაზე მეტად აღაშფოთებს ქიმიური იარაღის გამოყენება („რაშიც იგი, რა თქმა უნდა, ადანაშაულებს ასადს“), ვიდრე სირიისა და ერაყის ოკუპირებული რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ხალიფატის ბარბაროსული დამოკიდებულება. ამერიკელები ირწმუნებიან, რომ ისლამისტების განადგურება სურთ, მაგრამ დამასკოს არმიაზე მათი მუდმივი შეტევები საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

„ნუთუ ვაშინგტონს მხოლოდ ის უნდა, რომ გახლიჩოს სირია და აქციოს იგი ქმედუუნარო სახელმწიფოდ? შეძლებს კი, წარმატება მიაღწიოს დღევანდელ პირობებში, როცა რუსეთი იმუქრება, რომ ჩამოაგდებს აშშ-ის საჰაერო ხომალდებს, თუ ამერიკელები კვლავ შეუტევენ სირიის თვითმფრინავებს?“ — წერს რობერტ ფისკი.

## Contra Magazin:

# ანტირუსულ ისტერიას ევროპაში აშშ იარაღის გასაყიდად იყენებს

**აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა კვლავაც რუსული წარმოების იარაღითაა აღჭურვილი, რაც მათ „რუსეთის აგრესიის“ შემთხვევაში ფრიად მოწყვლადსა ხდის, მიიჩნევს კონგრესმენი პოლ კუკი.**

ანტირუსული ისტერიის ფონზე ვაშინგტონი სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს რეგიონში თავისი მოკავშირეებისგან რუსული შეიარაღების ამერიკულით შეცვლას. ამას იგი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს, რათა დაეხმაროს ამერიკის თავდაცვით-სამრეწველო კომპლექსს, ირწმუნება ავსტრიული „კონტრა მეგეზინი“.

აშშ-ის აღმოსავლეთევროპელმა მოკავშირეებმა კეთილი უნდა ინებონ და იყიდონ იარაღი უფროსი ძმისგან. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ამ პრობლემაზე სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ. კონგრესმენი კუკიც ამ იდეის განხორციელების მომხრეთა შორისაა.

**დონალდ ტრამპის** ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რათა აშშ-ის მოკავშირეებმა შეიძინონ მაინცდამაინც ამერიკული წარმოების შეიარაღების სისტემები, — აღნიშნავს გამოცემა.

სტატიის ავტორი განმარტავს, რომ „საბჭოთა შეიარაღების“ გამოყენება აბრკოლებს ევროპაში ამერიკის პოლიტიკის განხორციელებას. ამერიკული მხარის მოთხოვნა, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია აშშ-ის თავდაცვით-სამრეწველო კომპლექსის მხარდაჭერის აუცილებლობით.

ამას გარდა, ავსტრიული ჟურნალის აზრით, რთულ ამერიკულ სისტემებში ჩამონტაჟებულია უსაფრთხოების ისეთი მექანიზმები, რომლებიც აშშ-ისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ამ იარაღის გამოყენებას შეუძლებელს ხდის იმ შემთხვევაში, თუ ეს შეიარაღება მოწინააღმდეგეს ხელში ჩაუვარდება.

ჰიპოთეტური რუსული თავდასხმის გაღვივებული ისტერიის დახმარებით ვაშინგტონი ცდილობს, სწრაფად გაასაღოს ამერიკული შეიარაღების სისტემები, — ხაზგასმით აღნიშნავს „კონტრა მეგეზინი“. ამით ცდილობენ, დახმარების ხელი გაუწოდონ აშშ-ის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგს — სამხედრო წარმოებას, რადგან მხოლოდ ასე შეძლებენ ამერიკის მილიტარისტული პოლიტიკის განხორციელებას, — წერს ავსტრიული ჟურნალი.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რამდენჯერმე დააყენეს საკითხი, რომ ლატვიის სახელმწიფო სკოლებში ეროვნული უმცირესობის ენაზე სწავლება პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. საკითხი კი დააყენეს, მაგრამ რეზოლუციის მიღებამდე საქმე არ მისულა. ახლა შეადარეთ ეს რეაქცია იმ სიტუაციას, როცა ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანამ არ შეასრულა ბრიუსელის გადაწყვეტილება ახლო აღმოსავლეთიდან რამდენიმე ათასი ლტოლვილის მიღების შესახებ. ახლოაღმოსავლელი მიგრანტების მდგომარეობა ევროკავშირს აღელვებს, ბალტიისპირეთში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისთვის კი ევროპას მიუფურთხებია.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპის უუფლებო ადამიანები




**XXI საუკუნეში, როცა სულ უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობს, რომ ცივილიზებულ მსოფლიოში არ უნდა არსებობდეს ისეთი დისკრიმინაცია, როგორიც 1930-იან წლებში ახასიათებდა გერმანიას, ბალტიისპირეთის ქვეყნებში დაუფარავად არღვევენ ადამიანის უფლებებს ეროვნული კუთვნილების გამო და, ფაქტობრივად, ხელს უწყობენ ნეონაციონალისტური განწყობების მომძლავრებას. და ეს ხდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.**

მაგალითისთვის განვიხილოთ ლატვიასა და ესტონეთში არსებული მდგომარეობა. აქ ხელისუფლების დისკრიმინაციული კურსი რუსულენოვან უმცირესობათა მიმართ საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტიდან დამკვიდრდა. დღეს ლატვიაში დაახლოებით 330 ათასი ე.წ. არამოქალაქე ცხოვრობს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 14 პროცენტია. ამასთანავე, აქ მოქმედებს „არამოქალაქეების“ უფლებების 79 სახის შეზღუდვა: მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, დაიკავონ სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობები, იყვნენ მოსამართლეები, პროკურორები, იმსახურონ არმიაში და ა.შ. უფლება არ აქვთ, განახორციელონ გარიგება უძრავი ქონების გასხვისებაზე ოფიციალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე.

ამ ქვეყნებმა არათუ გაამარტივეს ხანდაზმული ადამიანების ნატურალიზაციის პროცედურა, არამედ ავტომატურად არ ანიჭებენ „არამოქალაქეთა“ ბავშვებს მოქალაქეობას. აშშ-ში კი მოქალაქეობას ანიჭებენ უცხოელთა შვილებს, რომლებიც შტატების ტერიტორიაზე დაიბადნენ. წარმოიდგინეთ, რა წივილ-კივილი ატყდებოდა ევროპაში, მოსკოვს ამგვარად რომ შეეზღუდა რუსეთში მცხოვრები ლატვიელების უფლებები.

ეს ყველაფერი ხდება მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გაყალბებისა და ფაშისტ დამნაშავეთა გმირებად წარმოჩენის ფონზე. **ბალტიისპირეთის ყველა რესპუბლიკაში ურცხვად ბილწავენ საბჭოთა პერიოდის ძეგლებს, „პატრიოტები“ მონდომებით ცდილობენ, ნაცისტური რეჟიმისა და საბჭოთა წყობილების გაიგივებას. მაგალითად, ახლახან რიგის ცენტრში „ვაფენ ესესის“ ლეგიონერების მსვლელობა გაიმართა.**

მის პარალელურად თავისი ღონისძიების ჩატარება მოითხოვა ლატვიის ანტიფაშისტურმა კომიტეტმა, მაგრამ ამ განაცხადის დაკმაყოფილებაზე რიგის საქალაქო სათათბირომ კატეგორიული უარი თქვა და აღნიშნა, რომ ნეონაცისტების მსვლელობა დღის მთავარი მოვლენაა, ამიტომ ყველა სხვა ღონისძიება იგნორირებული უნდა იყოსო.

ლიტვაში ვითარება ასე ხელიდან წასული არ არის, მაგრამ იქაც შეიმჩნევა ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაციის ფაქტები. მთავარ პრობლემად რჩება რუსულენოვანი საინფორმაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შემცირება, ამასთანავე, სამამულო ომის ვეტერანებისა და საბჭოთა პერიოდში სამართალდამცავი ორგანოების ექსთანამშრომლების დევნა.

საზოგადოებაში ნეონაცისტური, რასისტული და, მათ შორის, ანტისემიტური განწყობის გამძაფრებამ ისრაელელებიც კი აღაშფოთა, მაგრამ ეს ყველაფერი სულაც არ აღელვებს ევროპას და არ გამხდარა არც ევროპული, არც საერთაშორისო ორგანიზაციების, არც სამართალდამცავი სტრუქტურების ზრუნვის საგანი.

ახლახან ლატვიამ ნაცუმცირესობათა დაცვის პრობლემაზე ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, მაგრამ ბრიუსელის ნებართვით ამ დოკუმენტიდან ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები ამოიღეს, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ ნაცუმრავლესობებს კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში უფლება აქვთ, ილაპარაკონ მშობლიურ, ანუ რუსულ ენაზე და გამოიყენონ იგი ტოპოგრაფიულ სახელწოდებებში. ლატვიაში ქალაქები: რიგა, დაუგავპილსი (დვინსკი) და ლიეპაია ეთნიკური შემადგენლობით, ძირითადად, რუსულენოვანია. ხელისუფლებას მოუწევდა, თუნდაც ამ დასახლებულ პუნქტებში განეხორციელებინა კონვენციის მოთხოვნები, მაგრამ ეროვნულმა უმცირესობებმა არ მოისურვეს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რამდენჯერმე დააყენეს საკითხი, რომ ლატვიის სახელმწიფო სკოლებში ეროვნული უმცირესობის ენაზე სწავლება პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. საკითხი კი დააყენეს, მაგრამ რეზოლუციის მიღებამდე საქმე არ მისულა.

ახლა კი შეადარეთ ეს რეაქცია იმ სიტუაციას, როცა ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანამ არ შეასრულა ბრიუსელის გადაწყვეტილება ახლო აღმოსავლეთიდან რამდენიმე ათასი ლტოლვილის მიღების შესახებ. ახლოაღმოსავლელი მიგრანტების მდგომარეობა ევროკავშირს აღელვებს, ბალტიისპირეთში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისთვის კი ევროპას მიუფურთხებია.

**გაზეთი „იზვესტია“**



# ტრამპს წამოსცდა, უკრაინას ეწყინა

**20 ივნისს თეთრ სახლში უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსთან შეხვედრის დროს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „უნებური შეცდომა დაუშვა“, როცა ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას უკრაინის სახელწოდებას დაუმატა არტიკლი the, — იუწყება გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი“.**

ჟურნალისტი წერს, რომ, მართალია, ზოგიერთი ქვეყნის სახელწოდება ინგლისურ ენაში მოითხოვს აღნიშნული არტიკლის ხმარებას (ასეთები კი მხოლოდ ორია — ბაჰამები და გამბია, რომელთა სახელწოდებები ინგლისურად იწერება The Bahamas და The Gambia), უკრაინას ეს არ ეხება. მიუხედავად ამისა, რაოდენ პარადოქსულადაც შეიძლება გვეჩვენოს, ათწლეულების განმავლობაში უკრაინას აშშ-ში The Ukraine-დ მოიხსენიებენ. ასე უწოდებდნენ მას საბჭოთა ეპოქაში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც ამგვარად წერენ და მოიხსენიებენ, ამიტომ უკრაინის მთავრობამ ოფიციალურად მიმართა ინგლისურენოვან გამოცემებს, გამოესწორებინათ ეს უზუსტობა.

საიდან და რატომ გაჩნდა ეს ენობრივი ნორმა, უცნობია. შეცდომა შეიძლება ისტორიული ხასიათის იყოს: 1919-დან 1991 წლამდე ამ ქვეყნის ოფიციალური სახელწოდება იყო უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (The Ukrainian Soviet Socialist Republic) და გამორიცხული არ არის, რომ სწორედ აქედან შემორჩა უკრაინას თავსართი The, — ასეთია წერილის ავტორის აზრი. სხვა ჰიპოთეზის მიხედვით კი არტიკლი განსაზღვრულია თვით სიტყვა „უკრაინის“ ეტიმოლოგიით, რომელიც წარმოქმნილია სიტყვიდან „ოკრაინა“ (განაპირა), — აღნიშნავს ჟურნალისტი.

სწორედ ამან გამოიწვია უკრაინელების გაღიზიანება, განგვიმარტავს „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი. „ეს წამოცდენა შეიძლება მიიჩნიეს მინიშნებად იმაზე, რომ უკრაინა შეიძლება აღვიქვათ, მხოლოდ როგორც დამოკიდებული ქვეყანა თავის დიდ მეზობელ რუსეთზე, დაკნინებაზე, რომელსაც განიცდიდა საბჭოთა, მანამდე კი მეფისდროინდელ ეპოქებში, — წერს ავტორი.

უკრაინის მოხსენება The Ukraine-დ მის სუვერენიტეტში დაეჭვებას ნიშნავს.

ჟურნალისტის აზრით, ტრამპის ასეთი ლაფსუსი, როცა ფართოდაა გავრცელებული აზრი რუსეთთან მისი თბილი დამოკიდებულების შესახებ, განსაკუთრებით უხერხულად ჟღერს. მიუხედავად იმისა, რომ პოროშენკომ არ შეიმჩნია (ან ვერ გაიგო) ტრამპის ეს ლაფსუს ლინგვე, „ტვიტერის“ მომხმარებლებმა სწრაფად მოახდინეს რეაგირება. მაგალითად, რუსეთში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა **მაიკლ მაკფოლმა** განაცხადა, რომ ამგვარი შეცდომები ცხადყოფს ტრამპის გაუცნობიერებლობას, ხოლო მისმა მრჩეველებმა სათანადოდ ვერ (ან არ) გაარკვიეს იგი უკრაინაში არსებულ სიტუაციაში პოროშენკოსთან შეხვედრის წინ.

„ტვიტერის“ მომხმარებლებმა გაიხსენეს, რომ ანალოგიური შეცდომა დაუშვა მაკფოლის ყოფილმა უფროსმა, ტრამპის წინამორბედმა **ბარაკ ობამამ** 2014 წელს.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვთქვათ, რომ სოციალურ ქსელებში პოროშენკოს მიბრძანებას თეთრ სახლში ენაკვიმატებმა „შეხვედრა ფოტოს გადაღებისთვის“ დაარქვეს.

„ტურისტის იღბალიც“ დაარქვეს: შეიყვანეს უკრაინის პრეზიდენტი, როგორც ჩვეულებრივი ტურისტი, თეთრი სახლის დასათვალიერებლად და, როცა ოვალურ კაბინეტში შეახედეს, იქ შემთხვევით დონალდ ტრამპი დახვდა. 3 წუთის განმავლობაში ქათინაურები გაცვალეს, მომდევნო 3 წუთი ფოტოსესიას მოახმარეს. სახელმწიფო დეპარტამენტში ამ სალამ-ქალამის პრეზიდენტების შეხვედრად კვალიფიცირებისაც კი შერცხვათ.

# მოზარდებმა ტაილანდის მეფეს გერმანიაში ესროლეს

**ორმა გერმანელმა მოზარდმა სათამაშო თოფებით მაშინ ესროლა ტაილანდის მეფე მახა ვაჩირალონგკორნს, როცა იგი ველოსიპედით სეირნობდა ბავარიის ქალაქ ერდინგში, — იუწყება „რია-ნოვოსტი“. ინციდენტი 10 ივნისს მოხდა. ბავშვები მონარქს ბუჩქებში ჩაუსაფრდნენ და რამდენიმე პლასტიკური ბურთულა ზურგში მოარტყეს.**

მეფის დაცვამ პოლიცია გამოიძახა, რომელმაც „ტყვიები“ შეისწავლა და დაადგინა, რომ მოზარდებმა მონარქს ესროლეს სათამაშო იარაღიდან, რომლის ტარებას განსაკუთრებული ნებართვა არ სჭირდება.

მეფეს ბავშვების ანცობის გამო პოლიციისთვის არ მიუმართავს. მიუხედავად ამისა, საქმეს ადგილობრივი პროკურატურა მაინც იძიებს. მან უნდა განსაზღვროს, დაისჯება თუ არა „თავდამსხმელთაგან“ ერთი მოზარდი, რომელსაც 14 წელი უკვე შეუსრულდა. მეორე ბიჭი ერთი წლით უმცროსია.

ცოტა ხნით ადრე ინტერნეტქსელში გამოქვეყნდა ვიდეო, რომელზეც გადაღებულია მიუნხენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ქალის „ტოპიკში“ გამოწყობილი მოსეირნე მეფე ტაილანდისა.



# ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუსლიმი ბავშვების საბავშვო ბაღების დახურვა მოითხოვა

**მინისტრ სებასტიან კურცის ამ მოთხოვნის შესახებ ინფორმაცია გაზეთმა „კურიერმა“ გაავრცელა.**

„საბავშვო ბაღებმა სკოლებისთვის უნდა მოამზადოს ბავშვები, რომლებსაც შეეძლებათ გერმანულ ენაზე ლაპარაკი. ე.წ. მუსლიმური საბავშვო ბაღები კი განსხვავდება ეთნიკური და ენობრივი პრინციპით. ისინი ჩვენ არ გვჭირდება. მუსლიმური საბავშვო ბაღები ჩვენთან არ უნდა იყოს“, — განაცხადა კურცმა გაზეთის მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო კლუბში გამოსვლისას. მან დასძინა, ასეთი დაწესებულებები იზოლირებულია საზოგადოებისგან კულტურული და ენობრივი კუთხით.

ამჟამინდელი მონაცემებით, ვენაში 10 ათასამდე ბავშვი დაჰყავთ სხვადასხვა მუსლიმურ საბავშვო ბაღში. საგარეო საქმეთა მინისტრმა გერმანული ენის ცოდნის მოთხოვნის გამკაცრება მოითხოვა ამ დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლებისა და აღმზრდელების მიმართ.

**ცნობისთვის: 2016 წლის ივლისში ავსტრიის უმაღლესმა სასამართლომ ფარანჯის ტარების გამო თანამშრომელი ქალის დათხოვნა სწორად ცნო.**



ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენმა ცხოვრებამ ევროპულს კვალს მიჰმართა იმ დროდგან, როცა დიდებულმა რუსეთმა თვის საფარველს ქვეშ შეგვიყვანა მძლავრ მტერთან და უწყნარებელი ბრძოლით აკლებულნი, მისუსტებულნი და თავ დაკიდებულნი უნუგეშობით“.**

# წყევლაკრულვიანი საკითხავი

## რა უშველის ჩვენს გაჭირვებულ საზოგადოებას, რა წამალი განკურნავს მის ახლანდელ უძლურ მდგომარეობას, რა არის უმთავრესი ჩვენი უბედურება?

პუბლიკაცია, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, 1871 წლის ჟურნალ „კრებულში“ (№5) დაიბეჭდა სათაურით „რა გვეშველება, რა გვეჭირვება?“. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოეჩვენოს მკითხველს, ბევრ ადგილას უნებლიეთ დაგავიწყდება, რომ ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 70-იან წლებზე საუბრობს და არა დღევანდელ დღეზე. ადამიანი ყველა ეპოქაში ერთნაირია — ისევე უყვარს, ისევე სძულს, მოსწონს, ქმნის ან ანადგურებს... და ისტორია მეორდება, მაგრამ წარსულის გამოცდილების გააზრება და გათვალისწინება, სამწუხაროდ, ვერ ვისწავლეთ.

რა უშველის ჩვენს გაჭირვებულ საზოგადოებას, რა წამალი განკურნავს მის ახლანდელ უძლურ მდგომარეობას, რა არის უმთავრესი ჩვენი უბედურება და სხვა მსგავსი საკითხები დღესაც ისევე მწვავედ დგას ქართველი საზოგადოების წინაშე, როგორც XIX საუკუნის 70-იან წლებში.

## რა გვეშველება, რა გვეჭირვება?

„ჩვენმა ცხოვრებამ ევროპულს კვალს მიჰმართა იმ დროდგან, როცა დიდებულმა რუსეთმა თვის საფარველს ქვეშ შეგვიყვანა მძლავრ მტერთან და უწყნარებელი ბრძოლით აკლებულნი, მისუსტებულნი და თავ დაკიდებულნი უნუგეშობით. ამას შემდეგ გაცარცვულმა ქვეყანამ შეისვენა. ჩვენმა მფარველმა რუსეთმა განიზრახა მთელი კავკასიის დამორჩილება. კავკასიის მახმადიანობა ადგა თავის დასაცველათ და ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, ჩვენმა ქვეყანამაც მიიღო მონაწილეობა. რუსეთთან საქმე გაიზიარა; დადგა სამხედრო პერიოდი. ერთი მხრით აფიცრობა შეიქნა ჩვენ უპირველესს დანიშნულებათ და მეორეს მხრით — სამოქალაქო სამსახური, ესე იგი, კანცელარიული საქმის წარმოება. ორივე ხელობის კაცები საზოგადოთ შეადგენდენ ჩინოვნიკობას, რომელშიაც იწყო განსაკუთრებით სახელმწიფო ჯამაგირით ცხოვრება და უწინდელ ოჯახობის თადარიკზე, როგორც უსარგებლოზე, ისე ხელი აიღო. ვინც უფრო მარჯვე იყო ლეკებთან და მთიულ ხალხთან ბრძოლაში, ამასთანავე, ვინც უკეთ იცოდა რუსული, ის უფრო ბევრს ჯამაგირს იღებდა; ვინც უფრო დახელოვნებული იყო რუსულათ ქაღალდის წერაში, ვინც უფრო მალე გაეჩვეოდა კანცელარიურს საქმის წარმოებას, იმას უფრო ბევრი ჯამაგირი ეძლეოდა. თფილისი შეიქნა მთავრობის წერტილი.

რუსეთიდგან მოვიდა ჩინოვნიკობა, საიქვო ზნეობის და ცოდნისა (კარგი პირველათ უცხო-უცნობ ქვეყანაში ვინ წამოვიდოდა?). მთავრობა იმათ აძლევდა დიდს ჯამაგირს, ოღონდ ვისმე გაებედნა ახალს მხარეში წამოსვლა. ამ სახით გაჩნდა ისეთი საზოგადოება, რომელსაც არ ჰქონდა საფუძვლიანი ცხოვრების შესწავლა, ნამდვილი ევროპიული მეცნიერება. დიდი ჯამაგირი მდიდრულათ ცხოვრების ნებას აძლევდა და ამის გამო შემოვიდა საშუალებაზე მომეტებული ხარჯვა. ჩვენმა ერმა რომ ეს განცხრომა ჰნახა, იმის გარეგანი მშვენიერი სახე მოეწონა. მდიდარი მხედრული მუნდირი, მშვენიერი სახლის მორთულობა, ევროპიულს წესზე ხშირათ ბალი და ვეჩერები, ევროპული ფარჩები ტანსაცმელათ, ევროპული, მებელი სახლის სამკაულათ, ევროპული სტოლი და მაზედ მშვენიერი მუზიკა საზოგადო შესაქცევათ ვის არ შეაყვარებს თავს? მართლაც ჩვენმა საზოგადოებამ რომ ესენი დაინახა, მაშინვე აღტაცებით წამოიძახა: აი, ბედნიერი დროება: როდის იქნება, რომ ჩვენი შვილები აფიცრებათ გახდენ, ჯამაგირი ეძლეოდეთ და როგორც ქალაქში მაღალი ჩინოვნიკობა, ისე დაიწყონ ცხოვრებაო. მართლაც ჩვენმა საზოგადოებამ იწყო თავის შვილების კორპუსებში გაგზავნა, მდიდარი ევროპული ცხოვრების გემო გაიცნო, თუმცა იმისთვის არც გონებით და არც საშუალებით გამზადებული არ იყო. ნატრობდა იმ წესზე ცხოვრებას, მაგრამ ფული არ ჰქონდა. ამდროს გაიხსნა ქალაქში პრიკაზი იმ განზრახვით, რომ, ვისაც ფული სჭიროდა თავის ოჯახდობის გასაუმჯობესებლათ, იქითგან შესძლებოდა გამოტანა. ფულის უნახავს ერში ფული დატრიალდა. გონიერი კაცი იქვე იფიქრებდა, ამას კარგი შედეგი არ ექნებაო. მართლაც წამოიმართენ თფილისში და სოფლათ სამეტაჟიანი შიგნით ევროპულ წესზე გამართული სახლები, დაიკრა შიგ მუზიკა, ქეიფი და შექცევა ერთმანეთზე მიყოლით. ადგილ-მამულები პრიკაზში დაგირავდა და იქიდგან გამოტანილი ფული კი ჩაბარდა ქალაქის ვაჭრობას. ქვეყანა ჩინოვნიკობით აიმსო. ამდროს მოიწია აღმოსავლეთის ჩხუბი, რომელმაც რუსეთს უჩვენა ახალი გზა ცხოვრებისა. შემოვიდა რუსეთში გონიერი ცვლილება. ბატონ-ყმობითი დამოკიდებულება მოისპო. სახელმწიფომ სცნო, რომ ქვეყნის კეთილმდგომარეობას ყოველი კაცისგან გონიერი შრომა თუ ხელს შეუწყობს, თორემ სხვა არაფერიო. დამყარდა სამოსამართლო ცვლილებაც. ამ ცვლილებამ მოითხოვა ნამდვილათ განათლებული გონებაგახსნილი ახალ თაობა. ყველა ზემოხსენებულნი ცვლილებანი, რასაკვირველია, ჩვენშიაც გადმოვიდა.

ამ ცვლილებებმა მოითხოვა ჩვენგანაც ახალი გონება გახსნილი, ჭეშმარიტათ განათლებული და ახალ საქმეში დახელოვნებული თაობა. ამისთანა კაცები რუსეთშიაც ცოტა გამოჩნდა, თორემ ჩვენში სად იქნებოდა? დადგა ისეთი დრო, რომ ყოველს კაცს მოეთხოვა იმის საკუთარი ჭკუით და ხელით ცხოვრება.

**მაშ, როგორი პირით შეხვდა ჩვენი ერი ახალს დროს და იმის ახალს მოთხოვნილებას?**

ჩვენი საზოგადოება იყო შემდგარი ახალი და ძველი თაობისგან. ძველი თაობა შეადგენდა უწინდელს მებატონეს, რომელიც რჩებოდა ყმის მუშაობით, ოჯახობაში ყოველივე უფულოთ უკეთდებოდათ. იმან იცოდა მხოლოდ მისდამი ყმების მოვალეობა. ყოველ წლობით ბეღლებს და სასიმინდეებს ივსებდა ყმების შრომით. ამის გარეშე სხვა ცხოვრების საშუალება არც არა სცოდნია და ვერც არას მოახერხებდა. როდესაც შემოვიდა ახალი ცხოვრების წესი, მომეტებული ხარჯი, მაშინ მამული პრიკაზში შეიტანა, ფული კი მალე მიფლანგა. დარჩა ვალით სავსე და ამ დროს ყმების განთავისუფლებაც შემოესწრო. წარმოიდგინეთ იმის მდგომარეობა ყოველ ღონისძიებას მოკლებული და ყელამდის ვალში ჩასმული! ამისთანა მოვლენამ ის საშინლათ შეარყია. ვინც ძალიან მოხუცებული იყო, ყველას დავლა დაეცა; სხვები კი დარჩენ არაქათწართმეულნი, ამ ჟამათ სიღარიბით დაცემულნი და მომავალზე უიმედონი. აი, ძველი თაობა ასე შეხვდა ზემოხსენებულს ცვლილებებს.

**ახალმა თაობამ რაღა ქნა?**

— ახალი თაობა, ვისაც კი რამე ესწავლა, ყველა შეადგენდა ჩინოვნიკობას, რომელნიც მხოლოდ ჯამაგირით ცხოვრობდენ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში; ▶

# მეგობრობა გზად და ხიდად

# ნიკოლოზ ზაბოლოცკი და საქართველო

**„ერთ საღამოს ტიციანმა ჩვენთან ახალგაზრდა სათვალიანი კაცი მოიყვანა, ბავშვურად გაბუტული ტუჩები ჰქონდა. იგი ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა, ძალზე გულიანად იცინოდა, ერთთავად ფაქიზად და სუფთად იყო ჩაცმული, — იგონებს ტიცინის მეუღლე ნინო ტაბიძე, — სიცილის დროს უმალვე მის სულს შეიცნობდით, ისეთივე კრისტალურსა და კამკამას; მხოლოდ თვალებში რაღაც ნაღველს დალანდავდით. ეს ნიკოლოზ ზაბოლოცკი გახლდათ, ლენინგრადელი პოეტი“. ნიკოლოზ ზაბოლოცკის ტიციანმა ქართველი პოეტების თარგმნა შესთავაზა, ზაბოლოცკის ძალზე გაეხარდა. იმ დროიდან იგი ქართული პოეზიის ერთგულ მეგობრად იქცა. ასე დაიწყო მეგობრობა კოლია ზაბოლოცკისთან. მეგობრობა, რომელსაც არც ეროვნება აქვს და არც პოლიტიკური ამბიციები, გულწრფელ ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული და წყაროსავით სუფთაა.**



ზაბოლოცკი ლენინგრადიდან ტიციანს თავის დიდ შემოქმედებით გეგმებზე სწერდა.

„ძვირფასო ტიციან იუსტინეს ძევ!

მოკლედ, საქმე შემდეგნაირადაა: ლენინგრადის საბავშვო გამომცემლობა ბავშვებისთვის რუსთაველის შემოკლებულ თარგმნას და გადამუშავებას მავალებს. ამ საქმის ინიციატორი მე გახლავარ. ვფიქრობ, საჭირო საქმეა. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე რუსი მკითხველი და განსაკუთრებით კი მოსწავლეები ბალმონტის თარგმანით ვერ ისარგებლებენ. **ჩვენ მიერ წამოწყებული გადამუშავება კი თანამედროვე რუს მკითხველთა ფართო მასებში რუსთაველის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.** მესმის, რომ ეს ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა, მით უმეტეს, რომ ეს ერთ წელიწადში უნდა შესრულდეს, 1937 წლის პირველ სექტემბრამდე, იმიტომ, რომ საუბილეო წლის ბოლოს წიგნი უკვე უნდა გამოვიდეს. ჩვენი მეგობარი მიკოლა ბაჟანი, რომელთანაც ახლახან ორი კვირა დავყავი, თავის ბწკარედს მაძლევს (იორდანაშვილის) ტრანსკრიფციით. სექტემბრის თვეში თბილისში ჩამოსვლა მსურს, უნდა დავუკავშირდე რუსთაველის ინსტიტუტს და იუბილის მომწყობთ. **აუცილებელია, ისუნთქო საქართველოს ჰაერი და რუსთაველი მის სამშობლოში შეიგრძნო......**

უკანასკნელ ხანამდე პროზაული გადამუშავებით ვიყავი გადატვირთული და მხოლოდ ახლა ვამთავრებ. ვფიქრობ, მაშინვე ჩავუჯდე ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ახლა ამ სასწრაფო წამოწყებასთან დაკავშირებით, „ალუდა ქეთელაურის“ თარგმნა რამდენადმე ყოვნდება. გთხოვთ, მაცნობოთ, რა დროისათვის გჭირდებათ ეს თარგმანი და პირველ რიგში რის გაკეთებას ფიქრობთ.

**...თქვენ კიდევ ვალი გაქვთ ჩემი: თქვენი ლექსის პწკარედისა და ტრანსკრიფციის გამოგზავნას დამპირდით, რომლის სათაური არ ვიცი, მაგრამ თქვენ ეს ლექსი წამიკითხეთ და, ალბათ, გახსოვთ, მე მსურს, გადავთარგმნო ეს ბრწყინვალე, ამაღელვებელი ლექსი,** ანდა იქნებ სექტემბერში მოვილაპარაკოთ ამის თაობაზე.

გადაეცით ჩვენი გულთბილი სალამი ნინო ალექსანდრეს ასულს.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი

**პროხოროვკა. 1936 წლის 2 აგვისტო“.**

„ძვირფასო ტიციან იუსტინეს ძევ!

მადლობას გიხდით წერილისთვის. დროზე მივიღე და ძალზე გამეხარდა. ...**„ალუდა ქეთელაურს“ ზამთარში ვთარგმნი, რუსთაველის პარალელურად.** თბილისში ამაზე უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ. მე არ მაქვს მისი ტრანსკრიფცია, გარდა ამისა, კონსულტაციის საქმეც უნდა მოვაგვარო, თუმცა, ეს, ალბათ, ლენინგრადშიც მოხერხდება ე.ბ. ვირსალაძის დახმარებით, რომელიც ორბელიანის პოემის თარგმნისას მეხმარებოდა.

თქვენი ახალი ლექსები ძალზე კარგია. მაშინვე შევუდექი მათ თარგმნას და აი, გიგზავნით ორ თარგმანს — „არაგვის ხეობაში“ და „ლექსის დაბადება“.

**...გთხოვთ, ტიციან იუსტინეს ძევ, ჩემს თარგმანებში აღნიშნოთ ყველა ადგილი, რომელიც შესწორებას საჭიროებს.**

რაც შეეხება ლექსს „ანანური“, არცთუ მთლად კარგად ვთარგმნე და გადავთარგმნი (მოგვიანებით) ხელახლა, როცა პირველი თარგმანი ცოტათი მიმავიწყდება.

თბილისში სექტემბრის პირველ რიცხვებში ვიქნები.

თქვენი ნ. ზაბოლოცკი“.

ზაბოლოცკი, დაპირებისამებრ, ჩამოვიდა თბილისში და თითქმის ერთი თვე დაჰყო. ახალმა შეხვედრებმა და საქართველოში მოგზაურობებმა კიდევ უფრო დააახლოვა იგი ქართველ მეგობრებს. ზაბოლოცკი უფრო და უფრო შეეთვისა საქართველოს.

იგი მეგობრებმა კახეთში, წინანდალში, წაიყვანეს.

„როცა წინანდალში ჩავედით, — იგონებს **ნინო ტაბიძე**, — კოლია უცბად სადღაც გაქრა. გამოირკვა, რომ მან და მისმა თანამგზავრებმა პატარძეულში შევლა გადაწყვიტეს გიორგი ლეონიძის სახლის სანახავად. იქიდან იგი ძალზე მხიარული და კმაყოფილი დაბრუნდა.

შემდგომ სიმონ ჩიქოვანმა იგი ქართლში წაიყვანა. ამ მოგზაურობის შედეგად დაიწერა „გორის სიმფონია“ და სხვა ლექსები.

1936 წლის 27 სექტემბერს ჩვენ ალავერდში წავედით: სიმონ ჩიქოვანი მეუღლითურთ — მარიკასთან ერთად, გოგლა ლეონიძე მეუღლითურთ, ვერიკო ანჯაფარიძე და ლოლია ყანჩელი, მშვენიერი და ჭკვიანი ქალი, რომელმაც მოხიბლა იური ტინიანოვი და მისი დის ქმარი — კავერინი. ნატო ვაჩნაძეც იყო თავის მეუღლე კოლია შენგელიასთან ერთად და მომღერალი ქეთო ჯაფარიძე მეუღლითურთ. ზაბოლოცკი და ბაჟანიც ჩვენთან ერთად მოდიოდნენ.

მგზავრობა უამრავი თავგადასავლებით იყო სავსე.

...როცა ალავერდში ჩავედით, ხალხი უკვე იშლებოდა.

ჩვენ ჩარდახქვეშ დიდი სუფრა გაგვიშალეს.

და მაშინ დაიწყო შეჯიბრი, ვინ უკეთესად, საინტერესოდ წაიკითხავდა ლექსებს. ერთი რომ ამთავრებდა კითხვას, მეორე წამოხტებოდა: კითხულობდნენ საკუთარ და სხვათა ლექსებს.

პაოლო ეკლესიის ეზოში გაჰყვიროდა ბალმონტის მღერად ლექსებს.

ბაჟანი წამოდგა და თავის თარგმანში უკრაინულ ენაზე წაიკითხა ნაწყვეტი შოთა რუსთაველის პოემიდან, ამან უზომო ტაშისცემა და მსმენელთა აღტაცება გამოიწვია. **სუფრის მეორე ბოლოში ზაბოლოცკი წამოდგა, რუსულად ორბელიანი წაიკითხა და იფეთქა აღტაცებამ, ტაშმა.**

...საღამომდე ასე კითხულობდნენ ლექსებს, ▶

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 5 ათასმა ქართველმა 15 ათას ყიზილბაშს მუსრი გაავლო და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

მაგრამ მხედრობასაც თავის საქმე გამოელია, მხარე დამშვიდდა. სამხედრო სამსახურში ჩინოვნიკობა მომეტებული შეიქნა; ზოგი იძულებული იყო უალაგობის გამო სამსახურისთვის თავი დაენებებინა და ძველს თაობას გვერდით ამოუდგა. ვინც სამსახურში დარჩენ, იმათაც, მომეტებული ხარჯის გამო, ჯამაგირი აღარ ეყოთ. სამოქალაქო ჩინოვნიკებიც იმ ორი გროშის ცოდნით, რომელიც თავის დროს შეეძინათ, ახალ სამოსამართლო და საგამგებო ცვლილებაში ვეღარ გამოდგენ, ოჯახობაშიაც გამოუდეგარნი დარჩენ, ამიტომ რომ ფული და მოხერხება არ ჰქონდათ. ამ სახით **როგორც ძველი, ისე ახალი თაობა ჩვენი საზოგადოებისა დარჩენ რიყეზე. ორივე ვალებგავსებულნი, ფულის უქონელნი, ცოდნა მოკლებულნი და ოჯახისთვის გამოუდეგარნი.**

მაშ განვიმეოროთ: რა პირით შეხვდა ჩვენი საზოგადოება ახალს დროს და იმის მოთხოვნილებას?

— **ის შეხვდა ახალს დროს და იმისგან მოხდენილს ცვლილებას ყოვლად მოუმზადებელი და უნეგეშოთ. იმას არც ცოდნა აქვს, არც ნივთიერი საშუალება. იმათში ორი სამი კაციც არ გამოირჩევა ისეთი მცოდნე და დახელოვნებული, რომ რაიმე კეთილი საქმე იფიქროს საზოგადოებისთვის. ამას გვიმტკიცებს ბანკის გაუმართველობა აქამდის.**

მაშ რა უშველის ჩვენს გაჭირვებულს საზოგადოებას, რა წამალი განკურნებს იმის ახლანდელს უძლურს მდგომარეობას?

აი, ჩვენ გვსურს ნათლათ წარმოვსთქვათ ამის პასუხი.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

---

ლაპარაკობდნენ პოეზიაზე, კახეთის ბუნების სილამაზეზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, ერთმანეთის თარგმანების აუცილებლობაზე, რათა რუსმა ხალხმა გაიცნოს ქართული და უკრაინული პოეზია და ქართველმა — რუსული და უკრაინული...

თბილისში დაქანცულები, მაგრამ კმაყოფილები დავბრუნდით, განსაკუთრებით იმით, რომ ჩვენი მეგობრები დარჩნენ კმაყოფილები, კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს.

ჩვენი მეგობრობა ზაბოლოცკისთან განმტკიცდა. ტიციანი მას ძალზე აფასებდა, როგორც პოეტსა და ადამიანს".

**„მოუთმენლად გელით ლენინგრადში; თქვენ აქ ბევრი მეგობარი და გულწრფელი დამფასებელი გყავთ, ჩამოდით ჩქარა!"** — მოგვიანებით წერდა ზაბოლოცკი ტიციანს. მან ახალი ბინა მიიღო ბეგოვაიაზე და ეს მყუდრო სახლი მალე ქართველი მწერლების სახლად იქცა. აქ კითხულობდნენ ახალ თარგმანებს, მან ხომ ვაჟა-ფშაველა, ორბელიანი, გურამიშვილი, აკაკი, ილია და სხვები თარგმნა, მრავალი თანამედროვე მწერალიც. კითხულობდა თავის უკანასკნელ, ჯერ კიდევ დაუბეჭდავ ბრწყინვალე ლექსებს. ზაბოლოცკი ასევე ცდილობდა, რომ მისი სუფრა ქართულს დამსგავსებოდა და ფართო ღიმილით მასპინძლობდა ყველას.

---

# შაჰ აბას I ლაშქრობები აღმოსავლეთ საქართველოში

**1614 წლის შაჰ აბას I-ის შემოსევამ კახეთს არნახული ზიანი მიაყენა. განადგურდა მრავალი ქალაქი და სოფელი, ცეცხლს მიეცა ეკლესია-მონასტრები და საცხოვრებლები; მოიშალა სამეურნეო ცხოვრება, გაწყდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. დამპყრობლებმა თითქმის მთელი კახეთი დაიკავეს.**



კახელებმა დიდხანს ვერ აიტანეს ყიზილბაშთა ბატონობა. 1615 წელს დაიწყო აჯანყება, რომელსაც დავით ჯანდიერი მეთაურობდა. გახიზნული თეიმურაზ I სასწრაფოდ დაბრუნდა კახეთში და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. იგი თავად წარუძღვა ჯარს შეტევაზე. **5 ათასმა ქართველმა 15 ათას ყიზილბაშს მუსრი გაავლო და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.**

განრისხებული შაჰი 1616 წელს კახეთის დასასჯელად და ამოსაგდებად დაიძრა. ის ჯერ თბილისში შემოვიდა და ქართლის მმართველად დაუდ ხანის შვილი, გამაჰმადიანებული **ბაგრატ-ხანი** დანიშნა. თეიმურაზი მიხვდა, რომ ირანელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და იმერეთში გაიხიზნა. დავით ჯანდიერის მეთაურობით კახელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ყიზილბაშები ანგრევდნენ სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხავდნენ ბაღებსა და ვენახებს. 1617 წელს ირანელებმა კვლავ დალაშქრეს კახეთი. შაჰ აბას I-ის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად აღმოსავლეთ საქართველო საშინლად აოხრდა და განადგურდა.

განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ეს ლაშქრობები კახეთისთვის. **100 ათასი ქართველი დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში. 200 ათასი დატყვევებული ქართველი კი შაჰმა ირანში გადაასახლა და ირანის პროვინციებში: ხორასანში, მაზანდარანსა და ფერეიდანში ჩაასახლა. დღემდე მხოლოდ ფერეიდნელებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და ტრადიციები, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ისინი გამუსლიმანდნენ. ფერეიდნელმა ქართველებმა იციან თავიანთი ისტორია და იციან, რომ მათი სამშობლო საქართველოა.** გადასახლებული ქართველების ადგილზე მომთაბარეების ჩამოსახლება დაიწყეს. ბაგრატ-ხანის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა ქართლის მმართველად მისი ძე — სვიმონ-ხანი დანიშნა და მისი მცირეწლოვანების გამო მეურვედ გიორგი სააკაძე დაუნიშნა. ქართლის ფაქტობრივი მმართველი გიორგი სააკაძე იყო. იგი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სამხედრო ფიგურა იყო. ის იყო თბილისის მოურავიც. სააკაძემ ახალგაზრდობიდანვე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა. მან 1609 წელს ტაშისკართან ბრწყინვალე სამხედრო მანევრით დაამარცხა ქართლში შემოჭრილი მრავალრიცხოვანი ოსმალთა არმია. ამით მეფე ლუარსაბ II დატყვევებას, ხოლო ქართლი აოხრებას გადაარჩინა. მოგვიანებით ძლიერ ფეოდალურ სახლებთან დაპირისპირების გამო ის იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა და სპარსეთში გადახვეწილიყო. იქ მან მუსლიმანობა მიიღო. გიორგი სააკაძე იქაც აქტიურად მოღვაწეობდა სამხედრო ასპარეზზე და არაერთი გამარჯვება მოუტანა ირანის არმიას.

გიორგი სააკაძემ დიდი სამხედრო ნიჭი და სიმამაცე გამოავლინა შაჰ აბასის ინდოეთში, ავღანეთში ლაშქრობისას, ყანდაჰარის აღებისას. შემდეგ მონაწილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში, თავი ისახელა ბაღდადის აღებისას.

კახეთიდან ლტოლვილი თეიმურაზ I ყოველნაირად ცდილობდა, ქვეყანაში მდგომარეობა გამოესწორებინა. თეიმურაზმა რუსეთში გააგზავნა ელჩები, მაგრამ უშედეგოდ. მეფის გაუტეხლობით განრისხებულმა შაჰმა შური მის შვილებზე იძია — ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისეს. **შაჰ-აბას I-მა განიზრახა, ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა საქართველოს საკითხი. მან ჯერ ქართველების მორალური გატეხა დააპირა და ლუარსაბ II-ს გამაჰმადიანება მოსთხოვა. უარის მიღების შემდეგ, 1622 წელს, ლუარსაბი ციხეში მოაშთობინა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ მეფე ლუარსაბ II წმინდანად შერაცხა.**

**100 ათასი ქართველი დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში. 200 ათასი დატყვევებული ქართველი კი შაჰმა ირანში გადაასახლა და ირანის პროვინციებში: ხორასანში, მაზანდარანსა და ფერეიდანში ჩაასახლა. დღემდე მხოლოდ ფერეიდნელებმა შეინარჩუნეს ქართული ენა და ტრადიციები, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ისინი გამუსლიმანდნენ. ფერეიდნელმა ქართველებმა იციან თავიანთი ისტორია და იციან, რომ მათი სამშობლო საქართველოა**

შემდეგ შაჰმა გამაჰმადიანება მოსთხოვა **ქეთევან დედოფალს**. ქეთევან დედოფალი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ხალხში. **შაჰმა იცოდა, თუკი დედოფალი გამაჰმადიანდებოდა, ეს ირანის უდიდესი გამარჯვება იქნებოდა. მრისხანე შაჰმა ვერაფრით აიძულა ქეთევანი, რჯული გამოეცვალა. 1624 წლის 12 სექტემბერს შირაზში ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამეს.** ეკლესიამ წამებული დედოფალი წმინდანად შერაცხა. მისმა მოწამეობრივმა აღსასრულმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქრისტიანულ სამყაროში. პორტუგალიაში, ერთ-ერთი ტაძრის კედელზე არის ქეთევანის წამების ფრესკა.



ქეთევან წამებული

**1625 წელს შაჰ-აბას I-მა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ჯარი გამოგზავნა. მას სათავეში წარმოშობით სომეხი, გამაჰმადიანებული ყარჩიხა-ხანი ჩაუყენა. მას შაჰისგან დავალებული ჰქონდა კახელების სრული ამოწყვეტა, ქართლელების აყრა და ირანში გადასახლება.** სადამსჯელო ექსპედიციის ერთ-ერთ სარდლად გიორგი სააკაძეც იყო. 1625 წლის 25 მარტს **მარტყოფის ველზე** გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა. გიორგი სააკაძე ქართველთა მხარეზე გადავიდა და მათ შეძლეს ირანელთა ლაშქრის დამარცხება. 30-ათასიანი ირანული არმია თითქმის მთლიანად განადგურდა. აჯანყებულებმა რამდენიმე დღეში მთლიანად განდევნეს ქართლიდან და კახეთიდან ირანული ჯარი. თეიმურაზი კი ქართლ-კახეთში მიიწვიეს და სამეფო ტახტზე დასვეს.

იმავე წელს შაჰმა ახალი ჯარი გამოაგზავნა საქართველოში თავისი სიძის — ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. 1625 წლის 1 ივლისს **მარაბდის ველზე** სასტიკი ბრძოლა გაიმართა ქართველებსა და ირანელებს შორის. ქართველებმა სძლიეს კიდეც მტერს, მაგრამ მალე ყიზილბაშთა ლაშქარს ახალი, დასვენებული ძალები შეემატა და, ქართველთა გმირობისა და სიმამაცის მიუხედავად, მრავალრიცხოვანმა მტერმა გამარჯვების მოპოვება შეძლო. **10 ათასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე.** მათ შორის იყვნენ: დავით ჯანდიერი, რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი. ქართველებმა ბევრი მტერი დახოცეს. **14 ათასი ყიზილბაში დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში.**

მარაბდის ბრძოლის შემდეგ ქართველებმა, გიორგი სააკაძის მეთაურობით, პარტიზანული ბრძოლებით დიდი ზიანი მიაყენეს მომხდურს — მათ ქსნის ხეობაში 12-ათასიანი ყიზილბაშთა ლაშქარი გაანადგურეს.

საბოლოო ჯამში, **ირანის შაჰმა უდიდესი სამხედრო მარცხი განიცადა. მისი არმიის ნახევარი, დაახლოებით 60 ათასი კაცი, საქართველოში განადგურდა. შაჰ აბას I მიხვდა, რომ ძალით ის ქართველების წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდა და პოლიტიკა შეცვალა. მან ცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ, სამაგიეროდ, თეიმურაზმა თავი ირანის ვასალად აღიარა.** მალე თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შექმნილი ვითარება შაჰ აბასმაც გამოიყენა, რომელიც ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა დაპირისპირებულ მხარეებს. 1626 წელს ბაზალეთის ტბასთან თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის გაიმართა ბრძოლა, რომელშიც თეიმურაზმა გაიმარჯვა და სააკაძე იძულებული გახდა, ოსმალეთში გადახვეწილიყო, სადაც ის სულთნის კარის ინტრიგების მსხვერპლი გახდა და 1629 წელს მოკლეს. იმავე წელს შაჰ-აბას I-ც გარდაიცვალა. შაჰის ტახტზე ისპაანის ტარუღას, ანუ მოურავის, **ხოსრო-მირზას**, შემდგომში როსტომ ხანის სახელით ცნობილი გამაჰმადიანებული ქართველის, დახმარებით ადის შაჰ-აბას I-ის შვილიშვილი — **სეფი I**.

ახალმა შაჰმა თეიმურაზის ნაცვლად ქართლში **ხოსრო-მირზა** გამოგზავნა, კახეთი კი **სელიმ-ხანს** ჩააბარა. აღმოსავლეთ საქართველო კვლავ მძიმე მდგომარეობაში იყო. თუმცა ლუარსაბ II-სა და თეიმურაზ I-ის წინამძღოლობით ქართველთა წინააღმდეგობის გამო, აგრეთვე, **ამ პერიოდში მრავალრიცხოვანი და არნახული გმირული თავდადების მაგალითების წყალობით შაჰ-აბას I-მა ვერ მოახერხა თავისი მთავარი მიზნის — აღმოსავლეთ საქართველოს სრული „გათათრებისა" და ირანის სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მისი შესვლის მიღწევა.**

საინტერესო ფაქტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს იტალიური სოფელი შუა საუკუნეებში ფეოდალური სათავადო იყო ისევე, როგორც სხვა ბევრი ქალაქი იმ პერიოდში. სახელმწიფოებრიობა 1792 წელს დაკარგა, მაგრამ თითქმის 250 წლის შემდეგ, 1963 წელს, სებორგელებმა გადაწყვიტეს, სოფელი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებინათ. მიუხედავად ამისა, ოფიციალური რომი სებორგას მოსახლეობის გადაწყვეტილებას სერიოზულად არ აღიქვამს.**

# ევროპის ქვეყნები, რომლებიც რუკებზე არ არის

თუ ფიქრობთ, რომ ევროპის შესახებ უკვე ყველაფერი ითქვა და ყველაფერი ცნობილია, ცდებით. აბა, შეეცადეთ ერთი-ორი ქვეყნის დასახელებას მაინც, რომლებიც არც ერთ რუკაზე არ არის დატანილი. არადა, ასეთი ქვეყნები არის. ყველა ქვეყანას არ სჭირდება საზღვრები, პრეზიდენტი, ვალუტა და არმია, სახელმწიფოებრიობის მოსაპოვებლად ზოგჯერ მოსახლეობის ძლიერი სურვილიც საკმარისია.



## კუგელმუგელი, ავსტრია

ეს ყველაზე პატარა ვირტუალური სახელმწიფოა მსოფლიოში. მისი დიამეტრი სულ 7,68 მ-ია. იმიტომ, რომ ყველაფერი მოთავსებულია ერთადერთ მრგვალ შენობაში, რომელიც ადგილობრივი მხატვრის საკუთრებაა. ამ მხატვარს უთანხმოება აქვს ავსტრიის ხელისუფლებასთან, რომელმაც მხატვარს სახლის აშენების უფლება არ მისცა, მაგრამ მან სახლი მაინც ააშენა და... დამოუკიდებელ რესპუბლიკა კუგელმუგელად გამოაცხადა, ეს მოხდა 1984 წელს. მხატვარმა უარი თქვა გადასახადების გადახდაზე და მარკების ბეჭდვაც კი დაიწყო, რის გამოც თავი კინაღამ ციხეში ამოყო. ავსტრიის პრეზიდენტმა შეიწყალა, საბოლოოდ, სახლი მაინც ჩამოართვეს, ვენის ერთ-ერთ პარკში გადაიტანეს და ტურისტებისთვის მიმზიდველ ღირსშესანიშნაობად აქციეს.



## სილენდი, დიდი ბრიტანეთი

შეიძლება, რომ ყოფილ სანავთობე პლატფორმაზე სახელმწიფო დაარსდეს? ბრიტანეთის არმიის გადამდგარმა მაიორმა პედი როემ ბეიტსმა 1967 წელს განაცხადა, რომ უფლება აქვს ჩრდილოეთის ზღვაში, ბრიტანეთის სანაპიროდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარე სანავთობე პლატფორმაზე სახელმწიფო შექმნას. მას შემდეგ მაიორი და მისი ოჯახი იბრძვის, რომ პლატფორმას მიენიჭოს სახელმწიფოს (სათავადოს) სტატუსი.



## სებორგა, იტალია

ეს იტალიური სოფელი შუა საუკუნეებში ფეოდალური სათავადო იყო ისევე, როგორც სხვა ბევრი ქალაქი იმ პერიოდში. სახელმწიფოებრიობა 1792 წელს დაკარგა, მაგრამ თითქმის 250 წლის შემდეგ, 1963 წელს, სებორგელებმა გადაწყვიტეს, სოფელი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ. მიუხედავად ამისა, ოფიციალური რომი სებორგას მოსახლეობის გადაწყვეტილებას სერიოზულად არ აღიქვამს.




## თავისუფალი ქალაქი ქრისტიანია, დანია

ქრისტიანია მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ვირტუალური ქალაქი და ტურისტებისთვის საყვარელი ადგილია. მდებარეობს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის ცნობილ რაიონ ქრისტიანჰავნში. ეს არის კოპენჰაგენის კვარტალი, რომელშიც ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. ქრისტიანიაში აკრძალულია ფოტოს გადაღება და ამ წესის დამრღვევი შეიძლება სამარცხვინოდ გააძევონ ტერიტორიიდან.



## ალკატრაცი, იტალია

იტალიის რეგიონ უმბრიის ამ ეკოლოგიურ სოფელს მოსახლეობამ თავისი ტერიტორია ჯერ რესპუბლიკად გამოაცხადა, შემდეგ — დამოუკიდებლობაც. მთავრობას და მოსახლეობას მიაჩნიათ, რომ ალკატრაცი ბედნიერი მომავლის გზას ადგას, მომავლისა, რომელშიც მთავარია ღირსება და ურთიერთპატივისცემა.



## უჟუპისი, ლიტვა

უჟუპისი — ეს არის ძველი ვილნიუსის კვარტალი, რომელმაც დამოუკიდებლობა 1997 წელს გამოაცხადა. აქვს თავისი ვალუტა, ჰიმნი და საბაჟო.



## მაფსულონი, იტალია

სხვა თავისუფალი ქალაქების მაგალითით აღფრთოვანებულმა ფლორენციასთან ახლოს მდებარე ამ ჯუჯა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა 1996 წელს გამოაცხადა. პირველი, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააკეთა, იყო ყველაფრის აკრძალვა, რასაც თანამედროვე ადამიანი იყენებს. აკრძალა ტელევიზორი, კომპიუტერი და ასფალტიც კი. ამასთანავე, ამ დასახლებულ პუნქტში პრინციპულად ლაპარაკობენ მხოლოდ ტოსკანურ დიალექტზე.

# ფუფუნება ბორბლებზე



## «ბეტმობილი» — 4,2 მლნ დოლარი

ამ ავტომობილის კონსტრუქტორია შვედი კინომოყვარული და ინჟინერი. მან ზუსტად გაიმეორა დიზაინი ბეტმენის ავტომობილისა, როგორიც ის არის ტიმ ბარტონის მიერ 1989-1992 წლებში გადაღებულ ფილმებში. „ლინკოლნ კონტინენტალის" ბაზაზე 2012 წელს შექმნილი ავტომობილი აღჭურვილია ტურბინით, ვიდეოკამერებით, ინტერნეტში ჩართული მძლავრი კომპიუტერით, DVD -ფლეერით, პლაზმური ტელევიზორით, ხმით მართვისა და თანამგზავრული ნავიგაციის სისტემებით ტყვიამფრქვევითა და რაკეტის სასროლი მოწყობილობითაც კი.



## «ამერიკული ოცნება» — 4 მლნ

„ამერიკული ოცნება", რომელიც ავტოდიზაინერმა ჯეი ორბერგმა შექმნა, ყველაზე გრძელ ლიმუზინად ითვლება მსოფლიოში. 30 მ სიგრძის ავტომობილი 26 ბორბლით მოძრაობს. აღჭურვილია აბაზანა-ჯაკუზით, აუზით, უზარმაზარი საწოლებითა და ვერტმფრენის ასაფრენ-დასაფრენი მოედნით.



## სულთნის «როლს-როისი» — 14 მლნ

ბრუნეის სულთანი ჰასანალ ბოლკიახი ავტომობილების ყველაზე დიდი კოლექციის მფლობელია მსოფლიოში. მისი ავტომობილების კოლექცია, რომელიც 7000 ეგზემპლარისგან შედგება, 4 მლრდ დოლარად არის შეფასებული, მაგრამ კოლექციის მარგალიტია Rolls Royce Silver Spur -ი, რომელიც 24-კარატიანი ოქროთია ინკრუსტრირებული.

**საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით, საშემოდგომო ხორბლის თესვის ნორმები განსხვავებულია: ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებში — 4,5-5,0 მილიონი მარცვალი ჰექტარზე; დედოფლისწყაროს, სიღნაღის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, გორის, ქარელის, ხაშურის, დმანისის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ასპინძის რაიონებში — 5,0-5,5; თიანეთში, დუშეთში, სამაჩაბლოში — 5,5- 6,0; წალკასა და ახალქალაქის რაიონებში — 6,0- 6,5.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. №23 (399)

# ხორბლის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია



**მინერალური სასუქები ხორბლის მარცვლის მოსავალს მნიშვნელოვნად ზრდის. ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების დოზების განსაზღვრისას საჭიროა ნიადაგში აღნიშნული ელემენტების შესათვისებელი ფორმების არსებული რაოდენობის გათვალისწინება. აზოტოვანი სასუქების დოზა უნდა დადგინდეს წინამორბედი კულტურისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით**

## თესლის მომზადება

ფესვის სიდამპლისა და სოკოვანი დაავადებების (გუდაფშუტა, ჟანგა, ნაცარი) საწინააღმდეგოდ მნიშვნელოვანია თესლის თესვისწინა დამუშავება შემდეგი ხსნარებით: **ტრიტიკონაზოლი** — 0.15-0.2 ლიტრი ერთ ტონა თესლზე (კორიოლისი); **ტებუკონაზოლი** — 0.4 ლიტრი ერთ ტონა თესლზე (რაქსილი, ტებიკური, გიზმო, როდოლიტი) ან **დინიკონაზოლი** — 1.5 ლიტრი ერთ ტონა თესლზე (ალიანსი, კონილი, მაქსილი).

**თესვა.** ხორბალი უნდა დაითესოს შემოდგომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში, აგრეთვე, ადრე გაზაფხულზე. როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ხორბალი ითესება მწკრივად. არსებობს მწკრივად თესვის რამდენიმე წესი: **ა)** ჩვეულებრივი მწკრივი — მწკრივთაშორისი მანძილი 15 სმ; **ბ)** ვიწრო მწკრივი — მწკრივთაშორისი მანძილი 7,5 სმ; **გ)** ჯვარედინი დათესვა. ქარისმიერი ეროზიის ზონებში რეკომენდებულია ვიწრო მწკრივად თესვა. უნდა დაითესოს მხოლოდ სერტიფიცირებული თესლი. თესვამდე რეკომენდებულია თესლის გაწმენდა, დახარისხება და ფიტოექსპერტიზა. აგრეთვე, საჭიროა ნაკვეთის გამოკვლევა მავთულა და ცრუ მავთულა ჭიების, მღრღნელი ხვატარების რაოდენობის დასადგენად. 1 მ2-ზე 5-8-ზე მეტი ცრუ მავთულა და მავთულა ჭიების აღმოჩენისას ნიადაგი უნდა დამუშავდეს გრანულირებული პესტიციდებით.

**საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით, საშემოდგომო ხორბლის თესვის ნორმები განსხვავებულია: ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებში — 4,5-5,0 მილიონი მარცვალი ჰექტარზე; დედოფლისწყაროს, სიღნაღის, მცხეთის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, გორის, ქარელის, ხაშურის, დმანისის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ასპინძის რაიონებში — 5,0-5,5; თიანეთში, დუშეთში, სამაჩაბლოში — 5,5-6,0; წალკასა ახალქალაქის რაიონებში — 6,0-6,5.**

ხორბლის თესლის ჩათესვის სიღრმე 4-დან 6 სმ-მდე მერყეობს. ქარისმიერი ეროზიის ზონაში თესვა წარმოებს 1-2 სმ-ით უფრო ღრმად. თესვა უფრო ღრმად წარმოებს მსუბუქ და მშრალ ნიადაგებშიც.

## ნათესების მოვლა

თესვის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნათესების მოვლას. გვალვის პერიოდში ფხვიერ ნიადაგში თესვისას საანეულო მინდვრებზე დათესილი ნაკვეთი იტკეპნება სატკეპნელებით, იფარცხება მსუბუქი ფარცხებით, რაც აუმჯობესებს ე.წ. გადაზამთრების პირობებს.

მნიშვნელოვანია ნათესების დაცვა სხვადახვა სახის სარეველა მცენარეებისგან, მათ შორის, წიწმატურას, ჩვეულებრივი მატიტელას, ყანის ჭლექის, მინდვრის ღიჭას, ხვართქლას, შალაფას, ღორის ქადას, ყანის ბირკას, თეთრი ნარის, შვრიუკას, ნაცარქათამას, კომბოსტურას, ველური კანაფის, ქუთქუთას, შლაგის, ძურწა მწვანესა და სხვა სარეველებისგან.

ჰერბიციდების შესხურება უნდა მოხდეს მცენარის ბარტყობის ფაზაში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 12-150C-ს მიაღწევს. ჰერბიციდების ხსნარის ხარჯვის ნორმა მიწისზედა შემასხურებლით შესხურებისას შეადგენს 200-250-350-450 ლ/ჰა-ზე, ხოლო თვითმფრინავით შესხურებისას — 30-40 ლ/ჰა-ზე.

ხორბლის მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს **სასუქების გამოყენება.** ძირითად სასუქად ითვლება ნაკელი, რომელიც შეაქვთ ხვნის წინ საშუალოდ 20-25 ტონა/ჰა-ზე. ზოგჯერ ნაკელის შეტანა ხდება ხორბლის დათესვის წინ.

დადგენილია, რომ **მინერალური სასუქები ხორბლის მარცვლის მოსავალს მნიშვნელოვნად ზრდის. ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების დოზების განსაზღვრისას საჭიროა ნიადაგში აღნიშნული ელემენტების შესათვისებელი ფორმების არსებული რაოდენობის გათვალისწინება. აზოტოვანი სასუქების დოზა უნდა დადგინდეს წინამორბედი კულტურისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით.**

**ალაზნის ველისა და გარე კახეთის პირობებისთვის** რეკომენდებულია შემდეგი საშუალო დოზები: აზოტი — 60-120; ფოსფორი — 90-120, კალიუმი — 60-90 კგ/ჰა; **შუა და ქვემო ქართლის პირობებისთვის:** აზოტი — 90-150; ფოსფორი — 90-120, კალიუმი — 45-60 კგ/ჰა; **სამცხე-ჯავახეთის** შავმიწებისთვის: აზოტი — 90-120; ფოსფორი — 90-120, კალიუმი — 60 კგ/ჰა;

აღმოსავლეთ საქართველოს **ურწყავ, მშრალ, გვალვიან და ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ** მიწებზე უკეთეს შედეგს იძლევა სამივე ელემენტის მთლიანი დოზის შეტანა ხვნის წინ ან ნიადაგის თესვის წინა დამუშავების დროს.



**სარწყავით უზრუნველყოფის პირობებში** მიზანშეწონილია ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების მთლიანი დოზისა და აზოტიანი სასუქის დოზის 1/3-ის შეტანა ხვნის ან თესვის წინ, ხოლო 2/3-ის — ჯეჯილის გამოკვებაში, აღერების დაწყებამდე. ხორბლის მოსავლიანობის მატებას ხელს უწყობს მიკროელემენტების, კერძოდ, მანგანუმის შლამის გამოყენება აღმოსავლეთ საქართველოს კარბონატიან სარწყავ ნიადაგებზე (50 კგ/ჰა).

მარცვლის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად სასუქების შეტანა შეიძლება თესვამდეც და თესვის შემდეგაც.

ნათესი განსაკუთრებით განიცდის ტემპერატურის ცვლილების ზეგავლენას. ხშირად, ნიადაგის ზედაფენაში წყლის უკმარისობის გამო, არასაანეულო მინდვრებში, საშემოდგომო ხორბლის შემოდგომაზე აღმოცენება იგვიანებს ან, საერთოდ, არ აღმოცენდება. აღმოცენებული მცენარეები, წყლის უკმარისობის გამო, სუსტად ვითარდება და ზამთრის პერიოდში მცენარეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იღუპება. ამის მიზეზებია: დაზრობა, ანუ გაყინვა, აღმონაცენის დანესტიანება, ჩახურება, ამოჩრა, ყინულის ქერქი.

**ნათესების სავეგეტაციო მორწყვა ტარდება** მიგდებით, გაჟონვით ან დაწვიმებით მოთხოვნების მიხედვით — მარტის მესამე დეკადიდან მაისის ბოლომდე.



## მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები

მავნებლის მაღალი სიმჭიდროვის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები სხვადასხვა ქიმიური ჯგუფის კონტაქტურ-ნაწლავური მოქმედების პრეპარატების გამოყენებით. სასურველია, ყოველ წელიწადს ბრძოლის ქიმიური ღონისძიებებისას ვცვალოთ პრეპარატის ასორტიმენტი, რათა არ წარმოიქმნას მავნებლის რეზისტენტული (მდგრადი) ფორმები.

მცენარეების ბიოლოგიურად და ქიმიურად დასამუშავებლად იყენებენ „პესტიციდების სახელმწიფო კატალოგით" ნებადართულ პრეპარატებს. პესტიციდების გამოყენება ხდება რეკომენდებული ხარჯვის ნორმებისა და რეგლამენტების დაცვით.

**მავნე მწერების წინააღმდეგ გამოიყენება: აცეტამიპრიდი** 0,1 კგ/ჰა (აცე, მოსეტამი, ტემპი); **ანციპერმეტრინი** 0,2-0,35 ლ/ჰა (არივო; ალექსანდერი; რივომეტრინი; ციპერსანი) ან **დელტამეტრინი** ეკ 0,05-0,1 ლ/ჰა (დეცის ექსტრა, დელტა)

**სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ** ვეგეტაციის პერიოდში გამოიყენება: **პროპიკონაზოლი + ციპროკონაზოლი** 0,5 ლ/ჰა (ალტო სუპერი) ან **პროპიკონაზოლი** 0,4 ლ/ჰა (ტილტი, ბაპერი).

ბრძოლა პურის ბზუალასა და სხვა მავნებლების წინააღმდეგ შემოდგომაზე, მცენარეთა ბარტყობის ფაზაში, ხდება. პურის ბზუალასა და სხვა მავნებლების გავრცელების კერებში მათი კრიტიკული რაოდენობისას გამოიყენება სხვადასხვა ინსექტიციდი (შემოდგომაზე — ნოემბრის მეორე დეკადაში; გაზაფხულზე — მარტის პირველ-მეორე დეკადაში). ვეგეტაციის განახლებისას მღრნელების კრიტიკული რაოდენობის შემთხვევაში გამოიყენება შხამით დამუშავებული მისატყუებელი მასალა:

თუთიის ფოსფიდის შემცველობა მისატყუებელ მასალაში 2,5-5%-ია, შეტანა ხდება ბადის მეთოდით ყოველ 5-10 მეტრში, იყენებენ სპეციალურ გრძელტარიან კოვზს ან გამფანტველებს, აქტიურ სოროში შეიტანენ 5-10 გრამ მზა მისატყუებელს. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ პრეპარატი შტორმი 0,7-1,5 კგ/ჰა.

## ქიმიური ბრძოლა სარეველების წინააღმდეგ

მონიტორინგის საფუძველზე ვიყენებთ ერთლებნიანი (ერთწლიანი და მრავალწლიანი) და ორლებლიანი (ერთწლიანი და ორწლიანი) სარეველების წინააღმდეგ სელექციურ ჰერბიციდებს ცალკე რომელიმე ჯგუფის სარეველის წინააღმდეგ ან კომბინირებული ნაზავის სახით.

რეკომენდებულია მოსავლის ასაღები და დამხარისხებელი მანქანების დეზინფექცია ინსექტიციდებით, სასაწყობე შენობების დეზინფექცია მოსავლის შეტანამდე, სათესლე მასალის ნახევრადმშრალი დამუშავება.

**ოთარ ლიპარტელიანი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

**გულნარი ჩხუტიაშვილი,**
**სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი**

# ცნობილი მეცნიერი ადამიანებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მალე დატოვონ დედამიწა



**სტივენ ჰოკინგი განაგრძობს პლანეტა დედამიწის ადამიანების გართობას მოწოდებებით, — რაც შეიძლება მალე აიკრიფონ გუდა-ნაბადი. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვულ გენიოსს სურს, მარტო დარჩეს დედამიწაზე.**

მან, ცნობილმა ბრიტანელმა ასტროფიზიკოსმა, განაცხადა, რომ კაცობრიობამ მარსისა და მთვარის კოლონიზაცია უახლოეს 30-50 წელიწადში უნდა მოახდინოს, — იუწყება The Telegraph.

მეცნიერებისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე ნორვეგიაში გამოსვლისას ჰოკინგმა აღნიშნა, რომ კაცობრიობის ამოწყვეტა ასტეროიდის დავარდნის, კლიმატის კატაკლიზმებისა თუ მოსახლეობის ჭარბი ზრდის მიზეზით მხოლოდ დროის საკითხია, ამიტომ ადამიანებმა რაც შეიძლება მალე უნდა დატოვონ დედამიწა.

დანიშნულების ადგილად მეცნიერი ასახელებს მთვარეს, მარსს და ეკზოპლანეტასაც კი პროქსიმა ცენტავრის სისტემაში.

კაცობრიობის წინაშე უამრავი ამოცანა დგას, რომელთა გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა ათი ათასი წლის შემდეგ, არამედ უახლოეს წლებში. თუ რა იქნება დედამიწაზე ასი საუკუნის შემდეგ, დაე, ფანტასტებმა იჭყლიტონ ტვინი.

პრაქტიკულ ჭრილში არც ამჟამინდელი და არც მომდევნო თაობების ცხოვრების განმავლობაში აპოკალიფსი მოსალოდნელი არ არის, — გვამშვიდებს ფუტუროლოგიისა და პროგნოზისტიკის ცენტრ „ინეტერნუმის" ხელმძღვანელი **დიმიტრი ჟუკოვი**.

„სტივენ ჰოკინგის პროგნოზები ისეთი ხანგრძლივვადიანი და აბსტრაქტულია, რომ უცნაურიც კია, როგორ დამდაბლდა იგი ამგვარ ასტროლოგიამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი ჰიროთეზის სისწორის შემოწმებას შეძლებენ მხოლოდ 50-ე თაობის შთამომავალნი, რეალობასთან ამ „წინასწარმეტყველებას" არავითარი კავშირი არ აქვს", — განაცხადა ჟუკოვმა.

არსებობს მრავალი ალარმისტული თეორია, რომელთა მიხედვით ადამიანის ტექნოლოგიური განვითარება წინ უსწრებს მისი, როგორც სახეობის, განვითარებას, რომელსაც შეგნებული აქვს პასუხისმგებლობა თავისი საქციელის გამო. ეს თეორიები ყველაზე კრიტიკული ფორმით მოიხსენიებს ჰომო საპიენსს, რომელსაც უწოდებს „მაიმუნს ატომური ბომბით ხელში".

მაგრამ კაცობრიობის პროგრესი დაბალანსებულია. ადამიანი ახალ ტექნოლოგიებს აღმოაჩენს სოციალური განვითარების მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე, როცა იგი „მორალურად არის მზად", განკარგოს ისინი.

უნდა ვიხელმძღვანელოთ მეცნიერული, სოციალური პროგნოზებით, რომლებიც აგებულია მათემატიკური მოდელების საფუძველზე, უფრო ხანმოკლე დროისთვის არის გათვალისწინებული და არა წინასწარმეტყველთა მდიდარი ფანტაზიით შექმნილი ეკზოტიკური ვარაუდებით, — დასძენს ჟუკოვი.

2015 წელს ჰოკინგმა აღიარა, რომ ფიქრობს, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავროს გარშემომყოფებთან ურთიერთობის გართულების გამო, ამასთანავე, საზოგადოება დაამშვიდა, რომ თავს არ მოიკლავს მანამ, სანამ „სამყაროს ყველა საიდუმლოს არ ამოხსნის". ასე რომ, მეცნიერთა თანამეგობრობა შეიძლება მშვიდად იყოს, თუ მთლიანად დედამიწის ბედის გამო არა, იმიტომ მაინც, რომ მისი ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანის სიცოცხლეს არავინ ხელყოფს.

**„რიდუსი"**

# «გამოძიებას ჩვენი კანონით ვატარებთ და არა ევროპარლამენტის»

**აზერბაიჯანის გენერალური პროკურორის მოადგილე კარმან ალიევი ირწმუნება, რომ ავგან მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კითხვის ნიშნები არ არსებობს. ალიევმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისთვის უცნობია, რა ინფორმაციას ფლობს ევროპარლამენტი მუხთარლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რადგან აზერბაიჯანი საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს დამოუკიდებელ გამოძიებას.**



„ის დააკავეს, როცა საზღვარს უკანონოდ კვეთდა. ამ ფაქტზე მიმდინარეობდა გამოძიება. არის თუა არა კომუნიკაცია ქართულ მხარესთან? მე არ ვაწარმოებ გამოძიებას და არ შემიძლია ამ კითხვას ვუპასუხო. თუ საჭირო იქნება, რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებ. თვალყურს ვადევნებთ და არანაირი კითხვები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არ არსებობს. არ ვიცი რა ინფორმაციაზე დაყრდნობით საუბრობს ევროპარლამენტი, რომ მუხთარლის ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. ეს მათი საქმეა, მაგრამ აზერბაიჯანი დამოუკიდებელ გამოძიებას აწარმოებს საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად და არა ევროპარლამენტის", — განაცხადა აზერბაიჯანის გენერალური პროკურორის მოადგილემ.

# თბილისი-ბათუმის მატარებლის I კლასის ბილეთი 60 ლარი ეღირება

1 ივლისიდან თბილისი-ბათუმის მიმართულებით მატარებლის ბილეთები ძვირდება. კერძოდ, პირველი კლასის ბილეთის ფასი 25 ლარიდან 60 ლარამდე გაიზრდება; რაც შეეხება მეორე კლასს, ბილეთი 7 ლარით გაძვირდება და 18 ლარის ნაცვლად 25 ლარი ეღირება, – განაცხადეს საქართველოს რკინიგზის ცხელ ხაზზე.

# «ბრუტალური კენგურუს» შეტევა

## ანუ როგორ ავირუსებს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ინტერნეტიდან გათიშულ კომპიუტერებს

**„ვიკილიქსის" მიერ ახლახან გამოქვეყნებული დოკუმენტები ნათელს ჰფენს, როგორ იყენებს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ინფორმაციის დასაგროვებელ USB მოწყობილობას კომპიუტერულ ქსელში შესაღწევად და კომპიუტერის ინტერნეტთან მისაერთებლად. გთავაზობთ სტატიას სათაურით „როგორ ავირუსებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გათიშულ კომპიუტერებს", რომელიც საინფორმაციო ინტერნეტრესურსმა Ars Technica-მ გამოაქვეყნა.**



„ვიკილიქსის" მიერ გამოქვეყნებულ 150-გვერდიან მასალაში აღწერილია პაკეტი პროგრამებისა სახელწოდებით Brutal Kangaroo. ამ პროგრამებს შეუძლია შეუტიოს კომპიუტერებსა და ქსელებს, რომლებიც ჩართული არ არის ინტერნეტში. დაინფიცირება ხდება ეტაპობრივად. ჯერ კომპიუტერში, რომელიც ინტერესის ობიექტს წარმოადგენს, აღწევს ვირუსი სახელწოდებით — Drifting Deadline-ი. ის, თავის მხრივ, ასნებოვნებს კომპიუტერთან მიერთებულ ნებისმიერ USB-ს. თუ ამის შემდეგ USB-ს კვლავ მიუერთებთ ინტერნეტიდან იზოლირებულ კომპიუტერს, ის დააინფიცირებს მას ერთი ან რამდენიმე მავნე პროგრამით.

კომპანია „მაიკროსოფტის" წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ ექსპლოიტებიდან (კომპიუტერული პროგრამა, პროგრამული კოდის ფრაგმენტი ან ბრძანებების თანმიმდევრობა, რომელსაც პროგრამული უზრუნველყოფის სუსტი წერტილების წინააღმდეგ შესატევად იყენებენ) არც ერთი არ მუშაობს „ვინდოუსის" მიერ მხარდაჭერილ პროგრამებში. მიუხედავად ამისა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ამ ვირუსის მქონე USB-ს შეუძლია დააზიანოს ის კომპიუტერიც კი, რომელშიც არანაირი ფაილი არავის გაუხსნია.

# «ჰუმენ რაითს ვოჩმა» დაგმო კოალიციის მიერ ფოსფორიანი ნაღმების გამოყენების ფაქტი

**საერთაშორისო სამართალდამცავმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმენ რაითს ვოჩმა" გააკრიტიკა აშშ-ის მეთაურობით სირიაში მოქმედი კოალიცია ფოსფორიანი ნაღმების გამოყენებისთვის, — იუწყება „ასოშიაიტედ პრესი".**

ორგანიზაციას არ აქვს ინფორმაცია, რამდენი ადამიანი დაიღუპა ფოსფორიანი ჭურვებით დაბომბვის შედეგად.

პენტაგონის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ჭურვებით დაბომბვა ტარდებოდა „კვამლის ფარდის მოსაწყობად, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად..."

ცოტა ხნის წინათ ინტერნეტში გამოქვეყნდა რაკასა და მოსულში — „ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტებისთვის უმნიშვნელოვანეს ამ ორ ქალაქში, ფოსფორიანი ბომბების გამოყენების დამადასტურებელი ვიდეომასალა.



გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია თანაუგრძნობს თინათინ ლაოშვილს სიძის

**პაატა ბერიკაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ვანო ხვიბლიანი** ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

**გიორგი ბადრის ძე ფირცხელიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**პანაშვიდი:** 28 ივნისს, 17 საათზე.

**მისამართი:** თბილისი, გაზაფხულის ქუჩა №13 (ლისის ტბის საბაგიროს მიმდებარე ტერიტორია).

**გამოსვენება:** 29 ივნისს, 15 საათზე, სიონის საკათედრო ტაძრიდან.

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894